პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

პარასკევი, 25 ივნისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 143 (1598)

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- მაროკოში ბრძოლა გრძელდება.
- „ფორვერტს“ მოითხოვს მნიშვნელოვანი შეღავათების მიცემას საბჭოთა კავშირისათვის.
- ჩინეთში გრძელდება საგაფიცვო მოძრაობა.
- გერმანიის რეიხსტაგმა განაახლა მუშაობა.
- ავსტრიელი მონარქისტები ჰაბსბურგებისათვის ქონების დაბრუნებას მოითხოვენ.
- ჩეხიაში გაიმართა ერთდღიური გაფიცვა.
- რუმინეთში გაიფიცენ ტრანსპორტის მუშები.
- გენ. ნოლლე რეინის არმიის მთავარ-სარდლად დაინიშნა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთველის პრ. № 34, (ტელეფ. 10—49)

კაიოს დიქტატურა

როგორც იქნა, რვა დღის ჭაპან-წყვეტის შემდეგ ბრიანმა ახალი მთავრობა შეადგინა. თუმცა ნაციონალური ბლოკის განზრახვები ამ შემთხვევაში ვერ განხორციელდება იმ სახით, როგორც ეს მას უნდოდა, მაგრამ არსებითად ახალი კაბინეტი მსხვილი მრეწველობის და ბანკირების აღმასრულებელ ძალას უფრო მეტად წარმოადგენს, ვინემ წინანდელი მთავრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიანი ფორმალურად არ ეკუთვნის მემარჯვენე ბლოკს, მან დიდი ხანია დაამტკიცა მისდამი ერთგულება; ბრიანი შინაურ კაცად ითვლება მილიერან - პუანკარეს ჯგუფისათვის.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფიგურას ახალ კაბინეტში უეჭველად წარმოადგენს ჟოზეფ კაიო, რომელსაც ფინანსთა მინისტრის პორტფელი ჩააბარეს. ერთ დროს კაიო ოპოზიციაში უდგა მსხვილ ბურჟუაზიას, მაგრამ ბოლო წლებში მან რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკის გეზი და ბანკირების აგენტი შეიქნა. მან შარშან, როცა ფინანსთა მინისტრის სავარძელი დაიჭირა ერიოს კაბინეტში, გადაჭრით გაილაშქრა მსხვილი კაპიტალის დაბეგვრის წინააღმდეგ და ქვეყნის ფინანსიური გაჯანსაღება მუშათა კლასის, გლეხობის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ხარჯზე მოიწადინა სხვა მხრივ მას თავი არ გამოუჩენია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფრანკის კურსის განსამტკიცებლად მის მიერ ე. წ. „უზრუნველყოფის სესხის გამოშვებას, რომელიც სამარცხვინოდ გათავდა: მიუხედავათ გაძლიერებული კამპანიისა, ამ სესხიდან განაღდებულ იქნა მხოლოდ ექვსი მილიარდი ფრანკი ნაცვლად 40 მილიარდისა.

რა შეუძლია დღეს კაიოს უფსკრულში ვარდაჩენილ ფრანკის სახსნელად, რა[illegible]მა? პასუხი ნათელია: იგი ამჟამად უფრო მეტად, ვინემ შარშან, შეეცდება საფრანგეთის ძირფესვიანად შერყეულ ფინანსიურ მდგომარეობის გამოსწორებას მშრომელთაგან ზედმეტი გროშების ამოქაჩვის გზით, ხოლო მსხვილი კაპიტალი წინანდებურად ხელუხლებელი დარჩება. კაიო უკვე აპირებს მუშების ხელფასის და სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირის დაკლებას, თუმცა მათი ეხლანდელი ნივთიერი მდგომარეობა უაღრესად ცუდია. ამავე დროს იგი მოიწადინებს ფართე მოსახლეობის უფრო მეტად დაბეგვრას.

ცხადია, ასეთი ღონისძიებები მშრომელ მასებში უკმაყოფილებას გაზრდიან. და აი, კაიო ზომებს იღებს ამ უკმაყოფილების ჩასაკლავად, მშრომელთა ასალაგმავად. მას განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებენ, იგი ხდება მთავრობის პოლიციის ხელმძღვანელი, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებიც ფაქტიურად მის განკარგულებაში გადადიან, რომ საშუალება ჰქონდეს ჯარი და პოლიცია გამოიყენოს თავის „ფინანსიურ ღონისძიებათათვის“ ზურგის გასამაგრებლად, უკმაყოფილო ელემენტების „ჭკუის სასწავლებლად“. კაიო არის ფაქტიურად საფრანგეთის პრემიერი, და არა ბრიანი.

ის, რა თქმა უნდა, იმოქმედებს ბანკირებთან სრული შეთანხმებით და ამ მხრივ დაამთავრებს იმ ხაზს, რომელსაც ბრიანი დაადგა. როგორც ვიცით, უკანასკნელმა ქვეყნის ფინანსებზე ხელმძღვანელობა ბანკების წარმომადგენელთ გადასცა. უკანასკნელებმა უნდა შეიმუშავონ ფინანსიური პროგრამა, რომლის გატარება პარლამენტში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. მემარჯვენეებს დეპუტატთა პალატაში, მემარცხენე ბლოკის დაშლის შემდეგ, უკვე ჰყავთ უმრავლესობა, რომელიც არ დააყოვნებს კაიოს, ე. ი. ბანკირების ფინანსიურ ღონისძიებათა დადასტურებას. თუ ამ მხრივ რაიმე ეჭვს დაურჩა ადგილი, ბანკირები მოითხოვენ პალატის უფლებების შეზღუდვას ფინანსიურ საკითხებში, ე. ი. თავიანთ ფინანსიურ დიქტატურის გამოცხადებას.

მაგრამ კაიო ვერ შესძლებს ფრანკის ხსნას მარტო შინაური საშუალებებით, მარტო მშრომელთა უკიდურესი დაბეგვრით, რო კიდეც მოახერხოს ამის გატარება. ფრანკის ბედი დამოკიდებულია ნიუ-იორკსა და ლონდონზე როგორც საფრანგეთის დავალიანების გამო ამერიკა - ინგლისის მიმართ, ისე მთელი რიგი სხვა მიზეზების წყალობით. საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა რამდენიმედ მაინც შეიძლება განმტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა და ინგლისი მოისურვებენ ამას და აღმოუჩენენ ამ მხრივ მას სათანადო დახმარებას.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საფრანგეთის „დაუესიზაციის“ პირობით. ამერიკა კარგა ხანია ამას ცდილობს. და ეს ცდა კიდეც იქნება განხორციელებული. კაიო ამისათვის შესაფერ პირად მიაჩნიათ ამერიკელ ბანკირებს. ამიტომაცაა, რომ ისინი მხარს უჭერენ მის გამოცხადებას საფრანგეთის დიქტატორად.

ამნაირად, ზედ დაწოლა ფართე მოსახლეობაზე ქვეყნის შიგნით, საფრანგეთის გადაცემა ამერიკა - ინგლისის კაპიტალის სამოწყალოდ და მისი ჩაყენება გერმანიის პირობებში,—ასეთია კაიოს ფინანსიური პროგრამა, ასეთია საფრანგეთის „ხსნის“ გზა. თვით ბრიანმა ამას წინედ მშვენივრად დაახასიათა საფრანგეთის მდგომარეობა, როცა სთქვა: „ჩვენ ციკლონის ცენტრში ვართ მოქცეული. ბოლომდე უნდა გავყვეთ ქარიშხალს და ვიცურაოთ ქარის მიმართულებით“. ეს „ქარი“ კი საფრანგეთს ამერიკისადმი მონობისაკენ მიაქანებს. ასეთია შედეგი იმ წვრილბურჟუაზიულ პარტიების, მათ შორის „სოციალისტების“ უილაჯობის, რომელნიც ამ ორი წლის წინად ჩაუდგენ ხელისუფლებას სათავეში.

იერიში გრძელდება

(„პრავდა“-ს მოწინავე)

დეპეშები, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში ინგლისიდან მოდის, მოწმობს, რომ „შუბლმაგარნი“ არც კი ფიქრობენ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ცილისწამების კამპანიის შეწყვეტას. კიდევ მეტი, ცოფმორეულ რეაქციონერების თავხედობა შეუჩერებლივ მატულობს. „პატივცემული“ ლორდები, აღჭურვილნი მინისტრების საპასუხისმგებლო უფლებებით, თავის სიტყვებში საბჭოთა კავშირის შესახებ პირდაპირ გადავიდნენ სალახანურ სტილზე.

ეს „შუბლმაგარნი“ იმასაც კი ლაპარაკობენ, რომ „ბოლშევიკებმა“ ინგლისი „გაძარცვეს“, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის „ატანა“ ინგლისში შეუძლებელია, რომ საჭიროა მისი „გაძევება“, რადგან ის წარმოადგენს ერთ-ერთ წევრს იმ უნივერსალურ „ჯოჯოხეთურ მექანიზმისა“, რომელიც ბოლშევიკებმა შექმნეს და სხვ.

როგორც შუბლმაგარი მინისტრების ოფიციალურ გამოსვლებით, ისე შავრაზმელთა პრესის წერილები სავსეა მუქარით ჩვენ მიმართ.

ლორდ ბირკენხედი კვლავ იმეორებს, რომ ფული, რომელიც ინგლისელ სამთამადნო მუშებს მოუვიდათ საბჭოთა კავშირიდან, საბჭოთა მთავრობის ფულია. ბატონი ბირკენხედი დღემდეც საჭიროდ არ სთვლის ანგარიშის გაწევას იმისათვის, რომ თვით ინგლისის ნოტაც არ ეთანხმება მის განმარტებას და რომ ამ ნოტასაც ვერ გაუმეორებია ზღაპარი მთავრობის ფულის შესახებ. ბირკენხედის სიტყვით, „არ შეიძლება ერთმანეთისაგან გავაცალკევოთ საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო და საბჭოთა კავშირის მთავრობა. ისინი ერთად გამოდიან როგორც კლოუნი და არლეკინი „პანტალეონ“-ში, უძველეს პანტომიმის ბოლოს. ისინი ერთიანდებიან მოტყუების და ბოროტმოქმედების მიზნით“.

არა ნაკლებ თავაშვებულია ინგლისის რეაქციის მეორე ზუბრი—ჩერჩილი. ორივე, ბირკენხედიც და ჩერჩილიც მართლაც თავისებური არლეკინები არიან „პანტალეონებ“-ში იმ აღვირახსნილ და უღირს პანტომიმაში, რომელსაც ინგლისის რეაქცია ჩვენს წინააღმდეგ ასრულებს.

ჩერჩილი იქამდე მიდის, რომ ინგლისელ კომერსანტებს პირდაპირ ეკონომიურ ბოიკოტისაკენ მოუწოდებს საბჭოთა კავშირის მიმართ, რათა საბჭოთა კავშირში არ გაიზიდოს ინგლისის საქონელი, სანამ საბჭოთა კავშირი რაღაც განსაკუთრებულ შეღავათებს და რაღაც განსაკუთრებულ გარანტიებს არ წარმოადგენს. მისტერ ჩერჩილისაგან ჩვენ ვტყობილობთ აგრეთვე, რომ მას და მის მეგობრებს ძალიან უნდათ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა. მთელი უბედურობა მხოლოდ იმაშია, რომ არსებულ პირობებში ურთიერთობის ჩაშლა „არ იქნებოდა დროს შესაფერი“.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩერჩილი და მისი კომპანია ამჯობინებენ დროებით დაცდას (სანამ დამთავრდებოდეს ყოველგვარი შინაური „უსიამოვნებანი“, სამთამადნო მუშების გაფიცვა და სხვ.), ვიდრე სისრულეში მოიყვანდნენ უწმინდურ შეთქმულებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მისტერ ჩერჩილმა ძალიან ბევრი რამ წამოროშა. მისგან ჩვენ ეხლა ვტყობილობთ, რომ ინგლისის დიპლომატია მხოლოდ „თავს იკატუნებდა“, თითქოს საბჭოთა კავშირთან „მეგობრული ურთიერთობა“ ჰქონდა; მაშასადამე, ნამდვილად ის ჩვენს წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას ეწეოდა და ეხლაც მხოლოდ ხელსაყრელ „პირობებს“ უცდის, რომ აშკარად გამოილაშქროს.

ჩერჩილის გულახდილობა უფრო შორს მიდის. მისი სურვილია არა თუ ურთიერთობის გაწყვეტა ჩვენთან, არამედ ისიც კი, რომ ჩვენში ბოლო მოეღოს პროლეტარულ დიქტატურის რეჟიმს. „პირადათ იმედი მაქვს მოვესწრები იმ დროს, როცა რუსეთში იქნება განათლებული (იგულისხმეთ ბურჟუაზიული) მთავრობა“.

ჩვენ გავკადნიერდებით, აქ შენიშვნას მივსცემთ ჩერჩილს და მოვაგონებთ ერთ გარემოებას: ერთ დროს ის არა მარტო ფიქრობდა, რომ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციას „მოესწრებოდა“ ჩვენში, არამედ ცდილობდა კიდეც საბჭოთა რეჟიმის დამხობას ოცდაათი სახელმწიფოს ერთდროული „კულტურული“ შემოტევის გზით. გავკადნიერდებით მოვაგონებთ ჩერჩილს, რომ ის მაშინ „მოესწრო“ ინგლისის „მხედრობისა“ და ჩერჩილებისათვის მეტად არა სასიამოვნო შედეგებს.

საერთოდ კი მკითხაობა იმაზე, თუ ვინ რას და როდის მოესწრება მაინცა და მაინც ხელსაყრელი საქმე არ არის ბატონ ჩერჩილისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩერჩილი არ აპირებდა მაგალითად ისეთი ამბების „მოსწრებას“, როგორიც იყო საყოველთაო გაფიცვა ინგლისში. ასე, რომ უმჯობესია მან თავი დაანებოს საბჭოთა კავშირის „კულტურულ ჩაკვლაზე“ ზრუნვას.

ინგლისის იმ კონსერვატიულმა მინისტრებმა, რომელთაც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუკარგავთ სულგრძელობა, უნდა დაამშვიდონ თავისი უზომოთ დაუდეგარი ამხანაგები. არ შეიძლება ზრდილობის საზღვარის გადალახვა. დეე იცოდნენ, რომ ჩვენ არ გვეშინია „შუბლმაგართა“ მუქარისა.

დეე, მათ გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ უფრო ძლიერი გავხდით, ვინემ ვიყავით; ინგლისის კაპიტალიზმი კი უფრო სუსტი გახდა, ვინემ იყო.

ან „შუბლმაგარნი“ თვითონვე უნდა დაჩუმდნენ, ან ისინი უნდა დააჩუმონ იმათ, ვისაც არ ჰკარგავს პერსპექტივებს და ვისაც აინტერესებს საღი და მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვა ორივე ქვეყნის შორის.

გადმოცემულია ტელეგრაფით

მოსკოვი, 24 ივნისი.

გენერალურმა საბჭომ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს სამთა-მადნო მუშებს,

თემთა პალატამ მიიღო კანონპროექტი ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ

მუშათა პარტია მოითხოვს სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას საბჭოთა კავშირთან

ინგლისის მთავრობა აპირებს ახალი კანონის გამოცემას გაფიცვების შესახებ

კამათი საბჭოთა კავშირის შესახებ

ლონდონი, 23 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 23 ივნისს თემთა პალატის სხდომაზე მრავალრიცხოვანმა შეკითხვებმა „რუსეთის საქმის“ შესახებ, დიდი გამოცოცხლება გამოიწვია.

ზოგიერთი კონსერვატორები აშკარათ ესალმებოდენ ყოველგვარ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხოლო მუშათა პარტიის წევრები ტაშით ხვდებოდენ ყოველგვარ გამოსვლას საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **ლოკერ ლემპსონმა** განაცხადა, რომ „არკოსს“ უფლება არა აქვს დაბეჭდილი პაკეტების გაგზავნის კურიერები. საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებს შორის ინგლისში დაბეჭდილი პაკეტების გაგზავნის და მიღების უფლება აქვს მხოლოდ სავაჭრო დელეგაციას. გადასაგზავნი პაკეტების სიმძიმე კვირაში არ უნდა აღემატებოდეს 15 კილოგრამს. შემდეგ ლოკერ ლემპსონმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი, რომელიც სარგებლობს დიპლომატიური შეუვალობით, არის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე.

შემდეგი შეკითხვების საპასუხოდ ლოკერ ლემპსონმა განაცხადა, რომ ამჟამად ინგლისში არის საბჭოთა კავშირის მხოლოდ ერთი დიპლომატიური წარმომადგენელი და არც ერთი მთავრობას, საბჭოთა კავშირის მთავრობის გარდა, არ აქვს უფლება იყოლიოს ინგლისში დიპლომატიური პრივილეგიებით აღჭურვილი სავაჭრო წარმომადგენლები.

კითხვაზე,—თუ რატომ აქვს საბჭოთა წარმომადგენელს პრივილეგიები, რომლითაც არ სარგებლობენ სხვა ქვეყნების სავაჭრო წარმომადგენლები, ლოკერ ლიმპსონმა უპასუხა: „ამის მიზეზია ის, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობს ვაჭრობის მონოპოლია. თუ სხვა სახელმწიფო შემოიღებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას და დაიწყებს მოლაპარაკებას თავისი სავაჭრო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ინგლისში, მაშინ ინგლისის მთავრობა არსებულ პრეცედენტს მხედველობაში მიიღებს“.

პალატის რამოდენიმე წევრმა მოისურვა გაგება—გამოხატავს თუ არა მთავრობის ოფიციალურ პოზიციის ჩერჩილის და ბირკენხედის განცხადებები რუსეთის შესახებ.

ბალდუინმა განაცხადა, რომ ამაზე ის შემდეგში გასცემს პასუხს.

საფრანგეთის კომპარტიის თანაგრძნობა

პარიზი, 23 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობამ ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციას გაუგზავნა მისალმება, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს ინგლისის სამთამადნო მუშების ბრძოლას.

კანონპროექტი მიღებულია

პარიზი, 24 ივნისი. თემთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ 326 ხმის უმრავლესობის 147 წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ.

სიტრინი ბირკენხედის გამოსვლის შესახებ

ლონდონი, 23 ივნისი. ბირკენხედის გამოსვლის გამო კონსერვატიულ პარტიის ცენტრალურ საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც მიღებულია რეზოლიუცია სამრეწველო კონფლიქტების შესახებ 1906 წლის კანონის გაუქმების სასარგებლოთ, ცენტრალურ საბჭოს მდივანმა **სიტრინმა** შემდეგი განაცხადა:

„ბირკენხედის გამოსვლა ერთხელ კიდევ მოწმობს რეაქციის გაძლიერებას“. ბირკენხედის სიტყვა, წარმოთქმული იმის შემდეგ, რაც ბალდუინმა დაუთმო მაღაროს მეპატრონეთ სამუშაო დღის გადიდების საკითხში და ამავე დროს განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვა აქვს გადასინჯოს პროფკავშირთა შესახებ კანონმდებლობა და ის გარემოება, რომ გახშირდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების შემთხვევები, მოწმობს რომ უკიდურესმა კონსერვატორებმა გაიმარჯვა პარტიაში.

ისინი ამზადებენ ახალ მახინაციებს და ცხადია, რომ ბალდუინს არ შეუძლია მათი შეკავება.

ბირკენხედმა საშიში შეცდომა დაუშვა, როცა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ პროფკავშირებისა და მუშათა პარტიის ძალა და გავლენა აიხსნება მილიონი მუშების ერთგულებითა და ლოიალობით თავიანთი ორგანიზაციებისადმი, რასაც ვერ მოსპობს ვერც ბირკენხედის მიერ სუფრაზე წარმოთქმული სიტყვები და ვერც პარლამენტის დადგენილებანი“.

ხის დამმუშავებელი მუშები გაფიცვას აპირებდნენ

ლონდონი, 23 ივნისი. ლონდონის ხის დამმუშავებელი წარმოების მუშათა გაფიცვა თავიდან აცილებულ იქნა, რადგან მწარმოებლებმა უკან წაიღეს თავისი მოთხოვნილება, რომლის თანახმად ხის დამმუშავებელი წარმოებების მუშათა კავშირებს უნდა აღიარებიათ, რომ შემცდარი ნაბიჯი გადასდგეს, როცა მონაწილეობა მიიღეს საყოველთაო გაფიცვაში.

მწარმოებლებმა ძალაში დასტოვეს აგრეთვე საყოველთაო გაფიცვამდე არსებული ხელშეკრულებები.

გაფიცვის ჩაშლას ცდილობენ

ლონდონი, 24 ივნისი. კუმბერლენის სამთამადნო მუშებმა უარყვეს მაღაროს მეპატრონეთა წინადადება მოგებაში მონაწილეობის მიღების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ თანახმა არიან განიხილონ ეს საკითხი, როცა სამთამადნო მუშებსა და მაღაროს მეპატრონეებს შორის შეთანხმება მიღებულ იქნება საერთო ნაციონალურ მასშტაბით.

დახმარება სამთამადნო მუშებს

ლონდონი, 23 ივნისი. ფეიქართა გაერთიანებულმა კავშირმა სამთამადნო მუშების ფედერაციას გადასცა 15,00 გირ სტერლინგი, ლანკაშირის სამთამადნო მუშებს—5.000 გ. სტერლინგი და ამდენივე პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს.

კანონპროექტი ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ

ლონდონი, 23 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ნახშირის მრეწველობის რეორგანიზაციის კანონპროექტის მეორე წაკითხვის დროს, სამთამადნო მუშების წარმომადგენელმა—**ხარტოხორნმა** წინადადება შეიტანა კანონპროექტის უარყოფის შემდეგ, იმიტომ, რომ ის არ ჰგულისხმობს სანახშირო მრეწველობის სისტემატიურ უნიფიკაციას და ანგარიშს არ უწევს მეფის კომისიის წინადადებას ნახშირიანი ადგილების გამოსყიდვის და სახელმწიფოს მიერ ნახშირის გამსაღებელი აპარატის ორგანიზაციის შესახებ.

ხარცოხორნმა წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნეს ყველა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების კონფერენცია.

მთავრობის სახელით ხარცოხორნს პასუხი გასცა **ვარტინგტონ ივანსმა,** რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაზე იმ პირებთან მონაწილეობით, რომელთაც სამთამადნო მუშები დაავალებენ მოლაპარაკების წარმოებას; მაგრამ მთავრობა უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას სხვადასხვა პირებთან. ეს მოლაპარაკებები უშედეგოთ დამთავრდა, რადგან ამ პირთ არ ჰქონდათ რწმუნებები სამთამადნო მუშებისაგან ორივე მხარესათვის სავალდებულო შეთანხმების დასადებათ.

ხარცოხორნის წინადადება უარყოფილ იქნა. **კანონპროექტი თემთა პალატამ მიიღო.**

გენერალურ საბჭოს დახმარება სამთამადნო მუშების ფედერაციას

ლონდონი, 23 ივნისი. პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ სამთამადნო მუშების ფედერაციას დახმარების სახით 10.000 გ. სტერლინგი გადასცა.

მუშათა პარტიის მოთხოვნილება

ლონდონი, 23 ივნისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ წარადგინა შესწორება იმ რეზოლიუციისადმი, რომელიც კონსერვატორ მოგერ ლეპსონს შემოაქვს 25 ივნისს—საბჭოთა პროფკავშირების მიერ ინგლისის სამთამადნო მუშებისათვის დახმარების გადმოგზავნის გამო ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

მუშათა პარტიის შესწორების თანახმად **პროფკავშირებს უფლება აქვთ მიიღონ ფინანსიური დახმარება უცხოეთის მუშათა ორგანიზაციებისაგან. შესწორება წინადადებას აძლევს მთავრობას არამც თუ შეინარჩუნოს არსებული ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება, არამედ გააფართოვოს ის ინგლისის მრეწველობის ინტერესებისათვის.**

უმუშევრობა

ბერლინი, 24 ივნისი. ინგლისში უმუშევართა რიცხვი იზრდება. უკანასკნელ დროს უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 21.000 კაცით და ამჟამად აღწევს 1.600.000 კაცამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაფიცულ მაღაროს მუშებს.

კუკი—კონფერენციის გადადების შესახებ

ლონდონი, 23 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს კონფერენციის გადადების შესახებ კუკმა განაცხადა, რომ გადადების ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ინგლისის პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ იერიშების დასაძლევათ.

ანტი-საბჭოთა კამპანიამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია გენერალურ საბჭოს ბევრ წევრებში და, გარდა ამისა, სამთამადნო მუშების სიმტკიცემ სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ ბრძოლაში პროფკავშირების ბევრი ბელადი დაარწმუნა, რომ სამთამადნო მუშები იბრძვიან არა მარტო სამუშაო ხელფასის შენარჩუნებისათვის, არამედ მთელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის და მათ ბრძოლას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

კითხვაზე გენერალურ საბჭოს დამოკიდებულების შესახებ სამთამადნო მუშებისადმი კუკმა განაცხადა:

„ამ შემთხვევაში გენერალურმა საბჭომ დახმარება აღუთქვა სამთამადნო მუშების ფედერაციას ყველა პროფკავშირების მხრივ. **ეს კი იმას ნიშნავს, რომ გენერალური საბჭო სთხოვს ფედერაცას დაივიწყოს წარსული იმ სერიოზული საფრთხის წინაშე, რომელშიაც მუშათა მოძრაობა იმყოფება.** გენერალურ საბჭოს წინადადება სვამს საკითხს ნახშირის გადაზიდვის შეწყვეტის შესახებ და სამთამადნო მუშათა ფედერაცია ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ ეს საკითხი დადებითად იქნას გადაჭრილი“.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის შენიშვნაზე, რომ გენერალურ საბჭოს განცხადებაში არაფერი არ არის ნათქვამი ნახშირის გადაზიდვის შეწყვეტის შესახებ, კუკმა განაცხადა, რომ რკინისგზელთა და ტრანსპორტის მუშათა კავშირების მოქმედებას აფერხებს ის შეთანხმებები, რომელნიც მათ დასდვეს მწარმოებლებთან საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ.

კანონი გაფიცვების შესახებ

ბერლინი, 24 ივნისი. ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს გამოსცეს ახალი კანონი გაფიცვების შესახებ. **ეს კანონი პასუხისმგებლობას უკანონო გაფიცვისათვის გაფიცულებს აკისრებს.** ახალი კანონის თანახმად პროფკავშირები რეგისტრაციაში უნდა იქნენ გატარებული და გაფიცვის დაწყებამდე უნდა გატარდეს კენჭის ყრა.

კუკი არ აქვეყნებს თავის ბროშურას საყოველთაო გაფიცვის შესახებ

ლონდონი, 23 ივნისი. **რადგან გენერალური საბჭო მზად არის მხარი დაუჭიროს სამთამადნო მუშებს,** რაც გამოიხატა აღმასკომთა კონფერენციის გადადებაში, კუკი დასთანხმდა არ გამოაქვეყნოს თავისი ბროშურა საყოველთაო გაფიცვის შესახებ, რომ ამით ხელი არ შეუშალოს მთლიანი ფრონტის აღდგენას.

გაფიცვების ტალღა ჩინეთში

გაფიცულია 100.000 მუშა

პეკინი, 23 ივნისი. უკანასკნელ კვირების განმავლობაში, გაფიცულთა მოძრაობა ჩინეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაფიცულია დაახლოვებით **100.000** მუშა, რომელნიც უმთავრესად იაპონიის აბრეშუმის საქსოვ და კანაფის ქარხნებში მუშაობენ. გაფიცულია აგრეთვე ზოგიერთი სტამბის მუშები, ფოსტის მოსამსახურენი და სხ.

აბრეშუმის მქსოველებში ახლახან დაწყებულ გაფიცვის დროს მუშა-ქალებმა წარადგინეს მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის გადიდების და სამუშაო დღის შემოკლების შესახებ. გაფიცვის დროს დააპატიმრეს 8 ქალი. ათასზე მეტი მუშა გაემართა პოლიციის შენობისაკენ: ისინი ითხოვდენ დაპატიმრებულ მუშა-ქალების განთავისუფლებას. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იქნა, მიღწეულ იქნა შეთანხმება. მუშების ყველა მოთხოვნილებები 10 საათიანი სამუშაო დღის მუხლის გამოკლებით მიღებულ იქნა უცვლელად. სამუშაო დღე გრძელდება დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ერთი საათის შესვენებით.

ჩინელების შეურაცხყოფა ევროპიელების მიერ

პეკინი, 23 ივნისი. ჩინეთის პრესა შანხაიში უკმაყოფილებას გამოსთქვამს უცხოეთის უბნის მუნიციპალიტეტისადმი, რომელიც ჩინელებს უკრძალავს შესვლას პარკებსა და საზოგადოებრივ ბაღებში, მიუხედავად იმისა, რომ დაპირებული იყვენ ჩინელების ასეთი დამამცირებელი შეზღუდვანი მოესპოთ.

საბჭოთა პრესა

დიდ ქალაქების ზრდის მოწესრიგება

მსხვილი სამრეწველო და ადმინისტრატიულ ცენტრების მოსახლეობა მეტად სწრაფი ტემპით იზრდება. გარდა იმისა, რომ ქალაქებში დაბრუნდენ ის პირები, რომელნიც სიმშილობის წლებში სოფლად დაიფანტენ, დიდ ქალაქებისაკენ განუწყვეტლივ მოედინებიან გლეხების სულ ახალი - ახალი ფენები. საბინაო კრიზისი ქალაქებში, ამიტომ, მწვავე ხასიათს ღებულობს. თუმცა საბინაო მშენებლობა ფართედაა გაშლილი, მაგრამ ის უკან რჩება მოსახლეობის ზრდას და საცხოვრებელი ნორმა კლებულობს. ბინების სიმცირე, ქალაქის მოსახლეობის ზედმეტი სიმჭიდროვე ჰქმნის უაღრესად ცუდ მდგომარეობას ხალხის ჯანმრთელობისათვის, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების ნორმალურ განვითარებისათვის. საბინაო კრიზისი იწვევს მუშა-მოსამსახურეთა დასნეულებას, მათ სულიერ განწყობილების მიდუნებას და შრომის ნაყოფიერების დაცემას. ამავე დროს დაავადების ზრდას თან სდევს სოციალურ დაზღვევის ხარჯების ზრდაც, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს; ყველაფერი ეს აყენებს არა მარტო საბინაო მშენებლობის გაფართოვების ამოცანას, არამედ დიდ ქალაქების ზრდის მოწესრიგების საკითხსაც. სათანადო ეკონომიურ ღონისძიებებით ჩვენ უნდა მოვახდინოთ გავლენა იმ მიზეზებზე, რომელნიც იწვევენ ქალაქების მოსახლეობის ზრდას, უკანასკნელის შენელების მიზნით. გაზ. „იზვესტია“ თავის საყურადღებო წერილში ამბობს:

„ასეთი მიზეზები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მოქმედობს სოფლად, მეორე ქალაქად. პირველი მიზეზია სოფელში შედარებით (და არა აბსოლიუტურად) ზედმეტი მოსახლეობის აღმოცენება, ე. ი. ისეთი მოსახლეობის, რომელნიც ტეხნიკის ახლანდელ დონის და მეურნეობის ახლანდელ სისტემის დროს სრულიად ან საკმაოდ ვერ შოულობს სამუშაოს.

ამ მოვლენის მოსასპობად საბჭოთა ხელისუფლება თანდათან უფრო მეტ მუშაობას აწარმოებს. მრავალ ნათესიანობაზე გადასვლა, საერთოდ მიწათ-მოქმედების ინტენსიფიკაცია, გაუმჯობესებული იარაღები და მანქანები, მეურნეობის კოლექტიური ფორმები—აი ზოგიერთი ღონისძიებები, რომელთაც შეუძლიათ მიწათ-მოქმედების საერთო შრომის — ტევადობის გადიდება. უახლოეს წლებში კიდევ ბევრი რამაა მოსალოდნელი შინა მრეწველობის აღორძინების და შემდეგი გაფართოვებისაგან. დიდ როლს ითამაშებს კულტურისათვის ახალი არე-მარის დაპყრობა: სამუშაოები ჭაობების ამოსაშრობად და უდაბურ ადგილების მოსარწყავად. ეს სამუშაოები შეანელებენ ქალაქისაკენ ლტოლვას ჯერ კიდევ მათი წარმოების დროს, ხოლო დამთავრების შემდეგ მოგვცემენ მიწის მნიშვნელოვან რაოდენობას, სადაც უფრო მკვიდროდ მოეწყობა ახლა „ზედმეტი“ მოსახლეობის ნაწილი. შემდეგ უფრო ფართოდ და მწყობრად უნდა დავაყენოთ იმ თვალუწვდენელ ცალიერ ადგილებზე გადასახლების საქმე, რომელნიც დიდი ხნით გადაიქცევიან ბელლად არა მარტო ჩვენი კავშირის, არამედ ევროპისთვისაც“.

მეორე საკითხია, თუ როგორ უნდა იქნეს შემცირებული ლტოლვა დიდ ქალაქებისაკენ, რომელნიც უმისოდაც ზომაზე მეტად არიან დატვირთულნი მოსახლეობით. „იზვესტია“ ამაზე უპასუხებს:

„უდავოა, რომ ამ ლტოლვის ძირითად ეკონომიურ მიზეზს წარმოადგენს მრეწველობის სწრაფი ზრდა მათში. საგუბერნიო ქალაქები, სადაც არ არის ფაბრიკები და ქარხნები, ძალიან ნელა, ან სულაც არ იზრდებიან. როგორც ადმინისტრატიული ცენტრები, ისინი იზრდებიან მხოლოდ განსაზღვრულ, არც ისე დიდ ფარგლებამდე, მაშასადამე დიდ ქალაქებისაკენ ლტოლვის შემცირებისა და შემდეგ შეწყვეტის საკითხის გადაჭრა უმთავრესად მდგომარეობს გაშლის გზაზე მდგომ მრეწველობის მიზანშეწონილ განაწილებაში. მრეწველობის, რომელშიაც სოფლის „ზედმეტი“ მუშა ხელი ეძებს სამუშაოს. საკითხი ეხება იმას, თუ როგორ გავანაწილოთ მრეწველობა მთელ კავშირში და თვითეულ ოლქის ფარგლებში“.

ამგვარად, დიდ ქალაქების ზრდის მოსაწესრიგებლად არსებობს ორი მთავარი ღონისძიება: სასოფლო მეურნეობის განვითარება, რომ გლეხობამ იქ იშოვოს არსებობის წყარო, და მრეწველობის არა მარტო მსხვილ ქალაქებში თავმოყრა, არამედ მისი გეგმაშეწონილი განაწილება სხვა ადგილებშიაც. ამასთან დიდი მნიშვნელობა ექნება ცენტრიდან ზოგიერთ დაწესებულებათა სხვაგან გადატანას.

მდგომარეობა პოლონეთში

შეტაკება პოლიციასთან

პარიზი, 24 ივნისი. ვარშავაში მისტინის ბაზარზე მოხდა შეტაკება პოლიციასთან. პოლიციამ ასტეხა სროლა. მოკლულია ერთი, დაჭრილია 8 კაცი. დაპატიმრებულია 14 კაცი.

ოპოზიცია პილსუდსკისადმი

ბერლინი, 24 ივნისი. პოლონეთის სეიმში ადგილი ჰქონდა უაღრესად მღელვარე სხდომას. პილსუდსკის ყოველ მხრიდან ოპოზიცია შეხვდა. მას ყოფილმა მოკავშირეებმა—სოციალისტებმაც კი აღარ დაუჭირეს მხარი.

მიუხედავად ამისა პილსუდსკიმ გაიმარჯვა კრებაზე და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხი დაბრუნებულ იქნა კომისიაში.

პილსუდსკიზე თავდასხმის გარშემო

პარიზი, 24 ივნისი. უარყოფენ გერმანიის პრესის ცნობას პილსუდსკიზე თავდასხმის შესახებ.

სეიმის დათხოვნას მოითხოვენ

პარიზი, 24 ივნისი. დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის ჯგუფები, უკიდურესი მემარცხენე ფრთა და შრომის კლუბი მოითხოვენ სეიმის დათხოვნას და ახალი არჩევნების დანიშვნას 17 ოქტომბრისათვის.

საჩუქარი მდიდარ ნათესავს

ლონდონი, 24 ივნისი. სინგაპურიდან მიღებული ცნობით, მალაის ფედერალურ საბჭოს მთავრობამ მოიწონა ორი მილიონი დოლარის გადაცემა საიმპერიო მთავრობისათვის საჩუქარის სახით ახალი საზღვაო ბაზის მოსაწყობათ სინგაპურში.

ბერლინი, 24 ივნისი. ინგლისის მთავრობამ მალაის მთავრობისაგან მიიღო 2 მილიონი დოლარი სინგაპურში საზღვაო ბაზის მოსაწყობათ.

ერთა ლიგაში

ერთა ლიგა და პანამერიკული კავშირი

პარიზი, 24 ივნისი. გაზ. „ინდე პონდან ბელუ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკელებისა და ლათინურ ერების სოლიდარობას. ეს ერები ზოგიერთ გაზეთების შეხედულების წინააღმდეგ აცხადებენ, რომ ერთა ლიგა მათ სრულებითაც არ ესაჭიროებათ, რადგან მათ გაიმარჯვეს ამასწინანდელ პანამერიკულ კონფერენციაზე.

ჟენევაში იდეა ერთა ლიგის რეორგანიზაციისა ფედერატიულ საფუძველზე დღითი-დღე ვითარდება ლათინურ ამერიკის სურვილის თანახმად.

ჟენევა უძღვება მხოლოდ ევროპის საერთაშორისო საქმეებს, ამერიკელები კი ადგენენ პან ამერიკულ ლიგას.

საზღვაო კონფერენცია

ლონდონი, 24 ივნისი. ერთა ლიგის მიერ მოწვეულმა საზღვაო კონფერენციამ, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობს, 75 ხმის უმრავლესობით 22-ის წინააღმდეგ მიიღო კონვენცია სამშობლოში დაბრუნების წესის შესახებ.

გერმანიაში

რეიხსტაგის მუშაობის განახლება

ბერლინი, 23 ივნისი. ორშაბათს განახლდა რეიხსტაგის მუშაობა, რომელიც პლებისციტთან დაკავშირებული აგიტაციის გამო 7 დღით იყო შეწყვეტილი.

სიმართლის თქმისათვის

ბერლინი, 23 ივნისი. ლეიპციგის სახელმწიფო სასამართლომ სამხრეთ გერმანიის კომუნისტურ ორგანოს **„არბაიტერ ცეიტუნგის“** პასუხისმგებელ რედაქტორს **ფრიც რაუს** მიუსაჯა ათი თვით დაპატიმრება და 100 მარკა ჯარიმა. ფრიც რაუს ბრალდება დადებითი აზრის გამოთქმა საბჭოთა კინოფილმაზე „მისი მოწოდება“.

გერმანიის მაგალითით გათამამდნენ

ბერლინი, 24 ივნისი. ავსტრიის მონარქისტები ცდილობენ აიძულონ მთავრობა, რომ უკანასკნელმა ჰამსბურგებს დაუბრუნოს რევოლიუციის დროს ჩამორთმეული ქონება. მონარქისტების აზრით, ყოფილ იმპერატორის ოჯახს ან ქონება უნდა დაუბრუნდეს, ან მიეცეს ფულადი კომპენსაცია.

მემარცხენე პოლიტიკური პარტიები ამის წინააღმდეგ არიან.

საყოველთაო გაფიცვა და ინგლისის კომპარტიის ტაქტიკა

ინგლისის ახალგაზრდა, პატარა კომუნისტური პარტია ამ დიდი გაფიცვის დროს მამაცად იბრძოდა. მან მდგომარეობა სწორათ დააფასა და სწორი ტაქტიკის წარმოებაც შესძლო. მისი სახელმძღვანელო თვალსაზრისი შემდეგი იყო: დღევანდელი კრიზისი ჯერ კიდევ არ არის ისეთი რევოლიუციური კრიზისი, რომელიც გაბატონებულ კლასს შიშის ძრწოლას მოგვრის, მაგრამ ის იმ ხანგრძლივი კრიზისების პერიოდის ერთი რგოლია, რომელიც ბრიტანეთის კაპიტალიზმის დაქვეითებას სდევს თან.

შეუდრეკელი ენერგიით შეიჭრენ კომუნისტები პროფკავშირებში, მემაღაროების მებრძოლი სულის სიძლიერე რამდენიმეთ კომუნისტ-მემაღაროების გავლენას უნდა მიეწეროს. პარტია მტკიცეთ იცავდა გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკას, იმისდამიუხედავად, რომ ის მუშათა პარტიიდან გამორიცხეს და რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელები პროვოკაციულად თავს ესხმოდენ მას. კომპარტიამ იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ იმ თავითვე პროლეტარული თავდაცვისა და ჯარისკაცების მიმხრობის საკითხი დასვა მუშათა მასების წინაშე, თუმცა ასეთი იდეებისთვის მის ხელმძღვანელებს სამართალში აძლევდნენ და ასობით ციხეებში ამწყვდევდნენ.

აქ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხურის აღნიშვნა შეიძლება ინგლისის კომპარტიის ბრძოლის ისტორიიდან. „სამეფო სანახშირო კომისიის“ მოხსენებამ კომპარტიას საფუძველი მისცა კამპანიის საწარმოებლად. პარტიამ სამი ძირითადი მოთხოვნილება წარადგინა ამ მოხსენების მიხედვით:

1) არავითარი გაგრძელება სამუშაო დღისა, სამუშაო ქირის მომატება, ხელშეკრულების დადება ნაციონალური მასშტაბით.

2) მაღაროების ნაციონალიზაცია პატრონების აუნაზღაურებლად.

3) მუშათა ძალების სრული მობილიზაცია კაპიტალისტური შემოტევის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია სული და გული იყო „უმცირესობის მოძრაობის“ მებრძოლი კონფერენციისა, რომელიც 21 მარტს შეიკრიბა, რომელმაც ისტორიული როლი შეასრულა: ბრიტანეთის პროლეტარიატს შეაგნებინა, რომ უდიდეს, პასუხისსაგებ ხანაში იმყოფებოდა.

როცა 29 აპრილის პროფკავშირების გამგეობათა კონფერენცია შეიკრიბა, პარტიამ მას ღია წერილით მიმართა. გაახსენა „შავი პარასკევი“, ნაყოფი კაპიტალისტების და პროლეტარიატის თანამშრომლობისა და „წითელი პარასკევი“, ნაყოფი პროლეტარიატის სოლიდარული მუშაობისა. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „მუშათა კლასის სახელით“ ამ კონფერენციას მოსთხოვა ორგანიზაციულად დარაზმული მუშათა კლასის მთელი ძალა მემაღაროების სასარგებლოდ აემოძრავებია. კომუნისტებმა ნათლად და პრაქტიკულად გამოარკვიეს, რომ საჭიროა საერთაშორისო მუშათა კონფერენციის მოწვევა საერთაშორისო ბლოკადის შესაქმნელად ბრიტანეთის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ხოლო თავის „მოწოდებაში მუშების მიმართ“ პარტიამ გაიხსენა, რომ კომუნისტებმა იწინასწარმეტყველეს ბრძოლის აუცილებლობა და დაამტკიცეს, რომ მემარჯვენე ბელადები განზრახ აყოვნებდნენ საფუძვლიან მზადებას ბრძოლისათვის. პარტიამ გენერალურ საბჭოს მოსთხოვა სერიოზულად მოპყრობოდა იმ უფლებას და დავალებას, რომელიც მუშათა კლასისგან მიიღო; გარდა ამისა ის მოითხოვდა ქვანახშირის შემოზიდვის შეჩერებას, მატყუარა კაპიტალისტური პრესის ალაგმვას, მებრძოლი კომიტეტების დაარსებას, მუშათა დამცველ რაზმების შეიარაღებას, სასურსათო კომისარიატების მოწყობას და სხვ.

მაისს პარტიამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადასდგა [illegible] ერებია; ამ დღეებში პარტიამ სამი მნიშვნელოვანი ლოზუნგი შეიმუშავა:

1. საყოველთაო გაფიცვის პირველი პერიოდის ლოზუნგი (არავითარი გაგრძელება სამუშაო დღის, არავითარი შემცირება ხელფასისა!) საკმაო აღარ არის, უნდა მოვითხოვოთ მაღაროების ნაციონალიზაცია აუნაზღაურებლად, როგორც ერთად ერთი საწინდარი კაპიტალისტების შემოტევის წინააღმდეგ.
2. კონსერვატიული მთავრობის გადადგომა.
3. მუშური მთავრობის შედგენა.

პარტია აშკარად დარწმუნდა, რომ საყოველთაო გაფიცვა ვერ გაიმარჯვებდა, თუ ის შემდეგაც მოგერიების ტაქტიკას მიჰყვებოდა. ის მუშებს ეუბნებოდა: „დიდათ საჩიფათოა მუშათა კლასისთვის გაფიცვის შემოზღუდვა წმინდა მოგერიებითი ზომებით. გამარჯვებისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ მუშათა კლასი შეტევაზე გადავიდეს და კაპიტალიზმს გამანადგურებელი ბრძოლა გაუმართოს.

შემდეგ პარტიამ კიდევ ახალი ლოზუნგი შეიმუშავა: გაფიცვის დროს გაცდენილი დღეების ანაზღაურება, მიტომ, რომ გაფიცვა მუშებს მწარმოებლებმა და მთავრობამ მოახვიეს თავს.

პარტიის აგიტაციაში იმ თავითვე დიდ როლს თამაშობდა მუშათა კლასის გათვითცნობიერება არმიის მნიშვნელობის შესახებ და ჯარისკაცების გათვითცნობიერება მათი ნამდვილი პოლიტიკური ინტერესების შესახებ.

კომუნისტურმა პარტიამ იმ წამსვე გააფრთხილა მუშები, როგორც კი თავი იჩინა გენერალური საბჭოს აშკარა ღალატის ნიშნებმა. ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ პარტიამ ფართო მუშათა მასების გრძნობები გამოხატა, როცა მან მემარჯვენე ბელადების გამცემლობა სამარცხვინო ბოძზე გააკრა, ხოლო უილაჯო „მემარცხენეებს“ დამარცხების პასუხისმგებლობა დააკისრა. მან მუშებს მოსთხოვა, რომ ბრძოლის ხელმძღვანელობა თვით ეკისრათ, გაფიცვა გაეგრძელებიათ, სამუელის („ქვანახშირის კომისიის“ თავმჯდომარის) მემორანდუმი უარეყოთ და კიდევ უფრო განემტკიცებიათ სოლიდარობა მემაღაროებთან.

„ხელი მოაშორეთ მემაღაროებს!“—აი მთავარი ლოზუნგი 13 მაისის პარტიული მანიფესტისა, რომელშიც გადმოცემულია, თუ როგორ იქნა გამოყენებული მთელი უზარმაზარი სახელმწიფოებრივი აპარატი მუშების გაფიცვის წინააღმდეგ, როგორ ეწეოდნენ თანამშრომლობას მემარჯვენე ბელადები და მთავრობის წევრები და, ბოლოს, კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული ეგრეთწოდებული მემარცხენეები, „რომელთაც დღესაც არ შესწევთ იმდენი გამბედაობა, რომ აშკარად გამოვიდნენ, როგორც გენერალური საბჭ. უმცირესობის წარმომადგენლები და მუშათა მასებს მიემხრონ ბალდუინისა, სამუელისა და ტომასის გაერთიანებული ფრონტის წინააღმდეგ“. მანიფესტი არდგენს შემდეგ მოთხოვნილებას: დაუბრუნდით მუშაობას, ბრძოლა გააგრძელეთ, დაუყოვნებლივ მოიწვიეთ ყველა საგაფიცვო და სამოქმედო კომიტეტების კონფერენცია.

საერთოდ ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ მართებული ტაქტიკა აწარმოვა. მან აღიარა ბრძოლის აუცილებლობა დიდი ხნით ადრე საყოველთაო გაფიცვის დაწყებამდე, მან ბრძოლის განგრძობა დაადასტურა. არსებითად მან გადაისროლა პირველად საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგი. გაფიცვამდეც და გაფიცვის დროსაც მან მუშათა კლასის ყველა ძალების შემჭიდროება მოითხოვა, მანვე მოითხოვა წარმოებაში მდგომ მუშების შეთანხმება უმუშევრებთან.

იმ თავითვე ინგლისის კომპარტია მოითხოვდა, რომ ბრძოლის ფრონტი გაფართოებულიყო საერთაშორისო მასშტაბით. მისი მთავარი მისწრაფება იყო, რომ ამ დიდ პოლიტი[illegible]რ ბრძოლას დიდი პოლიტიკური შეგნებაც მისცემოდა. ის შეეცადა, რომ კერძო საკუთრების საკითხი დაესვა მაღაროების ნაციონალიზაციის საკითხთან ერთად. ის ცდილობდა მუშათა კლასის მებრძოლი ძალები გაეერთიანებია და ამისთვის შეიარაღების საკითხი წარმოადგინა. მან თავის დროზე მიაქცია მუშების ყურადღება იმას, რომ გაფიცვამ ეკონომიური საზღვრები გადალახა, რომ მთავრობამ ყველა სახელმწიფოებრივი ღონისძიებები გამოიყენა, რომ მხოლოდ შეტევაზე გადასვლა უზრუნველყოფდა გამარჯვებას, რომ ჯარისკაცებისა და მუშების დამმობილება გამარჯვების ძირითადი პირობა იყო. ბოლოს მან აშკარად წარმოადგინა ხელისუფლების საკითხი, როცა კონსერვატიული მთავრობის გადაყენება და მუშათა მთავრობის შედგენა მოითხოვა.

სანამ აშკარა ღალატი მოხდებოდა, კომპარტია კრიტიკულად უცქეროდა და ამხელდა მემარჯვენე ბელადებს, წინასწარმეტყველებდა მის გამცემლობას. ღალატის შემდეგ მან ეს ხალხი სამარცხვინო ბოძზე გააკრა, როგორც ბურჟუაზიის აგენტები, ხოლო ეგრეთწოდებული „მემარცხენეები“ საბრალმდებლო სკამზე დასვა, როგორც ამ აშკარა გამყიდველების თანამოაზრეები. მაგრამ ამასთანავე, მთელი ბრძოლის განმავლობაში ის დარწმუნებული იყო, რომ არ შეიძლება მთლიანი პროლეტარული ფრონტის დაშლა და კონტაქტის შეწყვეტა ფართო მასებთან.

მაგრამ ამ სწორმა ტაქტიკურმა ხაზმა მაინც ვერ შეაჩერა გამყიდველობა და დამარცხება. [illegible] ნაყოფს გამოიღებს. არის ნიშნები, რომ კომპარტიამ ფართო მუშური მასების ნდობა შეიძინა და უკვე დღეს ის ღალატით იმედგაცრუებული, გამწარებული მასების ხელმძღვანელი ხდება.

ამ ცნობების გვერდით საინტერესოა ერთი კანადელი ამხანაგის შთაბეჭდილებების გაცნობაც: ამ ამხანაგმა ამ ცოტა ხნის წინათ შემოიარა უელსის ქვანახშირის რაიონი.

„მე სამხრეთ უელსში აღმოვაჩინე საბჭოების ერთგვარი ჩანასახი“-ო—ამბობს ის: იქ ამ ორგანიზაციებს „დახმარების კომიტეტებს“ უწოდებენ მათი მიზანი, სხვათა შორის, სურსათის მიწოდებაა. ერთი ასეთ კომიტეტის სხდომას დავესწარი. კომიტეტი ინახავს სამზარეულოს, რომელიც საკვებს აწვდის ხუთი ათას კაცს. მე მრავალ კრებებზე ვილაპარაკე სამხრეთ უელსში. გაფიცულ მემაღაროების შეუდრეკელობა განსაცვიფრებელია. მათ გადაწყვეტილი აქვთ რამდენიმე თვე, თუნდ მთელი წელიწადიც გასძლონ. კუკის სახელის გახსენება დიდ აღტაცებას იწვევს. ყველანი დიდი მადლობელნი არიან რუსის მუშებისა, რომელთაც მათ ამდენი ძვირფასი დახმარება მიაწოდეს. მით უფრო ძლიერია მემაღაროებში ტომასის სიძულვილი, ის ბრიტანეთის პროლეტარიატის გამცემელთა მთავარ ოსტატათ ითვლება. კომუნისტური პარტიის გავლენა და პატივისცემა იზრდება. ზოგიერთ ადგილას კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვმა ორჯერ მოიმატა. აღნიშნული კომიტეტის 21 წევრიდან ათი კომუნისტი იყო.

„როტე ფანე“.

ჯონ პეპერ.

„ფორვერტს“-ი უკმაყოფილოა

გერმანიის ბანკების პოლიტიკით

ბერლინი, 23 ივნისი. გაზ. „ფორვერტს“-ი ეხება რიკოვის წინადადებებს, რომელიც მან მისცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გერმანიისათვის მისაცემ დაკვეთების ნაწილის სხვა ქვეყნებში გადატანის შესახებ. გაზეთი სწერს:

„რუსეთის დაკვეთების გაუქმება გერმანიაში მოულოდნელი არ არის. მოლაპარაკება კრედიტების გაღების შესახებ დიდი ხნით გაჭიანურდა და შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული. როგორც სჩანს, გერმანიის ბანკებს და ფირმების ერთ ნაწილს მთავრობის გარანტია 300 მილიონიან კრედიტის უზრუნველსაყოფად სურდათ თავის საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებიათ. **საბჭოთა კავშირი სავსებით სამართლიანად არის განცვიფრებული იმით, რომ მთავრობის მიერ კრედიტის უზრუნველყოფის მიუხედავად ბანკები ისეთ პროცენტებს** მოითხოვენ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებული იქნეს გერმანიის მრეწველობის მისწრაფებით დაიპყროს რუსეთის ბაზარი.

ახლა საბჭოთა კავშირმა მოლაპარაკების გაჭიანურებაზე უპასუხა თავისი დაკვეთების გაუქმებით. **ეს კი საგრძნობ ზიანს აყენებს გერმანიის ექსპორტს. საჭიროა, რომ საიმპერიო მთავრობამ თავის მხრივ გავლენა მოახდინოს ბანკებზე იმ მხრივ, რომ მათ საბჭოთა კავშირს გარიგების დროს უფრო ხელსაყრელი პირობები მისცენ.**

იმ ფაქტმა, რომ გერმანიის მეურნეობა დათანხმდა გერმანიის ბანკების კრედიტის მძიმე პირობებზე,—ამის მაგიერ, რომ ენერგიული პროტესტი განეცხადებია,—საზარალო გავლენა იქონია გერმანიის ექსპორტის ინტერესებზე.

საიმპერიო მთავრობის და საიმპერიო ბანკის უპირველესი ამოცანაა დახმარების აღმოჩენა ამ საქმეში.

ინგლისი და კოლონიები

ემერი კმაყოფილია

ლონდონი, 24 ივნისი. გუშინ საჯარო სადილზე კოლონიათა მინისტრმა **ემერიმ** განაცხადა, რომ მან დაბოლოს მიიღო დეპეშა, რომელიც აცნობებს, რომ მალაის ფედერალურ სახელმწიფოთა საკანონმდებლო საბჭოს სხდომაზე მიღებულია რეზოლიუცია, შეტანილი სულთან სელანგორას მიერ მალაის სხვა სახელმწიფოთა სულთანების და აგრეთვე ბრიტანეთის პრეზიდენტების დასტურით. ამ რეზოლიუციის მიხედვით ხუთი წლის ვადის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის მთავრობას უნდა მიეცეს 2 მილიონი გირვ. სტერლინგი იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც გაწეული იყო სინგაპურის საზღვაო ბაზრის მოსაწყობად.

ემერიმ მადლობა გამოსთქვა ამ ნებაყოფლობითი და მოულოდნელი წინადადების გამო და აღნიშნა სხვა მშვენიერი მაგალითები იმპერიის თავდაცვის საქმეში თანამშრომლობისა. სახელდობრ: მან მოიგონა სტრეტი სეტლმენტის ტერიტორიის დიდსულოვანი საჩუქარი მომავალ ბაზისადმი მიძღვნილი გონკონგში და გემების კონტროლის შემოსავალთაგან შეგროვილი 25.000 გირ. სტერლინგი.

ემერიმ სთქვა, რომ თემთა პალატაში მალე იქნება შეტანილი კანონპროექტი 10 მილ. გირვ. სტერლინგის საიმპერიო სესხის უზრუნველყოფის შესახებ. სესხის დანიშნულებაა აღმოსავლეთ-აფრიკის რკინისგზებისა და ნავთსადგურების გაფართოება.

ემყარებოდა რა ამას წინედ წარმოთქმულ თავის შენიშვნებს ტანგანაიკას ტერიტორიის შესახებ, ემერიმ სთქვა, რომ მას სურს კვლავ ნათლად დაამტკიცოს, რომ ინგლისმა ერთა ლიგის წინაშე შეასრულა თავისი სამანდატო ვალდებულებანი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ამ მანდატის მიხედვით ვალდებულებანი ტანგანაიკას ტერიტორიის მიმართ ინგლისმა ნებაყოფლობით იკისრა. ინგლისმა ამ ტერიტორიისათვის შექმნა ისეთი მდგომარეობა, როგორიც საჭიროებს ტერიტორია, რომელიც ღია არის ყველასათვის.

როგორც ყოფილ მტრებს, ისე ყოფილ მოკავშირეებს თავისუფლად შეუძლიათ ჩასახლება და ვაჭრობის წარმოება იმ წინანდელ გერმანულ კოლონიაში. რაც შეეხება ტანგანაიკას მუდმივ მფლობელობას, ემერი, როგორც მან წინად განაცხადა სცნობს, რომ ინგლისი ჰფლობს და მართავს ტანგანაიკას იმავე საფუძვლების მიხედვით, როგორც სხვა ტერიტორიებისათვის არსებობს.

ირაქის შესახებ ემერიმ განაცხადა, რომ ინგლისი ამ საკითხში მტკიცედ ეყრდნობოდა იმ ელემენტების უფლებებს, რომელთათვისაც ინგლისი მეურვეს წარმოადგენს. მაგრამ ამასთან ერთად, ინგლისმა ნათლად დაამტკიცა, რომ მას არა აქვს აგრესიული განზრახვები.

ემერი ჰფიქრობს, რომ უკვე განხორციელდა ჭეშმარიტი და ხანგრძლივი ზავი ინგლისსა და ოსმალეთს შორის.

ახალი მთავრობა საფრანგეთში

კაიო ფინანსების გაჯანსაღებას მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე აპირებს

კაიო შიშობს, რომ მისი „რეფორმები" მღელვარებას გამოიწვევენ

პოლიცია და ჯარი მღელვარების მოლოდინში ფინანსთა მინისტრს დაუმორჩილეს

ბრიანის კაბინეტი

ლონდონი, 24 ივნისი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბრიანმა დღეს ღამით გამოაცხადა, რომ ახალი კაბინეტი შედგარია. ამრიგად დამთავრდა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც 8 დღე გაგრძელდა. ახალი კაბინეტის ყველაზე უფრო გამოჩენილ ფიგურას წარმოადგენს ყოფილი პრემიერი **კაიო**, რომელმაც მიიღო ფინანსთა მინისტრის პორტფელი; თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს აგრეთვე გენერალი გიიომა, გამოჩენილი ფრანგი სამხედრო ბელადთაგანი, რომელმაც ეხლა ბრიანის კაბინეტში სამხედრო მინისტრის პორტფელი მიიღო.



არისტიდ ბრიანი
პრემიერ-მინისტრი

ბრიანმა განაცხადა, რომ მან თავისი სურვილის წინაალმდეგ უარი სთქვა პუანკარესთან და დუმერგთან თანამშრომლობაზე.

დიდ იმედებს ამყარებენ კაიოზე

ლონდონი, 24 ივნისი. ბრიანმა განაცხადა, რომ ის ენერგიულ დახმარებას უწევს კაიოს მომჭირნეობის პოლიტიკის განხორციელებაში და ხარჯების შემცირებაში.

მთავრობის პარტიული შემადგენლობა

პარიზი, 23 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის მთავრობა საბოლოოდ ასეთი შემადგენლობისაა:

პრემიერ და გარეშე საქმეთა მინისტრი **ბრიანი**; —რესპუბლიკანელ სოციალისტი პრემიერის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი **კაიო**—რადიკალი. იუსტიციის მინისტრი **ლავალი**—უპარტიო; შინაგან საქმეთა მინისტრი **დიურანი**—რადიკალი; სამხედრო მინისტრი გენერალი **გალიომე**—არა დეპუტატი; საზღვაო მინისტრი **ჟორჟ ლეიგი**—მემარცხენე რესპუბლიკანელი; სახალხო განათლების მინისტრი **ნოგარო**—რადიკალ-სოციალისტი; ვაჭრობის მინისტრი **შაპსალი**—რადიკალი; საზოგადმო სამუშაოთა მინისტრი **დანიელ ვენსენი**—მემარცხენე რადიკალი; მიწათმოქმედების მინისტრი **ბინე** — რადიკალ-სოციალისტი; კოლონიათა მინისტრი **პერე**—რადიკალი; სოციალურ უზრუნველყოფის მინისტრი **ჟურდენი**—მემარცხენე რესპუბლიკანელი; შრომის მინისტრი **დიურაფური**—რადიკალ-სოციალისტი.

კაიოს პროგრამა

პარიზი, 24 ივნისი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ კაბინეტში შედის საფინანსო საქმის 5 სოციალისტი: შაპსალი, პიეტრი, დიუბუიენი, ნოგარო და დიუტრეინი.

„ეკო დე პარი" სწერს, რომ კაიოს პროგრამა ჰგულისხმობს წესრიგის აღდგენას ფინანსთა სამინისტროში, ხარჯების ენერგიულად შემცირებას, ფრანკის სტაბილიზაციას, ხაზინის გაჯანსაღებას, ვაშინგტონის ხელშეკრულების კრიტიკულად განხილვას და კომერციულ ხელშეკრულებების ხალახალ რედაქციას.

კაიო ემზადება

პარიზი, 23 ივნისი. როგორც მემარჯვენეები, ისე მემარცხენეები უფრთხოდენ პასუხისმგებლობის მიღებას თავის საფინანსო პოლიტიკისათვის.

პუანკარეს ვერ შეუთანხმდენ, რადგან ის იუსტიციის მინისტრის პორთფელს მოითხოვდა, ხოლო ბრიანის მიერ კაბინეთში მიწვეული რადიკალები მხოლოდ ფინანსთა მინისტრის პორთფელს აძლევდენ მას.



ჟოზეფ კაიო
ფინანსთა მინისტრი

კაიო მთავრობაში შესვლაზე დასთანხმდა იმ პირობით, თუ მის ხელში გადავიდოდა პოლიტიკის ფაქტიური ხელმძღვანელობა და სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებათ დანიშნულ იქნებოდენ მისი მომხრეები, რადგან განზრახული აქვს სამუშაო ხელფასის და სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების გადასინჯვა და შემცირება, რასაც შეუძლია განიწვიოს მღელვარება, ამიტომ საჭიროა, რათა მის ხელში იქნეს პოლიცია და ჯარი.

პრესა ახალი მთავრობის შესახებ

პარიზი, 24 ივნისი. გაზეთი „პარი ზიენ" სწერს, რომ კაბინეტი ტეხნიკურად ერთფეროვანია, მას კარგად შეხვდა პარლამენტი და და საზოგადოებრივი აზრი.

ბრძოლა მაროკოში

პარიზი, 24 ივნისი. საფრანგეთის მე-128-ე დივიზია ამთავრებს თავის ოპერაციებს უეცანას რაიონში. დივიზიამ ალყა შემოარტყა რაუსის და რაისის ტერიტორიას.

შეტაკება მექაში

ლონდონი, 24 ივნისი. ქაირიდან მიღებული ცნობით მექის მახლობლად ქალაქ მუნთან ეგვიპტის ჯარისკაცებს და ვახაბიტებს შორის სერიოზული შეტაკება მოხდა. ბრბო შეეცადა ჩაეჩუმებია ეგვიპტელთა ორკესტრი. ეგვიპტელებმა ასტეხეს სროლა, მოკლულია 25 კაცი.

ფინეთის პრეზიდენტი რიგაში

ბერლინი, 24 ივნისი. რიგაში ჩავიდა ფინეთის პრეზიდენტი როლენდერი, რომელიც მეგობრულად მიიღო ლატვიის პრეზიდენტმა ჩაკსტემ.

პრესა აღნიშნავს, რომ ეს შეხვედრა ფინეთისა, ლატვიისა და ესტონის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცების დასაწყისია.

სრული დიქტატურა პორტუგალიაში

ბერლინი, 24 ივნისი. „ტელეგრაფ უნიონის" ცნობით, პორტუგალიაში სამხედრო მდგომარეობაა გამოცხადებული; გაზეთებზე ცენზურაა დაწესებული. ამგვარად, დღეს პორტუგალიაში სრული დიქტატურაა.

ხმები დადის, რომ მონარქიის რესტავრაცია მოხდება.

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

პარიზი, 23 ივნისი. საფრანგეთის კომპარტიის ყრილობაზე ცენტრის წარმომადგენელმა **მორანმა** და **უმბერდტომ** გააკრიტიკეს ცენტრალური კომიტეტის მუშაობა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ პარტიის რეორგანიზაცია ბოლომდე არ ყოფილა გატარებული, პარტიული ორგანიზაციების მიერ ძირითად პოლიტიკურ საკითხების განხილვა ვერ არის ფართედ დაყენებული და საჭიროა პარტიული აპარატის უფრო საფუძვლიანი დემოკრატიზაციის გატარება.

ორატორების აზრით, ცეკა იყო მემარცხენე ფრთის ტყვე და მორიგ კამპანიების დროს უკიდურეს მემარცხენე ლოზუნგებს აყენებდა. მიუხედავად ამისა ორივე ორატორი აცხადებს, რომ ხმას მისცემენ ცეკას პოლიტიკურ ანგარიშის დამტკიცებას და კომინტერნის სურვილის თანახმად მხარს დაუჭერს ცეკას ძირითად შემადგენლობის გადარჩევას.

მარტიმ განაცხადა, რომ მისი აზრით, კამპანიები კოლონიალურ ავანტიურების წინააღმდეგ და ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის დასახმარებლად არა საკმაო ენერგიით ტარდებოდა.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ნორვეგია

ოსლო, 23 ივნისი. ოსლოში კომუნალურ მუშებს და ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვაში 4.200 კაცი ღებულობს მონაწილეობას. ქალაქს არ აქვს ელექტრონის სინათლე, წყალი და ტრამვაი. მუშაობენ მხოლოდ საავადმყოფოს მოსამსახურენი და მესაფლავეები, რომელთაც სპეციალური ნებართვა აიღეს გაფიცვის კომიტეტიდან.

ადგილობრივი ხელისუფლება აწარმოებს შტრეიკბრეხერების გაძლიერებულ მობილიზაციას.

ჩეხო-სლოვაკია

გაფიცვა ერთი დღით

პრაგა, 23 ივნისი. დასავლეთ ჩეხიის სამრეწველო რაიონის **წარმოებებში ჩატარებულ იქნა ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციებზე არსებულ გადასახადების წინააღმდეგ.**

გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კომუნისტმა და სოციალ-დემოკრატებმა მუშებმა.

რუმინეთი

ტრანსპორტელების გაფიცვა

ვენა, 23 ივნისი. გალაცში გაიფიცენ ნავთსადგურებისა და ტრანსპორტის მუშები; სულ გაფიცულია 4.000 კაცი.

მუშებმა წამოაყენეს მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის 50 %-ით მომატების შესახებ. პოლიციამ დააპატიმრა 14 მუშა. პოლიციის ზეგავლენით მუშების ნაწილი დასთანხმდა მუშაობის განახლებაზე; მათ შეპირდენ, რომ სამუშაო ხელფასს მოუმატებენ.

გადაფრენა ავსტრალიაში

ალან კობხემა, რომელიც ამთავრებს თავის სამზადისს ავსტრალიაში გადაფრენისათვის, მეგობრული წერილი მიიღო ავსტრიის შტატების პრემიერი სტენლი ბრუსისაგან.

წერილში ნათქვამია: „თქვენი ტრიუმფალური დაბრუნება კაპშტადტ-კაირის პიონერულ გადაფრენისაგან დიდ იმედებს გვაძლევს, რომ თქვენი ეხლანდელი ავსტრალიაში გადაფრენაც ასეთივე ბედნიერი შედეგებით დამთავრდება.

ავსტრალიის ხალხის იმედები და სიმპატიები იქნება თქვენთან და გარწმუნებთ, რომ თქვენ აქ შეხვდებით უთბილეს თანაგრძნობას.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის ცნობა ისლანდიის მიერ

მოსკოვი, 24 ივნისი. დანიის საქმეთა რწმუნებულმა გარეშე საქმეთა სახ. კომისარს გადასცა ნოტა, რომლითაც იგი აცნობებს, **რომ ისლანდიის მთავრობამ დე-იურე იცნო საბჭოთა კავშირი.**

შენიშვნა: ისლანდია დამოუკიდებელი კუნძულების სახელმწიფოა, რომელსაც დანიასთან ერთად საერთო მეფე და გარეშე საქმეთა მინისტრი ჰყავს; ისლანდია ატლანტის ოკეანეზეა, ინგლისის ჩრდილოეთით.

ქალანტაროვის აღმოჩენა

ლენინგრადი, 24 ივნისი. მეცნიერმა ქალანტაროვმა ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოახდინა ცვალებად ელექტროდენის დარგში.

ამ აღმოჩენის საშუალებით შესაძლებელი იქნება დროებითი დენის სიხშირე შეიცვალოს სპეციალურ ხელსაწყოების, ტრანსფორმატორებისა, ქვე-სადგურებისა და სხ. დაუხმარებლად.

„უგუნური ავანტიურა"

ლონდონი, 23 ივნისი. ლიბერალების ნაციონალურ კლუბში წარმოთქმული სიტყვაში ლოიდ-ჯორჯმა გააკრიტიკია ჩერჩილის პოლიტიკა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების გამო.

„მე შევსძელი შემეჩერებია მისი უგუნური ავანტიურა რუსეთში", განაცხადა ლოიდ-ჯორჯმა.

უპასუხებდა რა ლოიდ-ჯორჯს, ჩერჩილმა განაცხადა, რომ იგი პირადად არ აგებს პასუხს რუსეთში ინტერვენციის მოხდენის გამო, ვინაიდან დაპირებები კოლჩაკსა და დენიკინს საკავშირო სამხედრო საბჭომ მისცა, რომელშიაც ხელმძღვანელობითი როლი ლოიდ-ჯორჯს ეკუთვნოდა. ეს დაპირებანი განახლებულ და განმეორებულ იქნენ 1919 წლის ივნისში 5 დიდი სახელმწიფოს მეთაურობის მიერ, მათ რიცხვში იყო ლოიდ-ჯორჯი და ვილსონი. უპასუხებდა რა ჩერჩილს, ლოიდ-ჯორჯი ამტკიცებდა, რომ მას მხედველობაშია ჰქონოა არა კოლჩაკისთვის მხარის დაჭერა, არამედ „ჩერჩილისა და მისი რუსი მეგობრების შემდგომი ავანტიურები".

პერები პერესის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 ივნისი. ლორდთა პალატამ 12ჰ ხმის უმრავლესობით 80 ხმის წინააღმდეგ უარჰყო მეორე წაკითხვის დროს კანონ-პროექტი, რომელიც პერესებს ნებას ანიჭებდა, რომ მათი პირადი უფლების მიხედვით ხმა მიეცათ ლორდთა პალატაში.

ასეთივე კანონპროექტი უარყოფილ იქნა შარშან უმნიშვნელო ხმის უმრავლესობით—80 ხმით, 78-ის წინააღმდეგ.

დემონსტრაციები ანგორაში

ანგორა, 24 ივნისი, სახალხო დემონსტრაციები, ქემალ-ფაშის წინააღმდეგ შეთქმულების გამო, კვლავ გრძელდება. ყველა დეპუტატები პროგრესიულ პარტიის წევრები, დატუსაღებული არიან. გრძელდება სხვა პირების დატუსაღება, რომლებსაც [illegible] ედებათ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაში. დამოუკიდებლობის ტრიბუნალი 24 ივნისს შეუდგება საქმის გარჩევას.

ბრიანის კაბინეტი

პარიზი, 24 ივნისი. კაბინეტს ჰქონდა ხანმოკლე სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა მუშაობის საერთო გეგმა. კაიომ აღნიშნა, რომ ფინანსიურ გეგმის გამომუშავება რამოდენიმე კვირას მოითხოვს, რის გამოც კაბინეტის პალატისადმი წარდგენა სამშაბათზე ადრე არ მოხდება. მთავრობას სურს ფორმალურად მიიღოს ახლო მომავალში ფინანსიურ პროექტების ვოტუმი, რომელთა განხორციელებისათვის იგი მოითხოვს პარლამენტისაგან განსაკუთრებულ უფლებებს.

უშედეგოდ

ბერლინი, 2 ივნისი. ყოფილ სამეფო გვარეულობას პრეტენზიების კომპრომისულად გადაწყვეტის შესახებ მოლაპარაკებამ ჯერ-ჯეროხით არავითარი შედეგი არ მოიტანა.

უარჰყო რა სოციალ-დემოკრატებისა და ნაციონალისტების ყველა შესწორებანი, რეიხსტაგის კომისიამ მთავრობის პარტიების 11 ხმის უმრავლესობით კომუნისტების სამი ხმის წინააღმდეგ დაადასტურა მთავრობის პროექტი საკითხის კომპრომისულად მოწესრიგების შესახებ. სოციალ-დემოკრატებმა და ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს კენჭის ყრის დროს. მოლაპარაკება გრძელდება, ამასრან ერთად სოციალ-დემოკრატები მიდრეკილებას იჩენენ შეთანხმებისადმი ორგანიზაციებმა, რომლებიც კუჩინსკის კომიტეტში შედიან, ერთხმად დაადგინეს განაგრძონ ბრძოლა ყოფილ საგვარეულო ქონების აუნაზღაურებელ კონფისკაციისათვის და რეიხსტაგის დათხოვნად. კომიტეტმა არ მოიწონა საკომპრომისო პოლიტიკა ამ საკითხში. 28 ივნისისათვის კუჩინსკის კომიტეტი მასიურ დემონსტრაციებს აწყობს.

კომპარტიის წევრობისათვის

ვილნო, 23 ივნისი. 20 ივნისს კოვნოში დამთავრდა 29 უკრაინელი გლეხის პროცესი, რომლებსაც დასავლეთ უკრაინის კომპარტიის წევრობა ბრალდებოდათ. პროცესი შექმნილი იყო „ოხრანკის" აგენტების პროვოკაციულ ჩვენებაზე.

სასამართლომ 12 კაცს მიუსაჯა ორ-ორი წელი თითოს, 10 კაცს თითო წელი კატორღა, 3 კაცს 4 წელი ციხე. ოთხი გაამართლეს.

20 ივნისს ნოვოგოროდის საოლქო სასამართლომ ერთი წლის კატორღა მიუსაჯა ბელორუს გლეხის ქალს მარიამ კვიატკოვსკის კომპარტიის წევრობისათვის.

საბაჟო შეთანხმება

ათინა, 23 ივნისი. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუფფოსმა და სოც. საბჭ. რესპ. კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა უსტინოვმა ხელი მოაწერეს საბაჟო ხელშეკრულებას ორი წლის ვადით.

დემონსტრაცია საკასა და ვანცეტის განთავისუფლებლად

მექსიკა, 24 ივნისი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა ლიგამ შეერთებულ შტატების საელჩოსთან მოაწყო დემონსტრაცია, რომელზედაც მოითხოვეს საკასა და ვანცეტის განთავისუფლება. პოლიციამ დაატუსაღა რამოდენიმე დემონსტრანტი, მათ შორის კუბიდან გადასახლებული კომუნისტი ჯულიო მელს.

დახმარება ინგლისის გაფიცულ მუშებს

ამსტერდამი, 23 ივნისი. როგორც გავაცნობებენ, ჰოლანდიის პროფკავშირების (რეფორმისტულ) გაერთიანებულ ალმასკომს განზრახვა აქვთ მონაწილეობა მიიღოს ინგლისის პროფკავშირების სესხის განაწილებაში 250.000 გულდენის რაოდენობით (გულდენი 78 კაპ.) 100.000 გულდენს გაიღებენ ჰოლანდიის პროფკავშირების გაფიცვის ფონდიდან და 150.000 გულდენს შეაგროვებენ პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის.

ფაბრიკის მუშების ინტერნაციონალის კონგრესი

მოსკოვი, 24 ივნისი. ქიმიკოსების პროფკავშირთა ცეკამ მიიღო მიწვევა ფაბრიკის მუშათა ინტერნაციონალის საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 29 ივნისს იქნება მოწვეული კოპენჰაგენში. კონგრესში მონაწილეობის მისაღებად ქიმიკოსების ცეკამ გამოჰყო წარმომადგენლები, რომლებიც უკვე გაემგზავრენ კოპენჰაგენში.

ავსტრია და საბჭოთა შეკვეთები

ვენა, 23 ივნისი. ამხ. რიკოვის განცხადება, რომ შესაძლოა მთელი რიგი საბჭოთა შეკვეთებისა გერმანიის ნაცვლად სხვა სახელმწიფოებს გადაეცეს, დიდ ყურადღებას იწვევს ავსტრიის სამეურნეო წრეებში.

ავსტრიის სამრეწველო წრეებში იმედი აქვთ, რომ ნაწილი გაუქმებულ საბჭოთა შეკვეთებისა გერმანიაში, გადაეცემა ავსტრიას. ამის გამო ავსტრიის პრესამ განაახლა კამპანია, რომ ავსტრიის ექსპორტს საბჭოთა კავშირში მიეცეს გარანტია მთავრობის მხრივ.

გაზეთი „დი მერზე" დასტურს აძლევს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესატან საქონლის ხარისხზე სასტიკი კონტროლის დაწესების შესახებ და აცნობს, რომ ეს ზომები ხელს შეუწყობენ ავსტრიიდან მაღალი ხარისხის საქონლის შეტანას საბჭოთა კავშირში.

ანტიმილიტარისტულ წერილისათვის

პარიზი, 23 ივნისი. „კაიე დიუ ბოლშევიზმის" რედაქტორს ბელანჟეს და პარიზელ ქალაქის მრჩეველს რენოს 6-და 8 თვის ციხე მიუსაჯეს ანტიმილიტარისტული წერილის გამოქვეყნებისათვის.

ტელეფონის იუბილე

ლონდონი, 24 ივნისი. დღეს დღესასწაულობენ ტელეფონის 50 წლის იუბილეს.

ოლივერ ლოჯმა ელექტრო-ტეხნიკების ინსტიტუტში წაიკითხა ლექცია ტელეფონის განვითარების შესახებ.

იტალია და ერთა ლიგა

პარიზი, 24 ივნისი. სტეფანის სააგენტოს დავალებული აქვს, რომ უარჰყოს ხმები თითქოს იტალიას განზრახვა აქვს ერთა ლიგის შემადგენლობიდან გამოვიდეს.

ბაქოს პროლეტარიატის დემონსტრაცია

ბაქო, 24 ივნისი. დღეს ბაქოს პროლეტარიატმა დემონსტრაცია მოახდინა ინგლისის მთავრობის მემორანდუმის გამო.

ბაქოსა და მისი მიდამოების ფაბრიკებისა და ქარხნების მუშა-მოსამსახურენი ათი ათასობით გამოვიდნენ მწყობრი რიგებით და დროშებითა, პლაკატებითა და ორკესტრით გაემართენ ქალაქის ცენტრისაკენ — აზერბეიჯანის პროფსაბჭოსაკენ.

პროფსაბჭოსთან დემონსტრაციას მიესალმენ პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლები, რის შემდეგ დემონსტრაცია გაემართა ქალაქის საბჭოსაკენ. აქ სიტყვა წარმოსთქვა შმიდტის სახელობის ქარხნის მუშამ ამხ. ნეპრიახალმა, რომელმაც განაცხადა: „ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც დღეს დემონსტრაციას ახდენს თავხედური მემორანდუმის წინააღმდეგ, სთხოვს თავის ორგანოს—ბაქოს საბჭოს, რომ გადასცეს საკავშირო მთავრობას მისი აღშფოთება და სთხოვოს, რომ საკავშირო მთავრობამ ღირსეული პასუხი გასცეს კაპიტალისტების ასეთსავე გამოლაშქრებას მომავალში. თავის მხრით ბაქოს მუშებიც ისევე დაუღალავად, როგორც დღემდე, დაეხმარებიან ინგლისელ თანამოძმეებს".

ბაქოს საბჭოს სახელით გამოვიდა ამხ. კანუშკანი, რომელმაც სთქვა, რომ „ჩვენ ნებას არავის მივსცემთ, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა. გავაძლიეროთ ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი დახმარება".

აქედან დემონსტრაციამ ჩაუარა აზერბეიჯანის ცაკს და სახ. კომ. საბჭოს, რომლის შემდეგ იგი დაიშალა. დემონსტრაციაზე მონაწილეობა მიიღო 25.000 კაცმა.

ასეთივე დემონსტრაციები მოხდა ლენინის, სურახანის და ბინაგადის რაიონებში, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღეს 30.000 მუშამ.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

„ფორვერტს"-ი ჩხეიძის შესახებ

გერმანელ მენშევიკების ცენტრალური ორგანო „ფორვერტს"-ი, რომელიც 13 ივნისს ოცი გვერდის რაოდენობით გამოვიდა და სავსეა დიდი წერილებით და ყოველგვარი ცნობებით, უძღვნის კარლო ჩხეიძეს სწორედ სამოცდა თერთმეტ სტრიქონს. რამდენადაც შეიძლება ასეთ პატარა წერილში, „ფორვერტს"-ი სწყევლის ბოლშევიკებს, ედება ლობე-ყორეს, მაგრამ ერთი კრინტი არ არის დაძრული იმ გარემოებათა შესახებ, რომლებშიც ყოფ. მენშევიკური პარტიის ერთ-ერთმა დიდმა ბელადმა ყელი გაიღადრა სამართებლით. ნათქვამია მხოლოდ: „კაცმა, რომელიც რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ამხნევებდა ახალგაზრდა მებრძოლებს, სასოწარკვეთილების ჟამს თვით დაჰკარგა სიმტკიცე"-ო.

რატომ დაემართა ეს მას, როგორ მოხდა ეს, რაშია საქმე—ამის შესახებ „ფორვერტს"-ის რედაქტორები და მათი მრჩეველნი Социалистический Вестник"-იდან სდუმან, რაც შეიძლება დაბეჯითებით და ურყევლად.

ეს საკვირველი არ არის, რადგან ამის შესახებ მათ უნდა ეთქვათ, ან სისულელე და სიყალბე, ან და დაეგმოთ რამიშვილების ის მუშაობა რომელმაც თავისი როლი ითამაშა ჩხეიძის გადაწყვეტილებაში. გერმანელი მენშევიკებიც სდუმან ამიტომ, არას ამბობენ ამ უმთავრეს საკითხზე. მაგრამ მათი დუმილი კიდევ უფრო უსვამს ხაზს ისედაც მჭერმეტყველ ფაქტს ჩხეიძის თვითმკვლელობისას.

მკითხველი.

მოკვლა და თვითმკვლელობა

ჩვენ გვჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან პარიზის ქართული ემიგრაცია დაიშლებოდა და მისი საქმენი საგმირონი ისტორიის არხივს ჩაბარდებოდა. მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, თუ მათი ლპობისა და გახრწნის პროცესი მოხდებოდა ასე სამარცხვინო და საბედისწერო ფორმებში.

კარლო ჩხეიძისა და გრ. ვეშაპელის დაღუპვა შედეგია რამიშვილ - ჟორდანიას მუშაობისა.

„სისტემატიური ტერორი",—აი ბრძოლის ახალი მეთოდი, რომელიც მიუღია მენშევიკურ ემიგრაციის ლაბორატორიას და რომელიც პრაქტიკაში ხორციელდება იმ ემიგრანტ-მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც გაბედულად დაგმეს იმპერიალისტურ ინტერვენციისა და შეიარაღებულ აჯანყების დამღუპველი პოლიტიკა საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს კ. ჩხეიძის ბედი, ჩხეიძის, რომელმაც ყოვლად სამარცხვინოდ დაასრულა მისი ხანგრძლივი ცხოვრება.

თებერვლის რევოლიუციის ბუმბერაზი ფიგურა ისე ლაჩრულად ჩავიდა საფლავში, რომ მას ვერ დაიტირებს რევოლიუციონური პროლეტარიატი.

თებერვლის ბუნებრივი განვითარება და ოქტომბრის რევოლიუციის რეალური კლასიური შინაარსი შეურიგებლად დაეტაკა ჩხეიძისა და წერეთლის წვრილ ბურჟუაზიულ კოალიციონურ მსოფლმხედველობას და უკანასკნელნიც ცოფმორეულნი დაეშვენ კავკასიის ქედისაკენ ისტერიული ყიჟინით: „იღუპება რუსეთი, ნუ დაღუპავთ საქართველოსო".

ხოლო როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის ტალღა შიგ საქართველოშიაც შემოიჭრა და დაამყარა ჭეშმარიტად მშრომელთა ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი ფორმა წყობილებისა, იდეოლოგიურად და ფიზიკურად დამარცხებული ჩხეიძე საქართველოდანაც გარბის და ევროპის იმპერიალისტურ ინტერვენციის და შინაურ აჯანყების საშუალებით ლამობს დაკარგულის დაბრუნებას, დაღუპულ საქმის გამოსწორებას.

ვინ არ იცის ჩხეიძის ხშირი გასტროლები საბჭოთა რესპუბლიკების მოსაზღვრე ბურჟუაზიულ ფინეთთან და მისი ქადაგად დავარდნა საქ. საკითხში; მისი ლაპარაკი, რომ „ბოლშევიზმი არის დამშეული კალია, რომელიც საზოგადოებრივ დოვლათს ჰნთქავს და არაფერს ჰქმნისო"; ამით იწამლებოდა ევროპის საზოგადოებრივი აზრი მაშინ, როდესაც იგივე ბოლშევიზმმა, განსაკუთრებით საქართველოში, გამოიჩინა განსაცვიფრებელი აღმშენებლობითი შემოქმედების უნარი და ქვეყნის ჩამორჩენილი ეკონომიური და კულტურული საქმე გიგანტიურის ნაბიჯით წარმართა წინ.

და როდესაც ჩვენს ყურებს ესმის ჩხეიძის დაგვიანებული, მაგრამ გულწრფელი რევიზია პარტიის ტაქტიკის, განცვიფრებული ვკითხულობ:

კაცი, ყოფილი მენშევიკური პარტიის უხუცესი ხელმძღვანელი, შეურიგებელი მტერი ბოლშევიზმისა, საერთოდ ერთგული ჯარისკაცი და შეხმატკბილებული განსახიერება ჟორდანია-რამიშვილის სამხედრო გეგმების, რომლითაც მთელი ოთხი წლის განმავლობაში საბედნიერო პერსპექტივებით კვებავდა სამოქალაქო ომებიდან გამოსულ და ქვეყნის მშვიდობიან [illegible] ქართველ ხალხს, [illegible] ბრძოლის ველიდან გარბის, ძველის რევიზიას ახდენს.

რამ შეარყია ამ კაცის მუდამ მგზნებარე, ცეცხლისმფრქვეველი ნებისყოფა თუ არა აგვისტოს აჯანყების მწარე შედეგებმა, რამიშვილ-ჟორდანიას ავანტიურამ?

სჯობია გვიან, ვინემ არასოდეს,—კეთილი იყო თქვენი მოსვლა მთლიან სოციალისტურ ოჯახში — ვფიქრობდით ჩვენ დარწმუნებული, რომ პარტიის თვალსაჩინო ლიდერი თავის სიტყვას ხორცს შეასხამდა და ძველ რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხებთან ერთად ხელჩაკიდებული გააკეთებდა ხალხის მტრების წინააღმდეგ მიმართულ საქმეს. მაგრამ მოვსტყუვდით, სინამდვილეში, მისი საქმიანობა სრულიად უძლური და უილაჯო გამოდგა, მაშინაც კი, როდესაც თავზე ხელაღებული ჯგუფი ავანტიურისტებისა რამიშვილის მეთაურობით სისტემატიურ ტერორზე გადავიდა.

ტაქტიკის გადაფასებისათვის ჩხეიძე გახდა მსხვერპლი უზენაესი რისხვის, დატუქსვის და სასომიხდილი ის იჩენს სულიერ უძლურებას, ყელს იჭრის სამართებლით.

და განა მსგავს უილაჯობას არ იჩენენ ჩვენი ყოფილი ამხანაგები სუზდალში, და თვით მეტეხში მცხოვრებნი პარიტეტის ორი თვალსაჩინო ფიგურა, რომელთაც ჩვენ ვიცით, უკვე დაგმეს ძველი გზა, აღიარეს ორიენტაცია საბჭოთა რუსეთისაკენ და სხვ.?

ყოფ. მენშევიკური პარტიის ზოგ ძველ მუშაკებსა და თეორეტიკოსებს დღემდე კიდევ ვერ შეუგნიათ ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ რევოლიუცია თავისებურია და შესანიშნავი მით, რომ მის დუღილში მასსის შეგნება იცვლება, მცხოვრებთა ახალ-ახალი ფენები იძენენ გამოცდილებას, სწონის გუშინდელ შეხედულებას, უკუ აგდებს უვარგისს, იმუშავებს ვარგისს, შორდება ძველ, გამოუსადეგარ ბელადებს, მისდევს ახლებს, მიდის წინ.

ყოფ. სოც. დემოკრატიული მუშათა მასა და ქართველი ხალხის მშრომელი მოსახლეობა, უკვე გარკვეული თანამედროვე სოციალ - პოლიტიკურ ვითარებაში, მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა ხელისუფლებას, მას სწამს დღევანდელი რეალური საქართველო, საბჭოთა საქმიანობის ინტენსიური განვითარება. ჩვენ ვურჩევთ ყველას, ვინც კიდევ განზე სდგას, აქტიური მონაწილე შეიქნენ ახალი ცხოვრების მშენებლობის და ჩვენი ხალხის ეკონომიურ - კულტურული აყვავების.

ყოფ. მენშევიკი—ა. ვადაჭკორია.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ყოფილ მემამულეების გამოსახლება

მოსკოვი, 24 ივნისი. საბჭოთა რუსეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, **ამ ბოლო დროს ადგილებზედ შესამჩნევად გაძლიერდა მუშაობა ყოფილ მემამულეთა გამოსასახლებლად.** 1924 წლის ოქტომბრიდან 1925 წლ. მარტამდა გამოსახლებულ იქნა 1.296 ყოფილ მემამულის ოჯახი, 20 მარტიდან 22 ივნისამდე გამოსახლებულ იქნა 1.517 ოჯახი; კიდევ გამოსასახლებელია დაახლოებით 2.800 ოჯახი.

ყოფილ მემამულეთ და მსხვილ მიწადმფლობელთა გამოსახლების შემდეგ გლეხობას გადაეცა 25.000 დესეტინა განთავისუფლებული მიწა. სულ გლეხობას გადაეცა 40.000 დესეტინა მიწა.

წერკუმსი

მოსკოვი, 24 ივნისი. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სრულიად რუსეთის კონფერენციამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დამთავრდა, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა საზოგადოებრივობის უდიდესი მნიშვნელობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

კონფერენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპიალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს ის, რომ კონფერენციამ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის უკანასკნელ ვადათ სცნო 1934 წელი, როცა შემოღებულ უნდა იქნეს საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

უკრაინა

უდიდეს სანატორიუმი

სევასტოპოლი, 24 ივნისი. **ცენტრალური დაზღვევის სამართველო იალტის მახლობლათ აშენებს უდიდეს სანატორიუმს მთელს საბჭოთა კავშირში.**

ქარიშხალი და სეტყვა

კიევი, 24 ივნისი. კიევის მახლობლათ ამოვარდა ძლიერი ქარი, რასაც შემდეგ მოჰყვა სეტყვა. ერთ სოფელში მეხმა გაანადგურა გლეხის ოჯახი. დაიღუპა დიდძალი საქონელი.

ნიაღვრების შედეგი

ხარკოვი, 24 ივნისი. მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში უკრაინაში ნიაღვრისაგან დაზარალდა 70.000 დესეტინა ნათესი. ამ ნათესების ნახევარი სრულებით დაღუპა. ნათესები ყველაზე ძლიერათ დაზარალდა ოდესის და ეკატერინოსლავის ოლქებში.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეჯანი

დახმარება ინგლისის მუშებს

ბაქო, 24 ივნისი. აზერბეიჯანის პროფსაბჭოებმა მოსკოვში გადაგზავნეს ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშებისათვის გადასაცემად 67.000 მანეთი, [illegible] მოსამსახურეებს შორის იქმნა შეგროვილი. ფულის შეგროვება კვლავ გრძელდება.

ნავთის ინსტიტუტი ბაქოში

ბაქო, 24 ივნისი. სახ. საგეგმო კომისიამ სცნო, რომ ბაქო საუკეთესო პუნქტს წარმოადგენს ნავთის ინსტიტუტის ასაშენებლად, ვინაიდან იგი მსხვილი ნავთის მრეწველობის ცენტრია.

ბამბის ნათესების დაღუპვა

ნახიჩევანი, 24 ივნისი. წელს ბამბის ნათესებს ნახიჩევანის რესპუბლიკაში გაუჩნდა ბამბის მავნე ჭიები, რომელთაც სრულიად გაანადგურეს 2000-დე დესეტინაზე დათესილი ბამბა. გამორკვევიდან დამტკიცდა, რომ ყველაზე ძლიერ დაზიანებულია პლანტაციები ნაროშენის ქარხნებთან, გადარჩენილია მხოლოდ ნათესების 20 პროცენტი.

საბჭოთა საქართველოსათვის

გ. ვეშაპელის ნაწერებიდან*)

პოლიტიკაში არაფერია ისე დამღუპველი, როგორც სუსტი გრძნობები და სანტიმეტალიზმი.

რეალური პოლიტიკა მოითხოვს სინამდვილის დროზე გაგებას, დროზე თქმას და დროზე გაკეთებას.

ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არ გვინდა რომ მენშევიკების მიერ დაგროვებულ საფლავებს ხვალ კიდევ ახალი მიემატოს და ბოლოს ამ საფლავებმა ისე არ გადასწონოს აკვანთა რიცხვი, როგორც ეს მოუვიდა ჩვენ მეზობელ სომხეთს დაშნაკური პოლიტიკის წყალობით.

უნდა ითქვას ის, რასაც გულში ფიქრობს ყოველი გონიერი ქართველი: ინტელიგენტი, მუშა და გლეხი—რომ შემცდარია მენშევიკების და მათთან მოკავშირე პარტიების ანტიბოლშევიკური ფრონტის პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა აჯანყებამდის და მაშასადამე,—უნდა მოხდეს ლიკვიდაცია, როგორც ამ პოლიტიკისა, ისე მასთან დაკავშირებულ პარტიულ ორგანიზაციებისა, აქ და საქართველოში.

რასაკვირველია, ამის თქმით არ მინდა უარვყო საკუთარი პასუხისგება იმისა, რაშიც ამ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკაში თვითონ მიმიღია მონაწილეობა. მაგრამ საბედნიეროდ, ჩემი დატა მენშევიკურ მთავრობასთან გაყრისა იმდენად დაშორებულია აჯანყების დღეს, რომ მორალურად მეტ გაბედულობას ვგრძნობ ასეთი ოპოზიციის დროს.

ჩემი თანამშრომლობა ძველ მთავრობასთან გათავდა 1924 წლის მაისის 18, როცა ნ. ჟორდანიამ მიიღო და ძალაში შესულად გამოაცხადა „დამოუკიდებლობის კომიტეტის" დადგენილება პარიზში არსებულ „დამფუძნებელი კრების გაფართოებულ პრეზიდიუმის" გაუქმების შესახებ.

ეს ინტერპარტიული კოლეგია დაარსდა—პარიზში 1922 წ. 15 მარტს, სოც.-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების და სოც.-ფედერალისტების კონფერენციაზე დადებულ ხელშეკრულების ძალით.

როცა შემდეგ, თვით საქართველოში დადებული ახალი ინტერპარტიული შეთანხმების ძალით (სოც.-რევ. და „სხივლელების" წამატებით) დაარსდა „დამოუკიდებლობის (პარიტეტული) კომიტეტი"—პარიზის ინტერპარტიული კოლეგიის როლი ძლიერ შეიზღუდა ფაქტიურად, ხოლო ამა წლის 27 მარტის დადგენილებით „დამოუკიდებლობის კომიტეტმა" მთლად, ფორმალურადაც გააუქმა ეს ორგანო და ამით, ერთგვარად მაინც პასუხისგება მოაშორა მის წევრებს იმაში, რასაც შემდეგ „დამ. კომიტეტი" იქ და მენშევიკური ცენტრი აქ, თავიანთ შორის აკეთებდენ.

—:—

რომ ანტიბოლშევიკურ ფრონტის პოლიტიკა, რომელსაც მენშევიკებთან ერთად ფატალიზმით დაადგენ 1921 წელს ნაციონალ-დემოკრატიული და სხვა პარტიები.—არ იყო რეალური, ეს არა ერთხელ მიგრძვნია მას შემდეგ რაც ბათომი დავტოვე (13 დღით უფრო გვიან მენშევიკებზე).

დენიკინის, კოლჩაკის და ვრანგელის დამარცხების შემდეგ თავიდანვე საეჭვო სჩანდა ის ანტიბოლშევიკური ანტრეპრიზა, რომელსაც 1921 წ. იწყებდა ნ. ჟორდანიას პარტია. მართალია, ეს ანტრეპრიზა იწყებოდა ნაციონალური და არა სოციალური ბრძოლის ბაირაღის ქვეშ,—მაგრამ ჩვენთვის თავიდანვე სუსტი იყო სტაჟი მენშევიკური პარტიისა ირლანდიული მეთოდებით ბრძოლისათვის; გვახსოვდა, რომ ნ. ჟორდანიას პარტია რამდენიმე თვეს დაობდა, საჭირო იყო თუ არა დამოუკიდებელი საქართველო, მაშინ როცა (1918) საქართველო ფაქტიურად იშვიათათ დამოუკიდებელი იყო, რადგან ძველი რუსეთის და ძველი ოსმალეთის ჯარები რამოდენიმე ასი კილომეტრით მოშორდენ ჩვენ საზღვრებს; გვახსოვდა, რომ მენშევიკურმა პარტიამ სახელმწიფო არსენალის და ძალა-უფლების თითქმის უფასოდ ხელში ჩაგდების შემდეგ ვერ ისარგებლა ისტორიული ანტრაქტით და როცა საქართველოს საზღვრებზე გაჩნდენ ახალი რუსეთის და ახალი ოსმალეთის რეალური ძალები,—მენშევიკებს ამ დროს არავითარი რეალური ორგანიზაცია და აპარატი სამხედრო თავდაცვისა არ აღმოაჩნდათ მომარაგებული.

ყველაფრის ამის მოწმეთ, რასაკვირველია, ჩვენ დიდი იმედი არ გვქონდა იმის, რომ მენშევიკური პარტია შინაური გადატრიალებით—აჯანყებით—შესძლებდა საბჭოთა ჯარის და რეჟიმის დამარცხებას. მართლაც, როგორ შეიძლება სახელმწიფო აპარატის, ტეხნიკის და ფინანსების დაკარგვის შემდეგ იმისი ხელში ჩაგდება, რაც თავის დროზე ვერ დაიცავი, თუმცა ყოველივე ეს ხელში გქონდა?

და თუ ჩვენ მენშევიკების ფრონტს დავუკავშირდით, არა იმიტომ, რომ მათი შინაური რევოლიუციური, ირლანდიული პათოსის იმედი გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ გვჯეროდა ბარეშე, საერთაშორისო ფაქტორების დახმარება.

ვანგარიშობდით იმას, რომ საბჭოთა რუსეთი არ იყო ცნობილი არც ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ (1921) და ამ საკითხის გადაწყვეტამდის მოსალოდნელი იყო ყოველნაირი კომბინაციები, მიმართული საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების რესტავრაციისაკენ.

ბევრს იმის იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა რუსეთის ცნობის დროს ანტანტა, პირდაპირ მოითხოვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაციას, რადგან საქართველო de jure ცნობილი იყო.

მე პირადათ ეს დიპლომატიური ხსნა არასოდეს არ მიწამია, რადგან საქართველოს ძველი მთავრობა სავსებით და ნამდვილად ცნობილი იყო მხოლოდ საფრანგეთის მიერ, ესე იგი სწორედ იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის პოლიტიკა არასოდეს არ ყოფილა მიმართული რუსეთის გავლენის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში, რადგან ამით თავდაპირველად ისარგებლებდა საფრანგეთის კონკურენტი—ინგლისი.

ამ დიპლომატიური ხსნის იმედის პირველად გაბათილების მოწმე გახლდით გენუის კონფერენციის დროს, ხოლო დღეს ეს ყველასათვის აშკარა და უდავო გახდა, როცა ვხედავთ, რომ საფრანგეთი სცნობს საბჭოთა რესპუბლიკებს გარეშე ყოველგვარი „რეზერვისა" იურიდიულად ნაცნობ საქართველოს ძველი მთავრობის შესახებ.

კიდევ უფრო ნაკლები იმედი იყო რასაკვირველია მეორე ინტერნაციონალის ან „ერთა ლიგის" დახმარებისა, რადგან ამ პატივცემულ დაწესებულებებს, როგორც მოგეხსენებათ, არავითარი შეიარაღებული გავლენა არ მოეპოებათ არც მიწაზე, არც ზღვაზე და არც ცაზე.

არა, ჩვენ იმედი გვქონდა მხოლოდ საერთაშორისო რეალური ფაქტორებისა, რომელთა ინტრესები და მატერიალური ძალის დაკავშირება შეიძლებოდა ქართულ ანტიბოლშევიკურ საქმესთან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს იყო ცუდათ ნაანგარიშევი.

ამ წლების განმავლობაში სწორედ იმის მოწმე გახლდით, ხან პასიური და ხან აქტიური, თუ როგორ ქრებოდა მოჩვენებასავით ყველა ის ანტიბოლშევიკური კომბინაცია, რომლითაც შეიძლებოდა საქართველოში წითელი ჯარის და წითელი რეჟიმის დამარცხება.

⁂

ჯერ იყო ოსმალეთის ინტერვენციაზე ოცნება. გვეგონა, რომ ანგორა, როგორც კი მოიშორებდა თავიდან ბერძნების ომს,—მაშინვე რუსის ჯარს გაუმართავდა ფრონტს კავკასიის საბუფერო სახელმწიფოს შესაქმნელად; მაგრამ ეს ოცნება არ გამართლდა; ჯერ კიდევ სტამბოლში ჩემი ყოფნის დროს ანგორის მთავრობასთან ახლო მდგომი პირები პირდაპირ ლაპარაკობდენ გულახდილ საუბარის დროს, რომ ოსმალეთი უნდა ძლიერი იყოს იგი, არა სოდეს არ დაუწყებს ომს რუსეთს, თუნდაც დასუსტებულს; რომ ანგორას არაფრად ეპაშნიკება მენშევიკური საგარეო პოლიტიკით საქართველოს რესტავრაცია, რადგან იგი შეიძლება გამოიყენოს ინგლისმა როგორც ბაზა ოსმალეთის ზურგში საეგზეკუციო ექსპედიციების მოსახდენად; რომ ერთად ერთი მომენტი, როცა ოსმალეთი შეიძლება ჩაერიოს კავკასიის საქმეებში,—ეს მაშინ იქნება, თუ რუსეთში კრიზისი მოხდა და წითელმა ჯარმა თავისით მიატოვა კავკასიის ფრონტები.

მაშინ თავისუფლად დარჩენილ კავკასიის რესპუბლიკების მმადიან მცხოვრებთა პროტექციის ლოზუნგით მოვა თურქის ჯარი, მაგრამ თუ ეს ურუსეთო ანტრაქტი გრძელი შეიქნა, იგი ისეთ ოპერაციებს მოახდენს საქართველოსომხეთში, რომ კავკასიაში გეგემონია უდავოთ ოსმალეთის მონათესავე ხალხებს დარჩეს და თვით კავკასია შეიქმნეს საიმედო ჯაჭვი პანთურქისტულ იმპერიისა, ოსმალეთსა და კასპიის იქითა თურქესტანის შორის.

მივხვდი იმასაც, რომ ოსმალეთს მუდამ აწუხებს ქართული ირედენტა (ლაზისტანი) და საერთოდ საქართველო რომ დარჩეს პირისპირ თურქებთან, ეს სომხეთი № 2 ბედს გვიქადის...

ოსმალეთის შემდეგ ჯერი იყო კონსერვატორული ინგლისის ილიუზიებზე. გვეგონა, რომ რა წამს ლოიდ-ჯორჯი დაეცემოდა და ინგლისის მთავრობას კონსერვატორები ჩაიბარებდენ, მაშინვე განახლდებოდა ტრადიციული ანტირუსეთული პოლიტიკა ბიკონსფილდისა, რომელიც ოცნებობდა კავკასია - სპარსეთ - თურქესტანით ახალი გზის გაკაფვას ინდოსტანისაკენ.

მაგრამ ლონდონში მუშაობის დროს დავრწმუნდი, რომ ბიკონსფილდის ინგლისი სხვაა და დღევანდელი ექვს მილიონიანი პროლეტარიატის ინგლისი კიდევ სხვაა; რომ ინგლისს იმ სამანდატო ტერიტორიების მონელებაც უჭირს, რომელნიც მას ვერსალის ზავით ერგო, და რომ თვით კონსერვატორული ინგლისის იმპერიალიზმის დღევანდელი მაქსიმუმი,—ეს არაბეთის (ეჯას-ტრანსიორდანია, მესოპოტამიის) სამეფოების შენახვა, რადგანაც ამ გზით მოწყობილი საერო და სხვა ტრანსპორტი ეგვიპტესა (სუეცის არხი) და ინდოეთის ოკეანეს (სპარსეთის ყურე) შორის, საკმარისად უზრუნველყოფს ინგლისის სამხედრო გზებს; ამ გზების დაცვაც უძნელდება დღეს ინგლისს, და თვით ჩემბერლენს ან ჩერჩილს არ შეუძლია ამ პირობებში, ინდოეთისაკენ კავკასია-სპარსეთთურქესტანის გზების იმპერიალისტურ კონტროლზე ფიქრი.

საინტერესოა ამ მხრივ ერთი ადგილი საქართველოში ინგლისის წარმომადგენლად ნამყოფ კოლონელ სტოკსის წერილიდან, რომელიც ეხება იმ საკითხს, შეიძლება თუ არა ინგლისის დახმარების იმედი ქართულ ანტიბოლშევიკურ მოძრაობისათვის (ამ დროს ინგლისში კონსერვატორული მთავრობა იყო).—„ერთი რამ ცხადია, მწერდა სტოკსი (1923 წლის აპრილში), რომ თუ თქვენმა ამხანაგებმა რაიმე აქტიური ნაბიჯი გადადგეს, ისინი ვერ მიიღებენ აქედან მატერიალურ დახმარებას და თვით მორალური დახმარებაც საეჭვო იქნებაო"...

„One thing seems to me certain, that is that they would give no material support to any active measures taken by your friends and even their moral support, I think, would be doubtful"·

⁂

ოსმალეთისა და ინგლისის ილიუზიების გაქრობის შემდეგ, ევროპაში რჩებოდა მხოლოდ ერთი პერსპექტივა—ეს იყო ფაშიზმი, რომელმაც სწორედ ამ დროს ჩაიცვა შავი პერანგი იტალიას და რომელიც თითქოს მსოფლიო რევოლუციის მაგიერ მსოფლიო რეაქციას უქადდა მთელს ევროპას. გვეგონა, რომ მუსოლინი იტალიის ბოლშევიზმზე გამარჯვების შემდეგ, მსოფლიო მასშტაბით შეებრძოლებოდა მესამე ინტერნაციონალს. მაგრამ ფაშისტებთან პირველ შეხვედრისთანავე (გენუაში) გამოირკვა ჩემთვის, რომ იტალიიდან სრულებითაც არ უნდა ველოდეთ რეაქციონურ ნაპოლეონს; რომ მუსოლინი ებრძვის კომუნიზმს მხოლოდ იტალიის საზღვრებში სახელმწიფო ძალა-უფლებისათვის; ხოლო საგარეო პოლიტიკაში იგი ტრადიციულ იტალიურ ინტერესებს მისდევს; ეს ინტერესები კი მიმართულია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთა ფლოტი ედავება იტალიის ბატონობას ხმელთა შუა ზღვაში (იტალიელები მას mare nostra-ს ეძახიან); რუსეთი კი არასოდეს არ ყოფილა ასეთ მოპირდაპირე სახელმწიფოთა რიგში.

ამის შემდეგ აშკარა იყო, რომ ევროპაში ქართულ ანტიბოლშევიკურ ფრონტს არც ერთი დამხმარე რეალური ძალა აღარ ჰყავს. საჭირო იყო ან ამ ფრონტის მოხსნა, ან მოკავშირეთა ძებნა... რუსების ანტიბოლშევიკურ ძალებში, ესე იგი ფაქტიურად მონარხისტებში... და აი ბედის ირონიით, ვინც საბჭოთა საქართველო ანტირუსული ლოზუნგით დასტოვა, უხდება რუსულ ლაგერში მოკავშირის ძებნა.

ამის ანარეკლი იყო ის საუბარი გ. ალექსინსკისთან, რომელიც დაიბეჭდა „Русская Газета"-ში (ეს საუბარი დამახინჯებულად იქნა დაბეჭდილი რედაქციის მიერ). ამის შემდეგ მე მქონდა შეხვედრა ვრანგელის სამხედრო წარმომადგენელთან, მაგრამ აქ უფრო მალე მოხდა ილუზიის ლიკვიდაცია; გამოირკვა, რომ ვრანგელი და მისი ბატონები, დიდი მთავრის სახლიდან, მხოლოდ გარეგნულად ფაფხურობენ, თორემ ნამდვილად არავითარი აქტივობა არ შეუძლიათ. მათი წინადადება ასეთი იყო—„შეუერთეთ ქართული ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები რუსულს და ვიმუშაოთ ერთად, სანამ ერთ-ერთი დიდი მთავარი ყველას მიერ ნიკოლოზის ტახტის მემკვიდრეთ იქნება ცნობილი და სანამ იგი ამერიკაში ფონდს შეაგროვებს მთელი რუსეთის კონტრ-რევოლიუციისათვის... მაშინ ხომ საქართველოც განთავისუფლდება... ბოლშევიკებისაგანო".

ცხადი იყო, რომ ეს ზღაპრულ „ათას ერთი ღამის" ამბავს გავდა ყოვლმხრივ! აბა, როდის უნდა შეთანხმდენ დიდი მთავრები, იმაზე თუ ვის ერგება იმპერატორობა, და აბა როდის უნდა შეაგროვონ შემოწირულებით, არჩეული იმპერატორის ამერიკიდან კრემლში ჩასაყვანად საჭირო ხარჯები... ამას გარდა ამ შეხვედრების დროს ისიც გამოირკვა, რომ მონარხისტები ძალიან უბრალოდ და „მამაშვილურად" უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას; და მათი იმედები კიდეც რომ გამარჯვებით გათავდეს, ამას უარესი ახალი ქართული ფრონტი და უარესი ახალი ემიგრაცია მოჰყვება...

ასე დასრულდა უკანასკნელი ილიუზიის ამბავი...

ეს იყო 1923 წლის ოქტომბერში...

ეს ილიუზიები ძალიან ძვირად უზის ქართველ ხალხს, ამიტომ შევჩერდი მაზედ, რაც უკვე იყო...

—:—

ამ დროს უკვე ცხადი იყო ჩემთვის, რომ დრო ბოლშევიკების წინააღმდეგ კი არა, მათ სასარგებლოდ მუშაობდა, როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე მათ გარედ.

თანდათან ვხედავდით, როგორ მტკიცდებოდა ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ საბჭოთა რეჟიმი რუსეთსა და საქართველოში, როგორ ქრებოდა ილიუზია რუსეთის „გაზაფხულზე" ან „შემოდგომაზე" შინაური კატასტროფული გადატრიალებისა და როგორ მტკიცდებოდა ამავე პროპორციით ავტორიტეტი და პრესტიჟი საბჭოთა რესპუბლიკებისა ევროპაში, განსაკუთრებით დემოკრატიულ კლასებში და პარტიებში;

მარტო გიჟს შეუძლია დღეს იმაზე ფიქრი, რომ ევროპა ახალ „საჯვაროსნო" ომებს დაიწყებს კაპიტალიზმის პრინციპის გასამარჯვებლად რუსეთში;

წინააღმდეგის კი ძალიან ეშინიათ, რადგან ახალი თაობა ყველგან კომუნისტურია. მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს იდეის გავლენის ქვეშ არის;

ასეთ პირობებში უფრო მოსალოდნელია წითელი საზღვარის გადმოწევა ევროპისაკენ, ვიდრე თეთრი საზღვარის შეწევა რუსეთში.

თან და თან მტკიცდებოდა ჩემ გონებაში ის აზრი, რომ წინდაწინ წაგებული და ქვეყნისთვის დამღუპველ საქმეს შევალიეთ ჩვენი ენერგია და რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თავიდანვე პატიოსნად თანამშრომლობა აგვერჩია—ქართველი ხალხისათვის ეს აჯობებდა.

ამ დროიდან ფაქტიურად შევწყვიტე პოლიტიკური მოქმედება და ამასთან ერთად მიწერმოწერაც სხვა და სხვა ცენტრებში მყოფ პარტიულ ამხანაგებთან—არც გასაკეთებელი იყო რამ და არც სათქმელი;

მას აქეთ 1924 წლის 18 მაისამდის მხოლოდ პასიური მონაწილე გახლდით პარიზის ანტიბოლშევიკური ცენტრისა, სანამ 18 მაისს მიღებულმა „დამოუკიდებლობის კომიტეტის" ცირკულიარმა შესახებ პარიზის ინტერპარტიული კოლეგიის რეორგანიზაცია ფორმალურადაც არ მოახდინა ჩემი დემობილიზაცია ანტიბოლშევიკურ ფრონტიდან.

ამიტომ მე არ ვიცი, ვისი და რისი იმედები იყო, რომ გადააწყვეტია „დამ. კომ."-ს ნაციონალ-დემოკრატ წევრებს მიმხრობოდნენ მენშევიკთა ავანტიურას.

—:—

არა მარტო მე განვიცდიდი ასეთ ეჭვებს: ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ეხლა უკვე საქართველოში დაბრუნებულია, შემდეგს მწერდა 1923 წელს ლონდონიდან:

— „დიდ უბედურებათ მიმაჩნია საქართველოში ანტიბოლშევიკური, ინტერპარტიული აქტიური ბრძოლა... უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი დამზადებული ხალხი გვყავდეს საქმიანობაში გამოცდილი... ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ასეთი ძალების ფლანგვას პოლიტიკურ გამოსვლებში... მივანებოთ თავი მთავრობის ძიებას... უნდა გულწრფელად დავეწაფოთ წარმოების, მრეწველობის აღდგენას, სიმდიდრის გამრავლებას ჩვენში... საქართველოს თავისუფლება მარტო იმდენად გაუშვებს ფესვებს ჩვენს ნიადაგში, რამდენიც მეტი გვეყოლება დამზადებული და ძლიერი, მდიდარი და მცოდნე ხალხი... ჩვენი ეხლანდელი ანტიბოლშევიკური ბრძოლა კი გვიღუპავს ჩვენ ინტელიგენციასო"...

სამწუხაროდ ამ მიწერ-მოწერიდან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნები დროზე ვერ ვაღიარედ საჯაროდ აქ, ემიგრაციაში, ქართული პოლიტიკის სავალდებულო ნორმათ.

მენშევიკების ავანტიურა გვავალებს მოვითხოვოთ ანტიბოლშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია. და ეს კი ნიშნავს ამ ფრონტთან დაკავშირებულ ყველა პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციას.

უნდა ვაღიაროთ აშკარად, რომ. როგორც ნ. ჟორდანიას მთავრობა, ისე კ. ჩხეიძის დამფუძნებელი კრება და მისი შემადგენელი პარტიები პოლიტიკურად მოკვდენ.

დასჭირდება თუ არა საქართველოს ახალი პოლიტიკური გადაჯგუფებანი თუ შეჯგუფებანი—ეს მომავლის საკითხია... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცხადია, როგორც ეს ვთქვი ბერლინში ქართული კოლონიის მიერ 1923 წლის შეხვედრისას, რომ ახალი საქართველოს ახალი პოლიტიკისათვის ახალი თაობის და ახალი დასის ახალგაზრდური ფიზიკური და მორალური ძალებია საჭირო თავდაპირველად...

მაგრამ იმ სასტიკ და ცივ სინამდვილეში, რომლის წინაშე დაგვაყენა აჯანყებამ, საჭიროა რეალური პოლიტიკა,—მთელი ენერგიის ხარჯვა ქართული სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული საძირკველის გამაგრებისათვის.

ამ პოლიტიკას დაადგა პოლონეთი 1863 წლის უბედური აჯანყების შემდეგ და საქართველოსაც ეს პოლიტიკა სჭირია და არა ირლანდიული სინფეინერობა.

საჭიროა ამ სინფეინური ფსიხოზიდან გამოფხიზლება, მივიწყება ზღაპრების კონსერვატორული ინგლისის დრედნოუტების და მათი შავი ზღვით დესანტებისა, მეორე ინტერნაციონალის, ხალხთა ლიგის რეფერენდუმების და პლებისციტების შესახებ, და ქვეყნის დაწყნარებისათვის ზრუნვა.

ქართულ ემიგრაციას სჭირია ამ მხრივ იმ საფეხურის გავლა, რომელიც უკვე გაიარა რუსის დემოკრატიულმა ემიგრაციამ, როცა ვრანგელის დამარცხების შემდეგ, მან მოითხოვა შეიარაღებული ანტიბოლშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია.

მაგრამ თუ დღემდის ქართულ ემიგრაციას რუს დემოკრატების ტაქტიკაც კი არ ჰქონდა მიღებული, დღეს ჩვენ მარტო ეს ნეგატიური პოლიტიკა ვერ გვიშველის; ველარ გვიშველის ნეიტრალიზმიც...

საჭიროა ქართული Смена Вех და პირდაპირ აღიარება იმ ერთად-ერთ საქართველოსი, რომელიც დღეს არსებობს რეალურად, რომელსაც მომავალი იურიდიულიც აქვს და ფაქტიურიც და რომელიც ისტორიულად თან და თან გამართლებული გამოდის...

რა გვიშლის დღეს ამ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს მიღებას?

მხოლოდ ტერორი, რეპრესიები.

— მერე რა არის გამოსავალი, სად არის პრაქტიკული საშუალება ამ ტერორის დასრულებისა?—ესაა იმ ანტიბოლშევიკური ფრონტების საბოლოო ლიკვიდაცია, რომელთაც გამოიწვიეს ეს ტერორი.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სამოქალაქო ომი სათავეშივე მოისპოს ჩვენში, მით უფრო რომ მას ობიექტიური საფუძველი არა აქვს საქართველოს სუსტი სოციალური დიფერენციაციის გამო.

ხოლო სუბიექტიური საფუძველი უნდა სპოს როგორც ინტელიგენციამ, ისე თვით საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩვენ უნდა მივანებოთ თავი იმის წარმოდგენას, რომ ს. ორჯონიკიძე ახალი გენერალი ციციანოვია, რომელიც ასი წლის წინ უპყრობდა რუსეთის იმპერიას კავკასიის სამეფოებს და სახანოებს. უნდა შევხედოთ მას და მის კოლეგებს: ორახელაშვილს, ელიავას, ღოღობერიძეს, როგორც ქართულ მთავრობას, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ პირობებით და საქართველოს გარშემო არსებული დღევანდელი საერთაშორისო ძალთა-განწყობილების მიხედვით მოქმედებს...

თუ ეს პირობები და ეს განწყობილება რუსეთის წითელ ჯარს აჩერებს საქართველოში, სამაგიეროდ უნდა დავინახოთ, რომ საბჭოთა მთავრობამ შესძლო პარალელურად ქართული წითელი ლაშქრის ორგანიზაცია...

⁂

მოვიგონოთ, როგორი იყო პატრიოტული ინტელიგენციის ტაქტიკა მენშევიკური პარტიის მიმართ, როცა მათ სახელმწიფო ძალაუფლება ჩაიბარეს და მისი განხორციელება დაიწყეს?

მაშინ რომ მენშევიკებისათვის ჩვენ შეიარაღებული ფრონტი მოგვეწყო სადმე საქართველოში, მთავრობის დასამხობად და ძალა-უფლების დასაპყრობად, ან და ევროპაში საამისო ემიგრანტული პროპაგანდა გაგვემართა—განა მენშევიკური მინისტრები ტერორითა და სამოქალაქო ომით არ გვიპასუხებდენ?

პოლიტიკაში ხომ იგივე „წინააღმდეგობის" კანონი მოქმედებს, როგორც ფიზიკაში... შევიგნოთ ეს და მოვსპოთ ანტიბოლშევიკური ფრონტი.

განა დრო არ არის, ქართველი ხალხის ენერგია მოხმარდეს ფაქტიურად არსებულ საქართველოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციის გამაგრებას და იმ de jure-ს ფაქტიურად გამტკიცებას, რომელიც ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფედერატიული კონსტიტუციით?

1918 წელს ჩემ წიგნში „საქართველო და რუსეთი" ვწერდი, რომ ქართული პოლიტიკის ლოზუნგია—„საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ძლიერი სახელმწიფოს კავშირით უზრუნველყოფილი" (გვ. 24).

ამ პოლიტიკის განხორციელება შესაძლოა საბჭოთა ფედერატიულ რელსებზედ, რაც სრულებით არ წარმოადგენს ძველი რუსოფილური „ტუზემცების" პოლიტიკისკენ დაბრუნებას:

დღევანდელი საბჭოთა კავშირი არც სახელითა რუსეთი და არც შინაარსით; იგი არის თანასწორ სახელმწიფოთა ფედერაცია, რომელშიც დიდი რუსეთი—უკრაინასთან, ბელორუსეთთან და ამიერ-კავკასიის ფედერაციასთან თანასწორია.

და თუ საზოგადოთ საქართველოს სუვერენობა, როგორც საჭიროა, ისე არ არის დაცული საბჭოთა კავშირის ფედერაციაში—ამის მისაღწევად უნდა დაიხარჯოს სწორედ ქართველი ხალხის ენერგია, და არა აჯანყებისა ან სამოქალაქო ომისათვის.

ს. ორჯონიკიძე ამბობდა თავის ერთ სიტყვაში 1923 წლის ოქტომბერში—„ჩვენ გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში" და დასძენდა—„მე არ დავფიცავ და აშკარად ვიტყვი, რომ დღეს ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაკლია ამ მხრივ, მაგრამ ამის მიზეზი საბჭოთა კავშირი კი არ არის, არამედ ის იმპერიალისტური სახელმწიფონი, რომლებიც ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევენ ჩვენი პროგრამის განსახორციელებლადო"...

უნდა ითქვას, რომ რეალური პოლიტიკა სწორედ ესაა და არა ნ. ჟორდანიას რესტავრაცია!...

ამისათვის უნდა დაუბრუნდეთ რეალურად

⁂

არსებულ საქართველოს! ქართული ემიგრაცია ევროპაში, როგორც მასიური მოვლენა, უნდა მოისპოს და უნდა დაბრუნდეს შინ თავისი მიტოვებული პროფესიონალური საქმიანობის გასაგრძელებლად; ევროპაში შეთვისებული ცოდნა და გამოცდილება ძალიან გამოადგება ემიგრაციას საქართველოში; მხოლოდ ამისათვის დაბერება ევროპაში არ ღირს, მით უფრო, რომ ქართველობა ვერასოდეს ვერ მოეწყობა ევროპაში ისე კოლონიებად, როგორც სომხები და ბერძნები, საცა ყოველ თანამემამულეს მისი პროფესიის შესაფერ საქმეზე აყენებენ; ქართველობა კი ყველა კლასისა და პროფესიის, ინტელიგენტური ცენზის განურჩევლად, განწირულია სიტროენისა და რენოს საავტომობილო ქარხნებში ან და პარიზის სადგურებში ალჟირელებთან და მაროკანელებთან ერთად საკატორღო მანიევრობას...

⁂

თუ ბათომიდან წამოსვლისას ჩვენ გვაშინებდა ის კომუნისტური დიქტატურა, რომლის ღერბი—ჩაქუჩი და ნამგალია, დღეს ევროპაში ცნობილია ამდენი ხნის ხეტიალის შემდეგ, ჩვენ მშვიდობიანად შევხვდებით, ეგევე ღერბი რომ დაგვხვდება შინ.

რადგან, უცხოეთში ბევრს ჩვენგანს გაახსენდა, რომ გლეხის ნამგალი მისი მამა-პაპის პროფესიონალური იარაღი იყო—ხოლო მუშის ჩაქუჩი, ინტელიგენტებსაც გაგვაცნო ევროპაში გავლილმა სოციალურმა სკოლამ.

ფრანგული ანდაზა ამბობს, რომ «Tout Homme a deux Pays, le sien et puis la France».

დროა ეს პირველი სამშობლო დავიბრუნოთ!

გრიგოლ ვეშაპელი.

---

*) ვაქვეყნებთ ამ წერილს უმნიშვნელო შემოკლებით. რედ.

პატარა ფელეტონი
ყალიონი განსაცდელში

„მე სრულიად მიუდგომლად ვცდილობ სანახშირო კონფლიქტში ჩარეულ მხარეთა მორიგებას“.

(ბოლდუინის სიტყვიდან)

„ნახშირის მარაგის გამოლევის გამო, დაიკეტა ბოლდუინის ქარხნები“.

(დეპეშებიდან)

თურმე ზღაპარით
ვერ გაიტან ლელოს გამზირზე,
კრიზისი დადგა
ბოლდუინის სახლშიც, ნახშირზე;
და „მიუდგომლად“
კარს მიადგა ჭირი მას ჭირზე,
ნახშირიც მორჩა,
ყალიონიც ჩაუქრა ჯიბრზე.
და ბოლდუინსაც
გაუჩერდა იგი ქარხანა,
მასაც დაუდგა
განსაცდელი და შავი ხანა.
ვშიშობთ, რომ იგი
თან გაჰყვება თავის ქარხანას
გაეფიცება
უსათუოთ ტვინის მანქანაც.

⁂

მსოფლიოში განთქმულია
ბოლდუინის ყალიონი,
პრემიერმა მით მოიგო
ბევრი ბრძოლა, ბევრი ომი;
სულ პირში აქვს გაჩხერილი
როცა სძინავს მაშინც, მგონი,
ვეფხვი არის ის, ან ლომი
თუ თან ახლავს ყალიონი.
მაგალითი? რამდენიც გსურთ
ყური მიგდეთ ოღონდ თქვენა
ბოლდუინის „ვაჟკაცობით“
ისე გაგიყრუოთ სმენა,
ისეთ ამბებს მოგიყვებით,
თავი თუ რით დაიმშვენა,
რომ კვლავ აღარ მოინდომებთ,
არ დაკარგოთ მხოლოდ თმენა.

⁂

ერთხელ როცა გამოცხადდა
აწ ცნობილი ის გაფიცვა
(ბოლდუინი მაშინ სახლში
არხეინად ტახტზე იწვა
აბოლებდა ყალიონს და
ჰქონდა გაზეთების კითხვა)
ჰენდერსონმა სახლში იმას
მოკრძალებით მიაკითხა.
უთხრა: მისტერ, თუ გსურს ჩქარა
დავამთავროთ „ჩვენ“ გაფიცვა,
მუშებს მიეც, მიეც მხოლოდ
პატიოსნად შენი სიტყვა,
რომ მთავრობამ „მიუდგომლად“
დღის წესრიგში დასვა კითხვა...
ბოლდუინმა შეაჩერა,
მეტი იყო ის, რაც ითქვა,
გააბოლა ყალიონი,
დაატეხა არტურს*) რისხვა
დაჰგმო, არც კი ათქმევინა
საბოდიშო იმ კაცს სიტყვა.

⁂

შემდეგ, როცა უკვე მორჩა
ის გაფიცვა დიდზე დიდი,
როცა „მხსნელთა შემწეობით“
ჩატყდა ძმათა ძმობის ხიდი,
მტარვალებმა დაიყოლეს
ნებას მუშა განაყიდი
და კისერზე მოახვიეს
პირობები ძნელ საზიდი.
ბოლდუინმა გაიქნია
ყალიონი ისევ იგი:
და ციხეში გაჩნდა მყისვე
კომუნისტთა მთელი რიგი.
შემდეგ როცა... და კვლავ როცა...
ყალიონი ბოლდუინის...
ერთი სიტყვით დაილოცა,
დაილოცა ძალა იმის,
რა სიგმირე ჩაიდინა
მან ინგლისში, ძნელად ითქმის.
ყალიონი ღირდა სწორედ
პრემიერად ერთად თითქმის.

⁂

და როდესაც ბოლდუინის
დაიკეტა კარი ქარხნის
(უნახშიროდ ქარხნის ბურღვი
ფოლადის გულს ველარა ღრღნის)
ჩაქრა იგი ყალიონი,
სურნელების ჩაწყდა ბოლი,
მისტერ სტენლის კარს მიადგა
გაჭირვების შავი ზოლი;
ხასიათი გაუფუჭდა,
ისეც გახდა სხვების ტოლი
„მიუდგომელს“ ეს ლა დარჩა
ითამაშოს აწ ფუტბოლი.

ხოზიკა.

---

*) არტური—ჰენდერსონის სახელია.

რა გვაბრკოლებს, რა უნდა მოვაგვაროთ
(ხელოსანთა კავშირის მუშაობიდან)

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებში არსებობს დღეს ხელოსანთა უჯრედები. საერთოდ ხელოსანთა კავშირი აერთიანებს დღეს 15-ტი ათასამდე წევრს. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი პარტიის მე-14 პარტკონფერენციამდე ხელოსანთა მდგომარეობას არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას უფრო დიდი სახელმწიფოებრივი კითხვები აწუხებდა.

ამ რამდენიმე ხნის წინედ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა თათბირზე გამოტანილ რეზოლიუციებში ჩვენ სხვათა შორის ვკითხულობთ შემდეგს:

„ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში სრულიად არ ექცეოდა ყურადღება ხელოსანთა და შინა-მრეწველთა შორის მუშაობის საკითხებს. ამ რიგად დიდი სოციალურ-ეკონომიური ფენა სოფლად და ქალაქში სრულებით არ არის ჩაბმული პარტიის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაში, ამიტომ საჭიროა ადგილებზე ხელოსანთა შორის მუშაობის პირობების შესწავლა. ისეთი ფორმების და მეთოდების შემოღება, რომელთა შემწეობით შესაძლებელია მათზე გავლენის უფრო მეტად გავრცელება“...

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავათ მე-14-ტე პარტკონფერენციისა, ყრილობისა და საოლქო კომიტეტის გაფართოებულ თათბირზე გამოტანილი რეზოლიუციებისა, მაინც მოეპოვებინა აქა-იქ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელნიც ხელოსნებს არ სთვლიან დიდი ყურადღების ღირსად.

ხელოსანთა მასის დიდი უმრავლესობა, თავისუფლად შევვიძლიან ვსთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების მაღიარებელია.

ამ შეხედულებას ხაზლვარი უნდა დაედოს ზემოთ მოყვანილი რეზოლიუციის მიხედვით, რომლითაც ჩვენს ხელოსნებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. რომ ეს ხელოსნები ძალიან კარგათ ადევნებენ თვალყურს ჩვენს ყოველ ნაბიჯს, ამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს:

წელს პირველი მაისის დღესასწაულის სადემონსტრაციოთ სიიდან ამოირიცხეს ეს კავშირი, გაზეთში გამოცხადებული იყო ყველა პროფესიონალური კავშირები, მათთვის ნაჩვენები იყო ადგილები, ხოლო, როდესაც ხელოსნებმა გაიგეს, რომ ისინი სულ გამოტოვებული იყვნენ, ამან მათში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამ დღეებში ჩატარდა 2-რე რაიონის უპარტიო მუშათა ფართო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე არ იყო წარმომადგენელი არც ერთი ხელოსანი, რომ იქიდან გაეგო ხელოსანთა მასას თუ რა საჭირბოროტო კითხვები იყო კონფერენციაზე დასმული და გადაჭრილი. ასეთი დამოკიდებულება თვითშრომელი ხელოსნების ყოფა-ცხოვრებისადმი ყოვლად დაუშვებელია შემდეგში, რაც მეტათ ართულებს ჩვენს მუშაობას.

ხელოსანთა მასაში მუშაობას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ეს მასა ცალკე ერთეულებათ დაქსაქსულია მთელ რესპუბლიკაში: თემებში, რაიონებში, და სამაზრო ცენტრებში. არ არსებობდა დღემდე მათი არავითარი გაერთიანება. არ იყო არავითარი კავშირები და უჯრედები, არტელები, ამხანაგობები და სამრეწველო კოოპერატიული გაერთიანებანი. დღეს მდგომარეობა ოდნავათ შეიცვალა. ამ ორი უკანასკნელი წლების განმავლობაში სტიქიურად წარმოიშვნენ ხელოსანთა კავშირები, რომ ამ პროცესს მისცემოდა ორგანიზაციული ხასიათი, გასული წლის პირველ ნახევარში დავზავნილ იქნენ ადგილებზე ინსტრუქტორები, რომ მათ ჩამოეყალიბებინათ ხელოსანთა გაერთიანება და დაეარსებინათ კავშირები, რაც ნაწილობრივად შესრულებული იქნა.

ამავე დროს საჭირო იყო, ხელოსნების რესპუბლიკის მასშტაბით გაერთიანება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. თბილისის ხელოსანთა ორგანიზაცია დღეს ფაქტიურად წარმოადგენს ხელმძღვანელს რესპუბლიკის ყველა ადგილობრივი ორგანიზაციებისა.

საქმე დღეს დაჟინებით მოითხოვს ხელოსნების რესპუბლიკის მასშტაბით გაერთიანებას. თითქმის ყოველ დღე მოსდის წერილობით ან დელეგატების საშუალებით შეკითხვები თბილისის ორგანიზაციას, როდის უნდა მოხდეს ხელოსნების გაერთიანება და ერთი ძლიერი ცენტრის დაარსება, რომ შინამრეწველ ხელოსნების თვითშრომელთა კავშირებს დაურჩეს ერთიანი ხელმძღვანელობა და მიმართულება.

მესამე დამაბრკოლებელი მიზეზი ხელოსანთა გაერთიანების იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს წესდება და დებულება, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო მოგვეწვია რესპუბლიკის მასშტაბით თათბირი ან კონფერენცია. დღეს უკვე მუშავდება ისეთი წესდება, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან, შრომის კომისარიატთან და შემდეგ იუსტიციის კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებასთან. დასასრულ ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, ცაკის დამტკიცების შემდეგ, შეუდგებით მის ცხოვრებაში გატარებას.

მეოთხე გარემოება, რაც ართულებს მუშაობას ამ კავშირში, იმაში მდგომარეობს, რომ ხელოსანთა მასას დღემდე ვერ მოუნახავს ისეთი დაწესებულება თუ ორგანიზაცია, რომელმაც მას უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა და აძლიოს დირექტივები. თბილისის ხელოსნების ორგანიზაცია პირველად მიმაგრებული იყო შრომის კომისარიატზე, შემდეგ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატზე, შემდეგ თბილისის ალმასკომზე, ხოლო ამ ერთი თვის წინად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გადასწყდა, რომ ხელოსნების ხელმძღვანელობა გადაეცეს ამ საბჭოსთან არსებულ ერთ-ერთ განყოფილებას, რომლის სათავეშიც იდგომება ამხ. ყამარაული. ამავე განყოფილების ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა მოექცეს სამრეწველო კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურო, რომლის თავმჯდომარეც ამხ. კ. აივაზოვია დღეს. ჩვენის მხრით მიზანშეწონილათ მიგვაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო იქნეს ხელოსანთა გაერთიანებული კავშირის ხელმძღვანელი, ვინაიდან ჩვენი მიზანია დღეს, რომ მოხდეს ხელოსანთა გაერთიანება რესპუბლიკის მასშტაბით. თუ ამ ხელმძღვანელობას იკისრებს ქ. ალმასკომი, ჩვენ არც ამის წინააღმდეგი გვაქვს რამე, ვინაიდან ალმასკომი დიდ დახმარებას უწევს ამ მასას, მხოლოდ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რომ ამნაირ ხეტიალს ერთი კომისარიატიდან მეორეში სამუდამოთ ბოლო მოეღოს.

მეხუთე დაბრკოლება კავშირის მუშაობისა იმაში მდგომარეობს, რომ კავშირს არ მოეპოვება ბინა, რომ მართველობას ჰქონდეს საშუალება ნორმალურ პირობებში გაუძღვეს კავშირის საქმეებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ნახევრად ქუჩაში—უხდება მუშაობა მართველობას, რაც საშინლად აძნელებს მუშაობას.

მეექვსე მიზეზი, რაც ძალზე აბრკოლებდა ხელოსანთა მასაში მუშაობას, მდგომარეობს იმაში, რომ არ იყო რეგულიარული პარტიული ხელმძღვანელობა ამ მასაზე. არ არსებობდა პარტუჯრედები, არ სწარმოებდა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ისე, როგორც საჭირო იყო. ეს უკანასკნელი დაბრკოლება დღეს უკვე გადალახულია. დაარსდა პარტ-უჯრედი. მე-2-რე რაიკომმა შემოგვიერთა მეტყავეთა უჯრედი № 32 ჩვენი შუამდგომლობის თანახმად. უჯრედში შედის 30 კაცი.

საჭიროა ყველა აღნიშნულ დაბრკოლებათა გადალახვა, რომ ხელოსანთა ორგანიზაციის საქმე წარმატებით წავიდეს წინ.

დ. ნასარიძე.

სახ. განათ. ხელმძღვან. კონფერენცია
მეოთხე დღე

სექციების მუშაობა

24 ივნისს, დილით სწარმოებდა განათლების განყოფილების და პოლიტ-განათლების განყოფილების სექციების მუშაობა. სექციებმა გამოიმუშავეს პირველი საფეხურის შრომის სკოლების, პროფტექნიკური სკოლების, სპეცტექნიკუმების, სასოფლო სამეურნეო სკოლების, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების, საბავშო სახლების და ბაღების, ლიკსკოლების, ქოხ-სამკითხველოების და პოლიტ-განათლების დანარჩენ დაწესებულებათა ქსელი. სექციების ამავე სხდომაზე გამომუშავებულ იქნა განათლების განყოფილებების შტატის პროექტი.

იმავე დღეს საღამოს შესდგა კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ნიკ. ღლონტის მოხსენება.

დაბალი პროფტექნიკური განათლება
სასოფლო სამეურნეო შეგირდობის სკოლა

სოფლად,— ამბობს მომხსენებელი, ვაწყობთ ორი ტიპის სასოფლო სამეურნეო სკოლას: ერთი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც ამზადებს ახალგაზრდას ინდივიდიუალური მეურნეობისათვის; აძლევს ცოდნას მეურნეობის ყოველ დარგიდან; მეორე—სასოფლო სამეურნეო შეგირდობის დაბალი სკოლა, რომელიც ახალგაზრდას აძლევს ცოდნას მეურნეობის რომელიმე სპეციალურ დარგიდან. ჯერჯერობით საქართველოში სასოფლო სამეურნეო შეგირდობის სკოლების რიცხვი მცირეა.

ამ ტიპის სკოლებისათვის საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი პირობა: სკოლისათვის უნდა ხდებოდეს შეგირდების შერჩევა სოციალური მდგომარეობის, წლოვანების და მომზადების დონის მიხედვით.

პირველ რიგში ასეთი ტიპის სკოლებში მიღებულ უნდა იქნეს ულარიბესი გლეხის შვილები; მისაღებ მოწაფეთა ჰასაკი უნდა განისაზღვრებოდეს 14—18 წლით, ხოლო მომზადების მხრივ ჯერ-ჯერობით სკოლაში მიღებულ უნდა იქნეს 4 წლედის ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები, ხოლო შემდეგისათვის სკოლა აუცილებლად 7 წლედის პროგრამას უნდა დაეყრდნოს.

სკოლა უნდა ემსახურებოდეს ამა თუ იმ სასოფლო სამეურნეო რაიონს მეურნეობის დარგის მიხედვით. შეგირდის სკოლასთან დასაახლოებლად და სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩასაბმელად სკოლასთან მოწყობილი უნდა იქნეს ინტერნატი. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება მოსახერხებელი ახალგაზრდამ ზედმიწევნით შეითვისოს მეურნეობის რომელიმე სპეციალური დარგი. მოწაფე-ქალები ჩაბმული უნდა იქნენ ისეთი განხრის სკოლებში, სადაც ისწავლება ქალის ფიზიკური ძალღონის შესაფერი მეურნეობა (მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.).

რაც შეეხება სასოფ.-სამ. შეგირდობის სკოლების პროგრამას, იგი უნდა შეუფარდდეს რაიონის მთავარი მეურნეობის დარგს. (მაგ. დასავლეთ საქართველოში მევენახეობას, მემინდვრეობას და სხვას). სკოლების სამაცადინო კურსი ითხწლიანი უნდა იქნეს. პირველ ორ წელიწადს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მეთოდიურ მხარეს, ხოლო მეცადინეობის უკანასკნელ წლებში პრაქტიკულ მუშაობას. საამისოდ სკოლას უნდა ექნეს დაახლოებით 15—20 დესეტინა საკუთარი მამული, სადაც სკოლით სპეციალობის მიხედვით გაშენებული იქნება სპეციალური კულტურა. სკოლის მამული უნდა იქნეს საცდელ-საჩვენებელი დაწესებულება მთელ რაიონისათვის, მამულის დამუშავება უნდა ხდებოდეს მექანიკური საშუალებებით. მოწაფემ სკოლაში აუცილებლად უნდა შეისწავლოს მანქანების ხმარება-გამოყენება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს. რადგან ამჟამად ჩვენს სასოფლო-მეურნეობაში პრიმიტიულ იარაღების ადგილს მანქანა იკავებს.

სკოლას მჭიდრო კავშირი უნდა ქონდეს ერთი მხრივ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთანაც შეგირდები უნდა მართავდენ საუბრებს სასოფლო-მეურნეობაზე, და მეორე მხრივ,—სოფლად მოქმედ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებთან (წარმოკავშირთან, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ორგანოებთან, საკრედიტო ამხანაგობებთან და სხვა).

მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო შეგირდობის 17 სკოლა.

პროფტექნიკური სკოლები

შემდეგ მომხსენებელი ეხება პროფტექნიკურ სკოლების დანიშნულებას და ამოცანებს. დღევანდელ პირობებში პროფტექნიკურ სკოლებს ევალებათ მოამზადონ ახალგაზრდები შინა-მრე- (ფეიქრობა, კერამიკული მრეწველი მრეწველობა, ძერწვა და სხვა) და ხელოსნობის ყველა დარგებისათვის.

პროფტექნიკურ სკოლებს, რომელნიც ამზადებენ ხელოსნებს და შინამრეწველებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ დღეს ჩვენი სოფლისათვის, რომელიც განიცდის ხელოსნების—მჭედლების, ზეინკლების და სხვების დიდ ნაკლებობას.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლები

დასასრულ მომხსენებელი ეხება საქარხნო-საფაბრიკო სკოლებს, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი წარმოების განვითარებასთან. რამდენად უფრო ჩქარი ტემპით წავა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, იმდენად გაიზრდება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების რიცხვი.

მეოთხე დღის საღამოს სხდომაზე ამხ. ღლონტის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაიწყო კამათი გაკეთებულ მოხსენებათა შესახებ.

პარტიული ცხოვრება
ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეთა ამ.-კ. თათბირი

გუშინ, 24 ივნისს, დილის 10 საათზე საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბინაზე გაიხსნა ამიერ-კავკასიის ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეთა თათბირი.

თათბირს დაესწრენ წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებიდან.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ, თათბირი შეუდგა საქმიან მუშაობას.

დილის და საღამოს სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე და განათლების კომისარიატის ეროვნულ უმცირესობათა სკოლების ქვეგანყოფილებების მოხსენებები.

სხდომების უფრო ვრცელი ანგარიში მოთავსებული იქნება გაზეთის ხვალის ნომერში.

პარტმუშაობის გასაცხოველებლად
(სენაკის მაზრა)

სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, 1-ლი ივნისიდან გაუქმებულია დღემდე არსებული 16 თემკომის ჯამაგირიანი მდივნების თანამდებობა და დაარსებულია სამკომის ინსტრუქტორთა კადრი. ამით სისტემა, თემკომების სრულიად არ უქმდება. ამით მაზრის ყველა თემკომები ჩაყენებული არიან ერთნაირ პირობებში.

რომ ამით მუშაობა არ შეფერხებულიყო, სამკომმა გაადიდა ინსტრუქტორთა რიცხვი. რომელთა შორის განაწილებული იქნება სამუშაოდ მაზრის თემები. (თითეულ ინსტრუქტორს შეხვდება საშუალოდ 4—5 თემი).

ინსტრუქტორებს წინასწარ მიეცემათ სამკომიდან ყველა ის დირექტივები, რომელიც გატარებულ უნდა იქნეს თემკომების საშუალებით.

ამ მიზნით ინსტრუქტორთა პირველი თათბირი მოწვეულ იქნა 17 ივნისს.

თათბირზე გარჩეულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. უჯრედის ბიუროების და თემკომების გადარჩევა.
2. ღარიბეს გლეხთა შორის მუშაობა.
3. ქალთა შორის მუშაობის საკითხები.
4. 1926—27წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და სხვ.

აღნიშნული საკითხები თათბირზე გარჩეულ და შესწავლილ იქნა. გარდა ამისა ინსტრუქტორებს ამ საკითხებზე მიეცათ თეზისები. ერთი სიტყვით, ინსტრუქტორები საკმაოდ გაეცნენ საკითხებს და მომზადებულნი მიემგზავრებიან რაიონებში.

დაახლოებით ყოველ თვის ბოლოს შესდგება ინსტრუქტორთა თათბირი, მოსმენილი იქნება ადგილობრივ ორგანიზაციის მდგომარეობა და მათ მიეცემათ ხელ-ახალი დირექტივები, გამომდინარე იმ საკითხებიდან, რომელიც წამოჭრილი იქნება პარტიის წინაშე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშაობის ამ სახით წარმოება გამოაცოცხლებს ორგანიზაციას და წინ წასწევს მის საქმიანობას.

მ. ბ—ა.

პარტიული ქრონიკა

— **სამეურნეო დარგის მუშაკთა თათბირი.** სენაკის სამაზრო კომიტეტმა 16 ივნისს მოიწვია სამეურნეო ორგანოებში მომუშავე ამხანაგების თათბირი. თათბირზე განხილულ იქნა საკითხები „ეპო“-ების, მომჭირნეობის რეჟიმის და სხვ. შესახებ. თათბირის მონაწილეთ მიეცათ სათანადო დირექტივა.

— **კურსდამთავრებულთა გამოყენება.** სენაკის აგიტ-პროპმა ფოთის პარტ-სკოლიდან ჩამოსულ კურსდამთავრებულ 24 ამხანაგიდან, 9 გაგზავნა პოლიტგანათლების და სხვა დარგში სამუშაოდ. დანარჩენები კი გამოყენებული იქნებიან პარტ-კომკავშირის ძირითად ორგანიზაციებში.

— **მოხსენება.** 18 ივნისს, საღამოს ახალ-სენაკის მუშათა კლუბში შესდგა კომპარტიის და კომკავშირის ქალაქის ორგანიზაციის გაერთიანებული სხდომა. მოსმენილ იქნა სამკომის მდივან ამხ. ა. გორგაძის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობაზე“.

— **ქალთა ორგანიზატორების კურსების გახსნა.** ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ დაადგინა მოწყობილ იქნას ახალქალაქის მაზრაში მოკლევადიანი ქალთა ორგანიზატორების კურსები, ქალთა შორის მუშაობის გაცხოველების მიზნით.

— **მეთოდიური ბიუროს მუშაობა.** შაბათს, 19 ივნისს ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყ. შესდგება მეთოდიური ბიუროს მორიგი სხდომა. ბიურომ მოიწონა ქალთა ორგანიზატორების გადასამზადებელი კურსებისათვის შედგენილი მასალები და საჭიროთ სცნო მისი გამოცემა.

— **ქალთა ორგანიზატორების კურსები სიღნაღში.** 1-ლ ივლისიდან სიღნაღის მაზრის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებასთან გაიხსნება ერთთვიანი ქალთა ორგანიზატორების გადასამზადებელი კურსები.

— **დელეგატ ქალებისათვის** ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ სიღნაღის მაზრის ქალთა განყოფილებას გადაუგზავნა რკ. გზის 30 პროც. შეღავათიანი ბილეთები, გლეხი და დელეგატი ქალების გამოსაგზავნად სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

— **ქალთა ორგანიზატორების გადასამზადებელი კურსების მსმენელების გამოშვება.** შაბათს, 26 ივნისს, მოხდება ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებასთან არსებული ქალთა ორგანიზატორების გადასამზადებელი კურსების მსმენელების გამოშვება.

— **რად გადიან კომკავშირიდან.** საორგანიზაციო კოლეგიამ გამოჰყო ერთ-ერთი ამხანაგი, რომელსაც დაავალა შეისწავლოს საკითხები:— რა მიზეზით აქვს ადგილი კომკავშირის რიგებიდან გასვლას, თვითმკვლელობას და თვითმკვლელობის განზრახვას.

— **აგიტმუშაობა მეოთხე რაიკომში.** აგიტ-კოლეგიამ მეოთხე და მეორე რაიკომების აგიტპროპგანყოფილების მოხსენება მუშაობის შესახებ მიიღო საერთო დამაკმაყოფილებლად. ამავე დროს აღნიშნა მე-4 რაიკომში პოლიტგანათლების მუშაობის სისუსტე წარსულ წელთან შედარებით.

პრაქტიკული წინადადებების გამოსამუშავებლად გამოყოფილია კომისია.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის
ტრანსპორტის კლიენტურის როლი მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში

ა.-კ. გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწემ, ინჟ. ა. ი. კამსარაკანმა განაცხადა, რომ ტრანსპორტზე მომჭირნეობის რეჟიმის საკითხის გადაწყვეტის დროს საჭიროა ორი უმთავრესი გზის აღნიშვნა: მათ შორის ერთი უფრო ეფექტიანია, როგორიც მაგ., შტატების შემოკლება, მუშაობათა შეწყვეტა და სხვა ხოლო მეორე უფრო ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ მას მეტი თვალსაჩინო ნაყოფი მოაქვს. მხედველობაში გვაქვს გზათა მუშაობის თვისების გაუმჯობესება, ორთქლმავლების და ვაგონების მიზანშეწონილად გამოყენებით, ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ უნდა იქნეს მიქცეული ტრანსპორტზე მომუშავეთა კოლექტიური ნებისყოფის, დაწყებული მეისრიდან და გათავებული პასუხისმგებელ ხელმძღვანელით.

ცნობილია, რომ ვაგონი ერთი დატვირთვიდან მეორე დატვირთვამდე უნაყოფოთ სდგას როგორც მატარებლის მოძრაობის, ისე განსაკუთრებით გადმოტვირთვა-დატვირთვის და გაგზავნის მოლოდინში. თუ ტრანსპორტის მუშაკთა და კლიენტების საერთო ძალღონით შემცირებულ იქნა ვაგონების უნაყოფოდ გაჩერება მხოლოდ ორი დღე-ღამით, რაც ადვილად მოსახერხებელია, მაშინ ანგარიში გვიჩვენებს, რომ აქედან მიღებული მომჭირნეობა წლიურად გამოიხატება დაახლოებით 1 მილიონ მანეთში ა.-კ. რკინისგზებზე.

ამ უბრალო მაგალითიდან სჩანს, თუ რა დიდი შედეგების მიღება შეიძლება სატრანსპორტო საშუალებათა მიზანშეწონილ გამოყენებიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისათვის საკმარისი არ არის მარტო ტრანსპორტის მუშაკთა ღონისძიებები, საჭიროა აგრეთვე კლიენტურის დახმარებაც, მის მიერ ვაგონების გადმოტვირთვის დროის შემცირებით, ტვირთების მისამართების შეცვლით, თავის დროზე რეალურ განცხადებების შემოტანით მომავალ გადაზიდვათა შესახებ და სხვა.

აქამდე ამ მხრივ ყველაფერი არ არის დაყენებული კარგად.

დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უმეტესობა ჯერ კიდევ ვერ მიეჩვიენ სატრანსპორტო საშუალებებში თავის მოთხოვნილების სწორ გამორკვევას და ამის გამო ა.-კ. რკინისგზებზე ყოველდღიურად უხდება 100 ვაგონის ტყუილ-უბრალოთ ტარება.

ხდება ხოლმე აგრეთვე ერთგვარ ტვირთების შემხვედრი გადაზიდვა, რაც ართმევს რკინისგზებს ისედაც მცირე საშუალებებს, ტვირთების მისამართების გამოცვლით გამოწვეულ ვაგონების გაჩერებით.

ტრანსპორტზე მომჭირნეობის რეჟიმის საკითხის სისწორით გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მხოლოდ ტრანსპორტის მუშაკებმა, რომლებიც ასრულებენ თავის მოვალეობას, არამედ მთელმა კლიენტურამ,— უმთავრესად სახელმწიფო დაწესებულებებმა და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა.

ა. ქ.

რა გაკეთდა ქალაქის სასაკლაოზე

მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისიის მუშაობამ ქალაქის სასაკლაოზე უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი ნაყოფი. მომჭირნეობის მიზნით შეცვლილია სასაკლაოსათვის ორთქლის მიწოდების დრო და მოწესრიგებულია მეხაზეების სამუშაო დრო. ამ ღონისძიების გატარებამ გამოიწვია 6 ფუთი მაზუთის დაზოგვა დღეში; ანუ 1209 მანეთის დაზოგვა წელიწადში.

წყლის ხარჯის შესამცირებლად ზომები მიღებული იქნა ჯერ კიდევ 1924 წელში. ამჟამად წყალსადენები ისე არის მოწყობილი, რომ წყლის მიწოდება სწარმოებს მხოლოდ საჭიროების მიხედვით; ასე რომ ონკანების დახურვის შემდეგ, ადგილი არა აქვს წყლის ფუჭად დენას.

1924-25 სამეურნეო წლის პირველ ნახევარში დაკლული საქონლის წონა უდრიდა—291.380 ფუთს; ამ დროს დახარჯულ იქნა 3.120.455 ვედრო წყალი. 1925-26 წლის პირველ ნახევარში სასაკლაოზე დამზადებულ იქნა გასულ წელთან შედარებით 23.308 ფუფით მეტი ხორცი, ხოლო წყალი დაიხარჯა 747.831 ვედროთი ნაკლები. ამით მიღებულია 6.795 მანეთის დაზოგვა.

გასულ წელთან შედარებით ზედმეტი სამუშაოების საათები შემცირებულ იქნა 3.949-ით, რასაც მოჰყვა 700 მანეთზე მეტის დაზოგვა.

დროის მოსაგებად შემოღებულ იქნა აგრეთვე ხელფასის კონვერტებით დარიგება, ამის შემდეგ მუშები არ ჰკარგავენ დროს ჯამაგირის მიღების ლოდინში. ჯამაგირებს კონვერტებით თვით მოლარე არიგებს.

მიღწეულ დაზოგვის საერთო ჯამი სასაკლაოზე უდრის **7.473** მანეთს.

პრესა მომჭირნეობის შესახებ
ხელფასის ფარული გადიდება

ჩვენს დაწესებულებებში ფართედ აქვს ფეხი მოკიდებული დაწესებული ხელფასის არაპირდაპირი გზით გადიდებას. ამისათვის სხვადასხვა ხრიკებს მიმართავენ. იმ ხშირ მოვლინებებს, რასაც ადგილი აქვს დაწესებულებათა პრაქტიკაში, არა იშვიათად უდევს საფუძვლად მივლინებულთათვის ცხოვრების დამატებითი წყაროს გაჩენა. ასევე ითქმის ბევრ შემთხვევაში ზედმეტ საათებში მუშაობაზე. აგრეთვე ხშირია ისეთი ფაქტები, როცა თანამშრომლებს ცალკე აძლევენ გასამრჯელოს იმ მუშაობისათვის, რომლის შესრულებას მათ თანამდებობა აკისრებს.

„იზვესტია“-ში ამხ. მ. ა. წ—ს მოყავს ასეთი მაგალითი:

„ფინკომისარიატის ფინანსიურ - საკონტროლო სამმართველომ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის ოპერაციების რევიზიის დროს ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გზათა მიმოსვლის კომისარიატი ფართედ იყენებს განსაკუთრებულ შემთხვევებში თანამშრომელთათვის ხელფასის გადიდების უფლებას.

ასე, მაგ., ფინანსიურ და სახარჯთ-აღრიცხვო - საანგარიშო ორგანოების პასუხისმგებელ თანამშრომლებს ეძლევათ განსაკუთრებული ჯილდო ხარჯთ-აღრიცხვათა და ანგარიშების შედგენისათვის, რაც მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

თანამშრომლები, რომელთა მოვალეობა მდგომარეობს სატრანსპორტო ორგანოების გამოკვლევათა წარმოებაში და ამ გამოკვლევების შედეგებზე მოხსენების წარდგენაში, ღებულობენ ცალკე გასამრჯელოს იმისათვის, რომ ასეთ მოხსენებებს აკეთებენ.

ეს მოხსენებები შემდეგ იბეჭდება უწყებრივ პრესის ორგანოებში და ამისათვის კიდევ ლიტერატურული ჰონორარია შემოღებული.

გზათა მიმოსვლის კომისარიატის მარტო ადმინისტრატიულ სამმართველოს 1924—25 წ. გაუცია იმ თანამშრომლებზე, რომელნიც პერსონალურ განაკვეთს იღებენ, 59.248 მან. 74 კაპ., დამატებითი გასამრჯელოს სახით ხარჯთ-აღრიცხვათა, ანგარიშების, მოხსენებების შედგენისათვის და სხ. მუშაობისათვის.

გრძელ ნუსხაში ჩამოთვლილია შემდეგი გაცემული ჯილდოები: 1924—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის 4.275 მან., წლიურ ანგარიშის შედგენისათვის 1.100 მან., ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე წარმოებულ მუშაობისათვის 4.950 მან., 1924—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის 4.565 მ., 1923—24 წ. ანგარიშისა და 1925—26 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის 11.315 მან., პრესის ინფორმაციისათვის (!) 1.280 მან., მოხსენებებისათვის 1.060 მან“.

სავსებით ცხადია, რომ ყველა ეს მუშაობა სათანადო განყოფილებათა და თანამშრომლების ძირითად მოვალეობათა რიცხვში შედის. მიუხედავათ ამისა, ამისათვის გაუღიათ ცალკე გასამრჯელო.

ესაა ხელფასის არაპირდაპირი უკანონო გადიდება. ასეთ მოვლენებს,რა თქმა უნდა, ადგილი აქვთ არა მარტო გზათა კომისარიატის უწყებაში, არამედ სხვა დაწესებულებებშიაც. აღსანიშნავი ის არის, რომ ხელფასის ასეთი მომატება ეხება არა დაბალ კატეგორიის მოსამსახურეთ, არამედ კვალიფიკაციურ მუშაკებს, რომელნიც ისედაც მაღალ ხელფასს ღებულობენ. ამ გზით სახელმწიფოსათვის მიყენებული ხარჯები უეჭველად მილიონებს უდრის. საჭიროა ამ მოვლენას გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან დაკავშირებით.

მიწის იჯარით გაცემის წესი
(მიწათმოქმედების კომისარიატთან შემდგარ საუწყებათაშორისო თათბირის პროექტი).

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან შემდგარ საუწყებათაშორისო თათბირმა შეიმუშავა მიწის კოდექსის 27—38 მუხლების შეცვლის პროექტი.

პროექტის ძალით, მიწის იჯარით გაცემა აკრძალულია, უკეთუ მიწის იჯარით გამცემი კომლი სრულიად მოსპობს დამოუკიდებელ შრომითი მეურნეობას. იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელიწადს. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ იჯარით მიწის გამცემი თვით ვერ შესძლებს თავისი მიწის დამუშავებას, ასეთს შემთხვევაში მიწა მას ჩამოერთმევა და ადგილობრივ სათადარიგო ფონდში ჩაირიცხება.

მიწის იჯარა შეიძლება იყოს მხოლოდ შრომითი: არავის არ შეუძლია იჯარით აიღოს იმაზე მეტი მიწა, რასაც იჯარის ამღები შეძლებს დაამუშაოს საკუთარი ძალებით და მუშა-ხელის დაქირავებით არსებულ კანონმდებლობის საფუძველზე. იჯარით აღებული მიწის გადაცემა მესამე პირისთვის (სუბარენდა) აკრძალულია. თუ ასეთი ხელშეკრულება დაიდება, გაბათილებულად ჩაითვლება და დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლ. სამ. კოდექსის 142 მუხლის ძალით.

თემალმასკომს შეუძლია იჯარით გასცეს ათპროცენტიანი სათადარიგო მიწა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს მიწა საბალახოთ არ არის საჭირო, და იმ პირობით, რომ შემოსული იჯარა მოხმარდეს საერთო საჭიროებას იმ სოფლისას, რომელსაც ეკუთვნის იჯარით გაცემული სათადარიგო ფონდი. თავისუფალი სახელმწიფო ფონდის მიწები გაიცემა იჯარით მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ 12 წელზე მეტი ვადითაც.

მიწის იჯარის ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმებები ძალაში შედის თემალმასკომის მიერ. მათი საგანგებო რეგისტრაციაში გატარების შემდეგ. თემალმასკომს შეუძლია უარჰყოს მხოლოდ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, რეგისტრაცია უფასოდ სწარმოებს.

საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე იქნას გაბათილებული მიწის იჯარით გამცემის ან საადგილ-მამულო ორგანოების მოთხოვნით იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარადრემ არ შეასრულა საიჯარო ხელშეკრულების პირობები.

საიჯარო ურთიერთობის და პირობების წესიერად შესრულებას თვალყურს ადევნებენ მიწათმოქმედების ორგანოები, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავის განხილვა და გეუქმება ისეთი საიჯარო ხელშეკრულებისა, რომლის პირობები მეტისმეტად მძიმე იქნება, ექვემდებარება საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებს.

დაქირავებული შრომით სარგებლობა შეიძლება არსებულ წესების თანახმად (ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს 1925 წ. აპრილის 18-ის დადგენილების და ა.-კ. სახკომსაბჭოს 1925 წ. ივლისის 30-ის ინსტრუქციის საფუძველზე). მუდმივი დაქირავებული შრომის გამოყენება არ შეუძლიათ ყოფილ მემამულეთ, გარდა ისეთებისა, რომელთაც შრომის უნარი დაკარგული აქვთ.

თბილისის გაზეთების რედაქტორების თათბირი

23 ივნისს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ამხ. ხუმარიანის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის გაზეთების რედაქტორების თათბირი პრესაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობის გაშუქების მოწესრიგებისა და აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის გაძლიერების შესახებ. მომხსენებელმა ამხ. ვართანიანმა აღნიშნა, რომ მიუხედავათ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მნიშვნელობისა სახელმწიფო აპარატის საერთო სისტემაში და აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის ორგანოების მუშაობა და მიღწევები ამ დარგში პრესაში ყოველმხრივ არ შუქდება, რაც ნაწილობრივ გაზეთების ბრალია, რადგან ისინი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებს საკმაო ადგილს არ უთმობენ. ამიტომ საჭიროა, რათა შემუშავებულ იქნეს მტკიცე მეთოდები მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის დასაკავშირებლად პრესასთან. კერძოთ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია. ამ მიზნით გაზეთებში უნდა გამოიყოს სპეციალური განყოფილებები, (სადაც ეს არ არის) ერთ-ერთი პასუხისმგებელი ამხანაგის ხელმძღვანელობით.

ამხ. ვართანიანის მოხსენებამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, რომლის დროს აღნიშნულ იქნა, რომ ახლო მომავალში ჯამი უნდა გაუკეთდეს უკვე ჩატარებულ კამპანიას, არსებულ მიღწევების გარკვეულ ციფრებში ჩამოყალიბებით. საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს რედაქციების კავშირი მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, რომელიც მომავალში გაზეთებს მიაწვდის ცნობას მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგების შესახებ. პრესის კავშირი მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან და საკონტროლო კომისიასთან განხორციელებულ უნდა იქნეს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიასთან არსებულ საინფორმაციო პრეს-ბიუროს საშუალებით. საინფორმაციო პრეს-ბიურომ რეგულიარულად უნდა მიაწოდოს გაზეთებს საქრონიკო და აგრეთვე ვრცელი მასალები მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. აღნიშნულ იქნა აგრეთვე, რომ პრესბიუროს მასალები უნდა იბეჭდებოდეს სასწრაფო წესით და შეძლებისამებრ შეუცვლელად.

წითელ ჯარში
ქიმიური საქმე ჩვენთან
(მე-6-ე ქართ. მსრ. ლეგიონი)

ლეგიონის ქიმიურ სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით დაარსებულ იქნა ორკვირეული ქიმიური კურსები, რომლების მიზანი იყო მომზადება წითელარმიელთა რიგებიდან ასეულის ქიმ. ინსტრუქტორები.

ყველა ასეულიდან გამოყოფილ იყო თითო წითელარმიელი, სულ კურსებზე მეცადინობდა 19 კაცი. მეცადინობას აწარმოებდენ მცოდნე ამხანაგები.

კურსებზე შესწავლილ იქნა: 1) ქიმიის მრეწველობა, 2) სამხედრო ქიმია, 3) საწამლავი ნივთიერებანი, 4) თავდასხმა და თავდაცვა, 5) ქიმიური ძიება და სხვა.

წითელარმიელნი დაინტერესებულნი იყვნენ ქიმიით და შეთვისებაც კარგი იყო.

გამოცდები კურსების დამთავრების შემდეგ ჩატარდა დამაკმაყოფილებლად, წითელარმიელნი ყოველ შეკითხვაზე იძლეოდნენ გარკვეულ პასუხს.

განზრახულია ასეთივე კურსების ჩატარება ახლო მომავალში ცვალებად წითელარმიელებთან.

დ. დოლიძე.

სასოფლო-სამეურნეო წრეები წითელ ყაზარმაში

სასოფლო-სამეურნეო წრეების მიზანია მისცეს წითელ არმიელს ელემენტარული ცოდნა სასოფლო-მეურნეობიდან.

წრეები დაარსებულია თვით წითელ არმიელთა სურვილით. მეცადინეობა ატარებს პრაქტიკულ ხასიათს, დრო გამოშვებით სწარმოებს თეორიული მეცადინეობაც. მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს საქონლის მოვლა-მოშენებას, მეფუტკრეობას და მევენახეობას. ამ მიზნით იმართება ექსკურსიები, ყაზარმებთან ეწყობა საცდელი ბოსტნები, ბაღები, ხშირად მოიწვევიან მცოდნე პირები მოხსენების გასაკეთებლად. ბიბლიოთეკაში ბლომადაა წიგნები, რომელნიც შველიან წითელ არმიელს საჭირო ცოდნის შეძენაში.

ზაფხულობით წრეების მეცადინეობას და საქმიანობას ეძლევა ფართე გასაქანი, ვინაიდან ბანაკის პირობები ხელს უწყობენ მუშაობის გამოცოცხლებას და გაფართოებას.

ი—ა.

მზადება კოოპერაციის დღისათვის

ამჟამად ქართული ჯარის ნაწილებში მიმდინარეობს მზადება კოოპერაციის დღის ჩასატარებლად. კამპანიას მიეცემა ფართე ხასიათი.

კოოპერაციის მნიშვნელობის გაშუქებას დაეთმობა ცალკე საათები პოლიტმეცადინეობის დროს იმართება საუბრები, ხმა-მაღალი კითხვა, მოხსენებები.

ბიბლიოთეკების მიერ შედგენილ იქნება სარეკომენდაციო სიები და მოეწყობა წიგნების გამოფენა.

კლუბები ამზადებენ ინსცენიროვკებს, გასამართლებებს და პიესებს შესაფერ შინაარსით.

ინტენსიურად მუშაობენ კოოპერაციის შემსწავლი წრეები.

ბანაკად მყოფი ჯარის ნაწილები კამპანიას ჩაატარებენ გლეხთა ფართე მასებში, სოფლად გაიგზავნებიან მომხსენებლები ლიტერატურით, დაიდგმება წარმოდგენები.

იწარმოებს აგრეთვე სამხედრო-სამომხმარებლო კოოპერატივში ახალი წევრების მიღება წითელ-არმიელებიდან და მეთაურთა შემადგენლობიდან.

ზ.

საბჭოთა საქართველო
დეპეშები

შავი ქვის გაზიდვა

ფოთი, 24 ივნისი. ჰოლანდიაში წავიდა მარგანეცით დატვირთული გემი „ლოტო“, რომელმაც წაიღო 4.700 ტონი მადანი.

მუცელა

ფოთი, 24 ივნისი. ქალაქში მძინვარებს მუცელა.

შენობის შეკეთება

ოზურგეთი, 24 ივნისი. ოზურგეთში დამთავრდა სამაზრო ალმასკომის ორ-სართულიანი შენობის კაპიტალური შეკეთება. ალმასკომის შენობაში მოთავსებული იქნება ყველა განყოფილებები, რაც მნიშვნელოვან მომჭირნეობას მოიტანს ალმასკომის ბიუჯეტის ხარჯებში.

სოფლად

სკოლის შენობა

ოზურგეთი, 24 ივნისი. დაწყებულია სოფელ მელექედურის შვიდწლედის შენობის აგება: შენობა ჯდება—5,000 მანეთი. გლეხები შენობას აგებენ თავის ხარჯზე; თანხა იკრიბება თვითდაბეგვრის მეოხებით.

ჭიათურის შტოს გაფართოება

ჭიათურა, 24 ივნისი. „ქართული მარგანეცის“ აქციონერული საზოგადოება უკვე შეუდგა დიდი სახლის აშენებას სადგურ რკვიაზე. საზოგადოება რკვიაში აპირობს განყოფილების გახსნას იმ საქმეების მოსაგვარებლად, რომელიც საჩხერე-ფოთს შორის, ფართო ლიანდაგიანი გზის გაყვანასთან არის შეკავშირებული.

„ქართული მარგანეცი“

ჭიათურა, 24 ივნისი. „ქართული მარგანეცის“ საზოგადოება შეუდგა თავის განყოფილებების რეორგანიზაციას. რეორგანიზაცია ჩატარდება მტკიცე შტატების შემოღებისათვის.

გლეხკომები

ჭიათურა, 24 ივნისი. შორაპნის მაზრის სამაზრო გლეხკომში დაარსდა გლეხკომების სარეორგანიზაციო კომისია. გლეხკომების გადამხალისებელ მუშაობის გათავების შემდეგ, გაიხსნა გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების კონფერენცია.

წერილები
„ბნელ რიგებში“
(ანუ როგორ აწვდიან საქონელს ახალციხის კოოპერატივს)

არის ქალაქი ახალციხე, ხოლო ახალციხეში —„ეპო“-ა.

ახალციხის „ეპო“-მ იცის თავის ფასი, წონა და ადგილი სოციალისტურ მშენებლობის საქმეში, და როგორც ასეთს შეეფერება, ჰყავს თავისი „სრულუფლებიანი“ წარმომადგენელი თბილისში:

— კონტრაგენტი მოქ. კაიტაჯიანი.

დავალებული აქვს ამ „სრულუფლებიანს“ საქონლის შეძენა და მიწოდება თავის „ეპო“-სათვის.

ვინ არ იცის, რომ საქონლის ნაკლებობის თანამედროვე პირობებში, „ეპო“-სათვის საქონლის მიმწოდებლად ყოფნა დიდი ზორია და თავგანწირული უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს საქმე იკისროს.

მაგრამ მოქ. კაიტაჯიანს არც თუ ახალციხის „ეპო“-ზე ნაკლებ ქონია შეგნებული კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა, ხოლო ამ დიად საქმისათვის რას არ გასწირავს კაცი!

კატაჯიანსაც მიუტანია თავი სოციალისტურ აღმშენებლობის სამსხვერპლოზე და უკისრია ესოდენ ძნელი მოვალეობა.

კიდევ მეტი:

მისი შეგნება იმდენად ფართე ყოფილა, რომ კოოპერაციის საკეთილდღეო საქმიანობაში მას სხვებიც ჩაუთრევია და წარმოიდგინეთ! მთელი რიგი კერძო ვაჭრები გამოუყენებია თავის „ეპო“-ს საქმეთა „გამაგრებისათვის“.

განა სოციალიზმისათვის თავდადება ამაზე მეტი იქნება?

მოქ. კაიტაჯიანის მაგალითი „სამაგალითოა“ უსათუოდ და, ამიტომ ვაქცევთ მასზე მკითხველის ყურადღებას.

ღირსშესანიშნავია აქ პირველ ყოვლისა ის, რომ მოქ. კაიტაჯიანი იმ თავითვე მოხერხებულად შესდგომია საქმეს. მას რთული გეგმა შეუდგენია: გადაუწყვეტია კერძო სავაჭროების „ძველი“ საქონლისაგან და ამ საქონლის ახალციხის „ეპო“-ში გადატანა.

გეგმას საქმე მიჰყოლია და პირველი იერიში ამ მიმართულებით მას თავის ძველ ამხანაგ,—ვაჭარ ტანავანიანცზე მიუტანია, გამოურთმევია მისთვის „მანნი კრუპა“, კონსერვები, ხიზილალა, ტომატი და სხვა; შემდგ მუსაბეგ-მეხტიზადესათვის მიუმართავს და მისგან ხალვა შეუძენია. ვაჭარ გოზალოვისაგანაც წაუღია სავარცხლები, თმის შპილკები; ვანციანცისგან—ნემსები, ფიტილი და სხ.

ერთი სიტყვით, კაიტაჯიანს სულ დაუვლია ქარვასლის „ბნელი რიგები“. მართალია, ყველა ამ საქონელში ფული გადაუხდია, ხშირად უფრო მეტიც ვიდრე მაგ. სახელმწიფო ან კოოპერატიულ სავაჭროებში ღირდა, მაგრამ უმსხვერპლოდ, აბა რომელი დიდი საქმე გაკეთებულა, ეს რომ გაკეთებულიყო?!

სამაგიეროდ ამ ჟამად ახალციხეში „ეპო“-ს ბაზრის 40 პროცენტი დაუპყრია და გარდა ამისა, როგორც ამბობენ თბილისის ვაჭრების 40 პროცენტიც თავის „გავლენის“ ქვეშ დაუყენებია და სისტემატიურად სცლის მათ მაღაზიებს.

დიდი ნიჭი ხშირად ილუპება ხოლმე. შესაძლოა კაიტაჯიანის ნიჭიც დაკარგულიყო, რომ ახალციხის „ეპო“-ს გამგეობაში არ ყოფილიყო წევრი გრიგორიანი.

გრიგორიანს შეუძლია „ნიჭიერ“ კაცის დაფასება. ის თითონაც გამოცდილი კაცია, ძველი ნაფიცრალია, როგორც ამბობენ, თვით დენიკინის ჯარებშიაც კი უმსახურნია, და, გასაკვირიც არ არის, რომ მას არ გამოეპარა კაიტაჯიანის „ნიჭი“. მას კარგად სცოდნია პოეტის მიერ თქმული: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“... და სხვა.

კაიტაჯიანცის მიერ წარდგენილ ანგარიშებზე მისი მადლიანი წარწერაა: „კონტროლიორსა და ბუჰჰალტერს: შეამოწმეთ და მიიღეთ“.

ვფიქრობთ, რომ სათანადო ორგანოებიც შეაფასებენ ამ ორი „ნიჭიერი“ ადამიანის დამსახურებას და ჯილდოსაც მიაკუთვნებენ მათ.

ხუმრობა საქმე ხომ არაა: თბილისის ვაჭრების 40 პროცენტის დაპყრობა?!

სამწუხარო აქ მხოლოდ ის არის, რომ კაიტაჯიანს „ბნელ რიგებში“ უკეთებია „ეპო“-ს საქმეები. ხოლო „ბნელ რიგებში“ ხშირად ბნელი საქმეებიც ხდება ხოლმე.

ან.

ახალი საექიმო პუნქტი
(თელავი)

თელავის განაპირა უბანი ესრედ წოდებული „მაწანწარა“ ქალაქის თითქმის მეოთხე ნაწილს შეიცავს, რომელიც არც ქალაქათ ითვლება და არც სოფლად.

ამ ვეებერთელა რაიონის მცხოვრებნი, რომლის უმრავლესობას შეადგენენ ხელოსნები, შავი მუშები, მოკლებულნი იყვნენ ყოველივე სიკეთეს. არც ერთი კულტურული დაწესებულების ხსენება არ იყო, სამაგიეროთ მაწანწარის სამიკიტნოები თავისი არღნებით განთქმული იყო მთელ თელავში.

აი, ამ ვეებერთელა რაიონს ამ ბოლო წლებში სახე სულ შეეცვალა. ალმასკომმა გამოიყვანა ელექტრონი, გაიხსნა სამკითხველო და ეს კულტურული პატარა მიღწევანი დაგვირგვინდა 17 ივნისს მაწანწარაზე საექიმო პუნქტის და აფთიაქის გახსნით.

თუ სადმე იყო საექიმო დახმარება საჭირო, ეს მაწანწარაზე და სწორედ წითელ ჯვრის თელავის განყოფილებამ ამ რაიონს მიაქცია ყურადღება, საექიმო პუნქტის გახსნით, რომელიც ამიერად დახმარებას გაუწევს ღარიბ მოსახლეობას.

პუნქტი და აფთიაქი კოხტა შენობაშია მოთავსებული და მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. საექ. პუნქტის გახსნას დაესწრო ამ რაიონის მთელი მოსახლეობა. წარმოითქვა სიტყვები და მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა წით. ჯვრის საზოგადოებას თბილისში.

ვ.

ყველა უნდა გამოვიდეს
(კიცხის თ., შორ. მ.)

ეს თემი დაშორებულია ზესტაფონიდან 12 ვერსით. გლეხებს ხშირად უხდებათ ზესტაფონში სიარული, მაგრამ იმდენად ძნელი და გასაჭირია მიმოსვლა უგზოობის გამო, რომ სჯობს 20 ვერსი გაიარო კარგ გზაზე, ვინემ ზესტაფონში ჩახვიდე. გზა, რომელიც გამოდის ზესტაფონიდან. ძველად თბილისამდე მიდიოდა. ეხლა ამ გზით სარგებლობს სამი თემი: კიცხის, კლდეეთის და შორაპნის. ეს თემები ვალდებულნი არიან იზრუნონ ამ გზის გაკეთებისთვის, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ.

კიცხის თემს გაკეთებული აქვს თავის ხვედრი, მხოლოდ შორაპნის და კლდეეთის თემები არ იწუხებენ თავს. აქაურ გლეხობას არ შეუძლია გაიტანოს ურემი, თუ ერთ დღის იწვიმა; ზამთარში ხომ შეუძლებელია ამ გზით სარგებლობა. იმდენად გაჭირდა უგზოობით საქმე, რომ კიცხის თემალმასკომის ახალი თავმჯდომარე აპირებს ახალი გზის გაყვანას მდ. შორიმელას პირზე, რომლითაც აცილდება ამ ჯოჯოხეთურ გზას კიცხის თემი. ეს ორი თემი და რამოდენიმე სოფელი კიცხის თემისაც დარჩებიან ამ გაუვალ გზაზე. კარგი იქნება კლდეეთის და შორაპნის თემალმასკომები მიაქცევდენ ყურადღებას ამას და ამით დაიხსნიდეს უგზოობით გაჭირვებულ გლეხობას.

ხონელი.

სოფლის ქრონიკა

— **სოფ. გვერდის** უბანში (სურამის თემი) გაყვანილ იქნა ახალი საურმე გზა.

— **ხიდი.** სამტრედიაში მდ. რიონზე აგებენ ხიდს.

— **აბრეშუმის პარკს** სამტრედიის რაიონში კარგი პირი უჩანს.

— **სამტრედიაში მოეწყო** უმუშევარ მკერავალთა კოლექტივი.

— **შემოქმედის** (ოზურგეთის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გაერთიანებულ გამგეობაში გლეხებმა აირჩიეს ამხ. ი. მგელაძე, ა. ჩხატარაიშვილი და ბარამიძე.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი კედლის გაზეთები

ამჟამად მხოლოდ თბილისში გამოდის ორასამდე კედლის გაზეთი. ქალაქში თითქმის არ არის ისეთი წამოწყება-დაწესებულება და ორგანიზაცია, სადაც არ გამოდიოდეს თვეში ერთხელ მაინც კედლის გაზეთი. კედგაზეთები გამოდის ადგილკომების კულტკომისიების და რედკოლეგიათა ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით. კედგაზეთების მასალათა უმრავლესობა ხელით გადაწერილია ვინმე უანგარო პროფმუშაკის მიერ, რომელსაც ამ დიდ შრომისათვის არავითარი გასამრჯელო არ ეძლევა; უსასყიდლოდ მუშაობს რედკოლეგიაც. აქ თითქმის ყველაფერი მუქთადაა, ქაღალდის და მელნის გარდა, რომლის საფასურს იღებს თვით ადგილობრივი პროფუჯრედი.

დასტამბული ან შაპიროგრაფზე გადაღებული გაზეთები იშვიათია. ეს ყველაფერი მოწმობს იმას, თუ რა ჯოჯოხეთურ პირობებში იქმნება და გამოდის ჩვენი კედლის გაზეთები. მათ არ მოეპოვებათ არავითარი სალსარი თავის არსებობისა და არა აქვთ სათანადო ხელმძღვანელობა (მეტი რომ არა ვსთქვათ) ჩვენი უმაღლეს პროფორგანოთაგან სამწუხაროდ, ჩვენ კედგაზეთებს ნაკლები ყურადღება ექცევა ჩვენი ცენტრალური და მუშათა გაზეთების რედაქციებისგანაც. ამიტომ ცხადია, რომ ჩვენი „კედლები“ ხშირად არ ვარგან როგორც შინაარსის მხრით, ისე გარეგნობით.

ჩვენი „კედლების“ „სახე“ ხშირად უშნოულაზათოა; არ არის სრულებით (ან და თუ არის ყოვლგვარ გემოვნებას მოკლებული) ილიუსტრაცია; იწერება უხარმაზარი წერილებით და ლექსები ყველა თემებზე. ამხ. კედკორებს და რედკოლეგიებს ხშირად ავიწყდებათ თავისი ფაბრიკა-ქარხნის, ან დაწესებულების და იქ მომუშავეთა ყოფა-ცხოვრება, მათი მუშაობის ნაკლი და მიღწევები და სხვა. მუშისათვის ახლობელი საჭირბოროტო საკითხები.

მიუხედავად ყველა ამ დიდ დეფექტებისა, აქა გვაქვს დიდი მიღწევები: „კედლების“ რიცხვი იზრდება ყოველთვიურად; მათზე თანამშრომლობს „კედლკორების“ და რედკოლეგიების სახით თითქმის 80% ჩვენი მუშებისა, რაც წარმოადგენს ჩვენი მუშკორების უშრეტელ წყაროს და გამოულეველ რეზერვს. „კედლები“ ემსახურებიან გულწრფელად ჩვენი წარმოების აღდგენის საქმეს; მტკიცედ იცავენ ჩვენი მუშების ადგილობრივ ინტერესებს; ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას; ამათრახებენ შრომის ზარმაცს, ბიუროკრატს, ახალისებენ შრომის ერთგულებს და სხ.

ამიტომ მათ აქვთ უდიდესი მნიშვნელობა და როგორც ასეთებს, მათ უნდა გაუწიონ ჩვენი გაზეთების რედაქციებმა სათანადო ხელმძღვანელობა რედკოლეგიის წევრთა და მუშკორებთან ერთად „კედლკორების“ ხშირად თათბირების მოწყობით; და მათთვის სათანადო სარედაქციო და საგაზეთო ტეხნიკის საკითხებზე რჩევა-დარიგების და დირექტივების მიცემით და თუ შესაძლებელია მათთვის მატერიალური დახმარების გაწევითაც და სხ.

მუშკორთა ბიუროებმა და ჩვენი გაზეთების „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებებმა უნდა მოაგვარონ ეს საკითხი ერთი მთლიანი სამუშაო გეგმით და ხაზით და ამ მიმართულებით ენერგიული პრაქტიკული მუშაობის გაჩაღებით.

მანი.

მექოლოფეები

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“-ს მუშა ხელის რაოდენობა ასეთია: საერთოდ ითვლება 291 მუშა-მოსამსახურე; აქედან—141 ქალია, 14 მამა-კაცი, 21 მოზარდი და 14 მოსამსახურე.

თვეში, საშუალო ხელფასი მუშების უდრის 40 მან. ხელფასი იცემა თანახმად დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებისა დაუგვიანებლად.

ქარხანა ნედლი მასალით რამოდენიმე თვით უზრუნველყოფილია. 1 ივნისისათვის ნედლი მასალა ქარხნის საწყობში ჰარაგად იყო: 4.837 ფუთი კარდონი, 4.063 ფ. ქაღალდი, 550 ფ. წებო და აგრეთვე სხვა დამხმარე მასალა.

ქარხნის ადმინისტრაცია და აგრეთვე თამბაქოს ტრესტის ნედლი მასალის მომარაგებას დიდ ყურადღებას აქცევენ და მით ქარხანა ყოველთვის უზრუნველყოფილია.

ა.

ხეზე მომუშავეთა კავშირის მუშათა კლუბი

კავშირის კლუბს, რევიზიის დროს აღმოაჩნდა შემდეგი დეფექტები: კლუბის გამგეს აულია 12 მანეთი შემოკლებული ტეხნიკური მდივნის მოვალეობის ასრულების გამო, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული; თვით მუშებზე ირიცხება კრედიტად აღებული ბილეთების ფული 9 მან. 40 კაპ. მუსიკალური ინსტრუმენტები და კლუბის სხვა ქონება მოთავსებული ნესტიან ოთახში, სდაც იგი ფუჭდება.

ცენტრალურ გამგეობის დადგენილებით კლუბის გამგეს მიეცა წინადადება ზემოაღნიშნული დავალიანების დასაფარავად; კლუბის ქონების დასაცავად კი კლუბის ხარჯთ-აღრიცხვიდან გაღებული იქნება სათანადო თანხა.

რაც შეეხება საკლუბო მუშაობას ზაფხულის პერიოდში, გამგეობა შეუდგა იმ წევრთა რაოდენობის გამოკვლევას, რომლებიც სიშორის გამო ახალ კლუბში ვერ შესძლებენ სიარულს. ასეთ წევრთათვის ხელშეკრულება დაიდება ცენტრალურ მუშათა კლუბთან, რომლისგან გამოწვეული ხარჯები შეტანილ იქნება კულტგანყოფილების ხარჯთ-აღრიცხვაში.

მუშკორი ნინა.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ
(გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას)

— **ხულიგნობისათვის ხუთასი კაცი დავაპატიმრეთ.** თქვენი გაზეთის ამ 22/V მე-111 ნომერში სათაურით: „ალაგმეთ ეს ავარები“ მოთავსებულ წერილის შესახებ, ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ მათ მიერ მიღებულია სასტიკი ზომები დეფექტის აღმოსაფხვრელად. ჯერჯერობით 570 კაცამდე არის დაპატიმრებული ხულიგნობისათვის.

— **მიღებულია ზომები** თქვენი გაზეთის ამ 27/V მე-113 ნომერში სათაურით: „წვრილფეხა სპეკულიანტებიც უნდა მოისპოს“ მოთავსებულ წერილის შესახებ. ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ გაზეთის წერილში აღნიშნულ შემთხვევის შესახებ ჩვენ მიერ მიღებული იყო შესატყვისი ზომები და მიღებულია ამჟამადაც ზომები ბაზარში არსებულ შინამრეწველ ხელოსანთა ადგილკომის დახმარებით. ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში, რომელიც აღმოჩენილი იქნება გვეცნობება დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

ადმინისტრატ. ნაწილის გამგე ბუხნიკაშვილი.

— **მივეცით პასუხისგებაში.** თქვენი გაზეთის ამ 5/VI მე-126 ნომერში სათაურით: „მოგვაშორეთ ეს თავხედი დედაკაცები“ მოთავსებულ წერილის შესახებ, ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ ამ საქმეზე მოხდენილი გამოკვლევა გადაეგზავნა მე-5-ე უბნის სახალხო სასამართლოს განსახილველად.

— **სისუფთავე აღვადგინეთ, სხვა უწესობასაც ვაგვარებთ.** თქვენი გაზეთის მე-115 ნომერში სათაურით: „გაჭუჭყიანებული კარმიდამო“ მოთავსებულ წერილის შესახებ [illegible] სანექიმომ გვაცნობა, რომ ამჟამად, როგორც ეზოში ისე სარდაფში სრული სისუფთავეა, რაც შეეხება წყალსადენის ონკანს, რომლიდან წყალი მოეწვეთავს,—დაევალა მდგმურებს ონკანის შეკეთება, რადგან მისი გაკეთება ეკუთვნის წერილმან რემონტს.

— **დეფექტი აღმოფხვრილია.** თქვენი გაზეთის ამ 25/V მე-116 ნომერში სათაურით: „საჭიროა სისუფთავე“ მოთავსებულ წერილის შესახებ, ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ წერილში აღნიშნული დეფექტი აღმოფხვრილია.

ადმნ. ნაწილის გამგ. ბუხნიკაშვილი.

— **ბოროტ-ჩარჩების წინააღმდეგ მიღებულია ზომები.** თქვენი გაზეთის ამ 23/V მე-115 ნომერში სათაურით: „ალაგმეთ ავარა მეჩექმეები“ მოთავსებულ წერილის შესახებ. ალმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ აღნიშნული დალახანიანცის გამოსასწორებლად მათ მიერ მიღებულია ზომები.

მუშათა ქრონიკა

— **შრომის გმირი.** მემანქანე ზაქარია ქიტაიშვილი 37 წელიწადია მსახურობს ადგილობრივ დეპოში. ხაშურის საუბნო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. საგზაო კომიტეტის წინაშე, მემანქანე ქიტაიშვილს ეწოდოს შრომის გმირი.

— **აგარაკებზე.** სამტრედიის საუბნო დამზღვევ სალარომ მუშების ერთი ნაწილი უკვე გაგზავნა აგარაკებზე.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** სამტრედიის უბნის რკინის გზის ბირჟა ამჟამად აწარმოებს უმუშევართა აღრიცხვას.

— **ახალი გამგე.** ხაშურის რკინის გზის კლუბის გამგედ საუბნო კომიტეტმა გამოჰყო ამხ. ა. კაპანაძე.

— **საექიმო დახმარება უმჯობესდება.** ბათომის საუბნო კომიტეტმა დაავალა დამზღვევ სალაროს გააუმჯობესოს საექიმო დახმარების საქმე ხაზზე მომუშავეთათვის.

— **კულტმუშაობა.** ბათომის საუბნო პროფკავშირმა დაავალა ადგილკომებს გააძლიერონ საზაფხულო კულტმუშაობა ექსკურსიების მოწყობით.

შინამრეწველთა საფეიქრო ქარხანაში

— **ადგილკომის გადარჩევა.** შინამრეწველთა საფეიქრო ქარხანაში მოხდა ქარხკომის გადარჩევა. თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. გაბაშვილი.

— **კულტკომისიის არჩევა.** შინამრეწველთა ქარხკომმა კულტკომისიაში აირჩია ამხ. დევდარიანი და გურგენიძე.

მებამბეობა

საქართველოს მებამბეობის კომიტეტს ქუთაისში აქვს ბამბის საწმენდი ქარხანა, რომელიც დღეში 1.000 ფუთამდე ბამბას სწმენდს.

ბამბის შარშანდელი მოსავლის დამუშავებას ქარხანა მოუნდა ორი თვე, დანარჩენი დროის განმავლობაში ქარხანა უქმად იყო. მიმდინარე წელსაც ქარხნას ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა მოელის.

მიზეზი ამ მოვლენის ის, არის რომ გლეხობა, რომელიც დიდი ხალისით ეტანება ბამბის თესვას, ნაკლები ხალისით აძლევს ბამბის მოსავალს მებამბეობის კომიტეტის ქარხანას.

საჭიროა ღონისძიების მიღება, რომ ბამბის მოსავალი არ უვარდებოდეს კერძო პირებს და მთელი მოსავლის შესყიდვა სახელმწიფო ორგანოებმა ჩაიგდონ ხელში.

ამისათვის აუცილებელია ბამბის საწმენდ ქარხანასთან გაიხსნას ბამბის ფაბრიკატის დამამზადებელი ფაბრიკა, რომელიც იკისრებს ფასების მოწესრიგებას ბამბის ფაბრიკატზე და თვით ნედლ ბამბაზე. ამჟამად ამ როლს ასრულებენ ბამბის კერძო ფაბრიკები.

მიმდინარე სეზონისათვის საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა შესძლო ხელშეკრულების დადება მებამბე გლეხებთან მხოლოდ 1.125 დესეტინის დათესვის შესახებ. ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ ისეთ გლეხებთან, რომლებიც ავანსებს საჭიროებდენ; მებამბე გლეხების ორმა მესამედმა კი უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე იმ მოსაზრებით, რომ კერძო ბაზარზე უფრო მეტ ფასებში მოახერხებენ ნედლი ბამბის გასაღებას.

თუ ამ თავითვე სათანადო ზომები არ იქნება მიღებული, ქუთაისის ბამბის საწმენდ ქარხანას შარშანდელივით მოელის რამოდენიმე თვის განმავლობაში უქმად დგომა.

პროფკავშირებში
საჭირო განმარტება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაუგზავნა ცირკულიარული განმარტებები იმის შესახებ, რომ პროფორგანიზაციებს უფლება აქვთ ჩაატარონ კამპანიები მუშა-მოსამსახურეთა შორის უმუშევართა ფონდისა და საურთიერთო დამხმარე სალაროების ანარიცხების დაწესებულ რაოდენობაზე მეტის აღების შესახებ.

აღნიშნული განმარტება ამბობს შემდეგს: მიუხედავად პროფკავშირთა სრ. საქართველოს მე-5-ე ყრილობის დადგენილებისა, იმაზე, რომ საკავშირო ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ ჩაატარონ კამპანიები მუშა-მოსამსახურეებს შორის უმუშევართა ფონდისა და საურთიერთო დამხმარე სალაროების ანარიცხების უკვე დაწესებულ რაოდენობაზე მეტის აღების შესახებ— ზოგიერთ საკავშირო პროფორგანიზაციები, საქართველოს [illegible] ატარებენ კამპანიებს და იღებენ მუშა-მოსამსახურეებიდან უმუშევართა და სხვ. ფონდების გასაძლიერებლად დაწესებულ ანარიცხზე მეტს.

ამას გარდა მათ შორის ატარებენ კამპანიებს დასასვენებელი სახლების და სხვ. ფონდის გასაძლიერებლად შემოწირულების ღებების შესახებ.

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილება მიგვითითებს, რა რომ ყოვლად დაუშვებელ მოვლენაზე, წინადადებას გაძლევთ არავითარი კამპანია არ ჩაატაროთ უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად დაწესებულ ანარიცხებზე მეტის აღების, საურთიერთო დამხმარე სალაროში ფონდის გასაძლიერებლად ფულის აღების დაწესებულ ანარიცხზე შეტანის, საკურორტო და სხვ.

თუ ამნაირი კამპანიების ჩატარებას მოინდომებთ, საკითხი წინასწარ უნდა შეათანხმოთ საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებასთან.

პროფმუშაობის ქრონიკა

მთა-მადნის მუშაკთა კავშირში

— **ახალგაზრდათა კონფერენცია.** 16 ივნისს, ქ. ჭიათურაში მოწვეულ იქნა საქ. სამთა-მადნო ახალგაზრდათა რესპუბლიკანურ მასშტაბით.

კონფერენციაზე ყოველმა 50-მა წევრმა გამოგზავნა 1 დელეგატი.

— **ეხმარებიან ინგლისის მუშებს.** კავშირის ც. გამგეობამ დაადგინა გააგრძელოს ინგლისში გაფიცულთა მაღაროს მუშათა სასარგებლოდ კამპანიის ჩატარება ყველა უბნებში, რაც აცნობა ყველა ადგილებს.

— **მუშების მდგომარეობის გამოკვლევა.** გამგეობის დადგენილებით ახალციხის მაზრაში მიემგზავრება ც. გ. ერთი ინსტრუქტორი მაზრაში ქვიცარცის მიწის დამუშავებაზე მომუშავე მუშათა მდგომარეობის გამოსაკვლევად.

— **მოძრავი საწარმოო სკოლა.** კავშირის ც. გამგეობამ მიანდო სპეც. კომისიას მოძრავი საწარმოო სკოლის ჭიათურაში დაარსების საკითხის დამუშავება, რომელიც გადატანილ უნდა იქნეს მეოთხე პლენუმზე.

— **კინო მუშებისათვის.** პერევისის („კარუტო“-ს) სამუშაოებზე მომუშავე მუშებისათვის კავშირმა გადასწყვიტა კინოს დადგმა, რისთვისაც მიანდო კულტგანყოფილებას ხარჯთაღრიცხვის შედგენა. კინოთი ისარგებლებს 1.400 კაცი.

— **კულტმუშაობის გამოკვლევა.** კავშირის კულტდაწესებულებათა მუშაობის გამოსაკვლევად-ც. გამგეობამ მიავლინა ამხ. თოხაძე.

— **ძირულის მუშათა კლუბი.** 28 მაისს გაიხსნა ძირულის სამთა-მადნო ქარხანა „შრომა“-ში მუშათა კლუბი.

მედსანშრომის მუშ. კავშირში

— **საექიმო დახმარება კოლექტივით.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მედიკურ მუშაკთა ცენტ. სახლთან უმუშევრებისაგან საექიმო დახმარების კოლექტივის დაარსება.

— **მუდმივი შტატი სანატ. არაზინდოში.** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა სანატ. „არაზინდო“-სათვის შერჩეულ იქნეს გამოცდილ მუშაკთა მუდმივი შტატი, რომლებიც მოისურვებენ იქ ზამთარ-ზაფხულ მუშაობას.

სახ. უნივერსიტეტში

რექტორისა და გამგეობის დამტკიცება

საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაამტკიცა ამხ. თედო ღლონტი.

უნივერსიტეტის გამგეობის წევრებათ დამტკიცებული არიან შემდეგი პირები: დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, პროფ. შალვა ნუცუბიძე, პროფ. გ. მუხაძე, ისიდორე თალაკვაძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, პროფ. ალექსანდრე რაზმაძე, პროფ. კორნელი კეკელიძე, ი. ყიფშიძე, კოწია სულაქველიძე.

კანდიდატებათ დამტკიცებული არიან: კ. ყიფშიძე, გ. ცხაკაია და ი. მონიავა.

პროვინციის ბაზარი

ჭიათურა

მუშაობის დროებით შეჩერებამ გავლენა მოახდინა ვაჭრობაზე და იგი შემცირდა. ფასები უცვლელი დარჩა.

წარმატებით მიმდინარეობს ალმშენებლობითი მუშაობა, რის გამო დიდია მოთხოვნილება საალმშენებლო მასალებზე, განსაკუთრებით ცემენტზე. სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებმა მიიღეს საპნისა და სხვადასხვაგვარი ფართლეულობის დიდი პარტია.

ფოთში

კერძო ვაჭრობა თანდათან მცირდება, სახელმწიფო და კოოპერატიული-კი ძლიერდება. სიმინდზე ფასების გადიდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რამოდენიმე ხნის წინედ, შეწყდა. წინაადებურად დიდი ნაკლებობაა სასეზონო საქონელზე. ნავთსადგურში მარგანეცის გასატანად გაცხოველებული მუშაობაა. აღსანიშნავია ბაზრის სუსტად მომარაგება საალმშენებლო საქონლით.

ხაშურში

ადგილობრივმა კოოპერაციამ თითქმის 70 პროცენტით დაიპყრო ბაზარი, რადგან როგორც კოოპერატივში, ისე ალმასკომის მაღაზიაში სამრეწველო საქონელს უფრო იაფად ჰყიდიან ვიდრე ვაჭრები.

ბაზარზე მსხვილფეხა რქიან საქონელს დიდის რაოდენობით მორეკებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა ფასები ხორცზე 10 პროცენტით გაიზარდა.

შაუმიანში

ბაზარზე მსხვილფეხა რქიან საქონელს დიდის საქონელს მცირე რაოდენობით ერეკებიან მთაზარად გასვლის გამო. ამითივე შეიძლება აიხსნას რძის ნაწარმოების გაძვირება გასულ წელთან შედარებით 1½-ჯერ. ცოტა შემოდის ბაზარზე ხორბლეულიც.

სას.-სამ. ბანკში

კრედიტები მე-4 მეოთხედისათვის

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოს და აფხაზეთის ბანკებს გაუხსნა კრედიტები შემდეგ საჭიროებისათვის:

საქართველოს ბანკს: მეთამბაქოობისათვის—180.000 მანეთი, მევენახეობისათვის—133.400 მან და მატყლის დამზადებისათვის—84.000 მან. სულ—397.400 მანეთის რაოდენობით.

აფხაზეთის ბანკს. მეთამბაქოობისათვის—85.000 მან., დასამუშავებელ საშუალებათა გაძლიერებისათვის—17.000 მან., სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის—20.000 მან. და ხილისა და ბოსტნეულის დამუშავებისათვის—32.000 მანეთი. სულ—154.000 მანეთის რაოდენობით.

გამოკვლევა

მესაქონლეობის ბიუროს ხელმძღვანელობით ამჟამად გაძლიერებული ტემპით სწარმოებს მესაქონლეობის გამოკვლევა მთელ რესპუბლიკაში.

გამოკვლევა უმთავრესად მიმდინარეობს მესაქონლეობის სხვადასხვა რაიონებში. გამოკვლევას აწარმოებს მკვლევართა სამი პარტია.

პირველ რიგში დასავლეთ საქართველოდან გამოკვლევა დაიწყო სვანეთში, რადგან კლიმატიურ პირობების გამო იქ მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულობით. სულ სვანეთში ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია 18.000 სული საქონელი.

გამოფენაზე

127 ექსკურსანტი

გუშინ გამოფენის დასათვალიერებლად თბილისში ჩამოვიდა 32 გლეხი თელავიდან, 50 სიღნაღიდან და 45 ბორჩალოდან.

მანქანების გამოცდა

მანქანების გამოცდა გამოფენაზე დაიწყება ივლისის პირველ რიცხვებში; გამოცდაზე მოელიან პროფ. სოკოლოვს და სლადკოვს.

კ. ჩხენკელის ლექცია

გუშინ გლეხთა საერთო ბინაში ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ კ. ჩხენკელმა ლექცია წაიკითხა გამოფენის მნიშვნელობის შესახებ.

ექსკურსიების მიღების ვადა

აზერბეიჯანელ გლეხების ექსკურსიების მიღება გამოფენაზე გაგრძელდება მიმდინარე წლის 5 ივლისამდე.

მანქანების დემონსტრაცია

კვირას გამოფენაზე გაიმართება სხვადასხვა ფირმების იარაღ-მანქანების დემონსტრაცია, ექსკურსანტებს ახსნა-განმარტებას მისცემენ სპეციალისტები.

ექსკურსანტები

გამოფენას ყოველდღე მრავალი ხალხი ათვალიერებს; განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია მოწაფეთა ექსკურსიები.

რკინისგზელთა ექსკურსია

ახლო ხანში დაიწყება რკინისგზელთა მასიური ექსკურსიები გამოფენაზე; განზრახულია გამოფენაზე გატარებული იქნეს 3.000 მუშა-მოსამსახურე.

ტყის მოშენება

თბ. ალმასკომის სატყეო სექციამ თბილისის გარშემო ტყის გაშენების მიზნით, სუჟუნის ხევში გაიყვანა არხი 22.000 საჟენის მანძილზე. ამ არხის გაყვანის შემდეგ დაირგო მუხის ხის ნერგები, რომლებიც განსაკუთრებით ხარობენ თბილისის მიდამოებში. სუჟუნის ხევის რაიონის დაქანებული ფერდობები, საჰელდობრ მახათის გორიდან ნაძალადევამდე, ამჟამად ამწვანებულია მუხის ხის ნერგებით. მომავალში ეს ადგილები დაიფარება ხშირი მუხის ტყით.

ამავე დროს მთაწმინდაზე ჰორიზონტალურ არხებში ჩაირგა ცხრა ათასი ცალი ელდარის ფიჭვის ნერგები.

მეტეოროლოგიური ქსელი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიური ქსელის მოწყობის გეგმა.

განზრახულია გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის განყოფილება, რომელიც სისტემატიურად შეკრებს ცნობებს მეტეოროლოგიურ მოვლენების შესახებ.

ზოგან მეტეოროლოგიური პუნქტები უკვე მოწყობილია, მაგრამ მათის საშუალებით ძნელია საერთო სურათის მიღება, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე განსხვავდება სხვა ადგილებიდან, ტოპოგრაფიით, ფაუნით და სხ.

ახალი ქარხნები

ოზურგეთის ალმასკომმა დაადგინა ააგოს ადგილობრივ ორი ახალი ქარხანა: ერთი ფანერის და მეორე ხე-ტყის სახერხი.

ქარხნების გახსნა ბოლოს მოუღებს ადგილობრივ უმუშევრობას და მეორეს მხრივ მაზრას შემოემატება შემოსავლიანი წყარო. ფანერის მასალაზე დიდი მოთხოვნილებაა მთელ საქართველოში და ალმასკომის ქარხანაც მუდამ დატვირთული იქნება.

სახერხი ქარხანაც სრულიად იქნება დატვირთული, რადგან გურიიდან დიდძალი ხე-ტყე გადის ბაზარზე.

აღნიშნული ქარხნების მოსაწყობად ალმასკომი ახლო ხანში შეუდგება ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას და შემდეგ დაიწყებს მუშაობას.

ვარაუდით ქარხნები ამუშავდებიან შემოდგომიდან.

სამეცნიერო კურსი

დღეს აჭარისტანში მიემგზავრება სამეცნიერო ექსკურსია, რომელიც მოაწყო აღმოსავლეთის მცოდნეობის ა.-კ. სამეცნიერო ასოციაციამ.

ექსკურსიაში შედიან ამხ. ჩურსინი, როგდაევი და ხუბუა.

ექსკურსია ერთი თვე გაგრძელდება. მისი მიზანია აჭარისტანის ეთნოგრაფიულად გამოკვლევა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა.

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატმა მოაწყო განსაკუთრებული კომისია, რომელიც ექსკურსიასთან ერთად იმუშავებს.

რკინისგზებზე

სახარჯთ-აღრიცხვო კომისიის გამგზავრება

ა.-კ. რკინის გზების სამმართველოსთან არსებული სახარჯთ-აღრიცხვო კომისია გზათა მმართველობის წევრების ამხ. **ტერ-მიქაელიანის**, **ბერიძის** და სათანადო ტეხნიკურ განყოფილებათა წარმომადგენლების შემადგენლობით დღეს მიემგზავრება მოსკოვში.

კომისიის გამგზავრების მიზნების შესახებ ამხ. **ტერ-მიქაელიანმა** ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

პირველ ივლისისათვის მოსკოვში გზათა მიმოსვლის კომისარიატში განხილული იქნება საბჭოთა კავშირის ცალკე გზების 1926—27 წლისათვის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

სწორედ ამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება მოსკოვს ამიერ-კავკასიის გზების კომისია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვა გამოანგარიშებულია 66 მილიონ მანეთის ფარგლებში, ხოლო ახალ, ალმშენებლობითი სამუშაოებისა დაახლოებით 15 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია შემდეგი ახალი სამუშაოები: მეორე ლიანდაგების დაგება, ძველი ლიანდაგების შეცვლა ახალი, უფრო მძიმე ტიპის ლიანდაგებით, მთავარი სადგურების (თბილისი, განჯა, ხაშური) გაფართოება, დიდ ორთქმავლებისათვის საყუდების მოწყობა, საბინაო ალმშენებლობის გაფართოება მთავარ სახელოსნოებისთვის ახალი შენობის აგება და სხვ.

ხიდების დაცვა ხანძრისაგან

ა.-კ. რკინის გზების მმართველობამ გამოსცა ბრძანება ხიდების დაცვის შესახებ ხანძრისაგან. ბრძანებაში მოყვანილია ინსტრუქცია, რომელთაც უნდა იხელმძღვანელონ გზის აგენტებმა აღნიშნულ ბრძანების ცხოვრებაში გატარების დროს.

მუშფაკელების განთავისუფლება

ა.-კ. რკინის გზების მმართველობამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად რკინისგზელი მუშფაკელები გამოცდების ჩაბარების განმავლობაში მუშაობიდან თავისუფლდებიან.

მატარებლის დამტვრევა

22 ივნისს ბაქოს მეორე სადგურის განმანაწილებელ პარკში დღის 11 საათზე აწარმოებდენ მატარებლის მანევრებს. ორთქმავლის ოდნავი დაჯახების გამო ნავთ-სადგურის მიმართულებით გაექანა 3 დახურული ცარიელი კასრებით სავსე ვაგონი. ისინი დაეტაკენ სხვა ვაგონებს, რომლებიც დააზიანეს.

დაკავებულ ხაზზე

სადგ. ნავაგში (აზერბეიჯანის ხაზზეა) 23 ივნისს ღამის 12 საათზე და 37 წუთზე სახალხო მატ. № 3 მიღებულ იქნა მატ. № 661-თ დაკავებულ მე-3 ხაზზე. სახალხო მატარებელი გაჩერებულ იქნა 12 საჟენზე მეორე მატარებლიდან.

უბედურ შემთხვევას, ლიანდაგის და მატარებლის დაზიანებას ადგილი არ ჰქონია.

რკინის გზის შტო ქ. ზუგდიდამდე

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო ტეხნიკური კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სად. ზუგდიდის ქალაქ ზუგდიდამდე რკინისგზის შტოს გაყვანის საკითხი.

ცაკში

ადგილობრივი ფინანსების შესახებ

საქართველოს ცაკმა განიხილა სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენილი პროექტი დებულებისა ადგილობრივი ფინანსების შესახებ, მოიწონა იგი და განსახილველად გადასცა ამიერ კავკასიის ცაკს.

სპეციალური ფონდი

ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი დადგენილებისა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო-საცდელ და სამეცნიერო-საჩვენებელ დაწესებულებებთან სპეციალური ფულადი ფონდის დაარსების შესახებ.

დანიშვნა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრი ამხ. **აშოტ გალუსტიანი** დაინიშნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს წევრად, ამხ. **მიხეილ დავითის ძე ორჯონიკიძე** კი დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრად.

ტეხნიკური კომისია

საქართველოს ცაკმა გამოჰყო ტეხნიკური კომისია, რომელმაც უნდა დაამუშავოს საკითხი რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ სად. ზუგდიდიდან ქალ. ზუგდიდამდე; კომისიაში შედიან: ამხ. **თოდრია** (თავმჯდომარე), ინჟ. **ჯორჯაძე** და **იაზშიცა ხელთუფლიშვილი**, შინაგან საქმეთა სახლხო კომისარი **მათიკაშვილი** და **ჟვანია**.

დავის გადასაწყვეტად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა, სოფ. გოკოს გლეხების საჩივარის თანახმად, გამოჰყო კომისია პრეზიდიუმის წევრის ამხ. **ბურძენაძის** თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა სასწრაფოდ გაემგზავროს ახალქალაქის მაზრის სოფ. გოკიოში და ადგილობრივ გამოარკვიოს საადგილ-მამულო დავა.

დამსახურებული მასწავლებლები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სია დამსახურებულ მასწავლებლებისა, რომლებსაც დაენიშნათ პენსია.

ელსადგურები

საქართველოში ეწყობა შემდეგი დიდძალოვანი ელსადგურები: **ზაჰესი**—36.000 ცხენის ძალიანი, ამუშავებული იქნება ამა წელს ოქტომბერში.

აჭარის-წყალის იქნება 50.000 ცხენის ძალიანი, დამთავრდება 1928 წელს.

ქუთაისის ელსადგურის ენერგია იქნება 42.000 ცხენის ძალიანი, მისი აგება დაიწყება 1927-28 წლებში.

სასამართლო

სუსლინის, ტარსაისა და მასხულიას საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით დაიწყო მიხეილ **სუსლინის**, გიორგი **ტარსეის** და მიხეილ **მასხულიას** საქმე, რომლის შინაარსი უკვე იყო მოყვანილი ჩვენს გაზეთში.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა საბრალმდებლო დასკვნა.

გამოწვეულია 16 მოწმე და ექსპერტები.

სასამართლოს პროცესი გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

კ. კუციდის საქმე

სასამართლოს შემდეგი სხდომა გამფლანგველ კუციდის საქმეზე შესდგება დღეს, 25 ივნისს.

ორჯონიკიძის და სხვათა საქმე

26 ივნისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ზაქარია **ორჯონიკიძის**, თადეოზ **ქამალოვის** და გასპარ **იაროვის** საქმე.

ორჯონიკიძეს ბრალდება 2.221 მან. მითვისება და გაფლანგვა შინაგან საქმეთა კომისარიატში ექსპედიტორად ყოფნის დროს.

ქამალოვს და იაროვს ბრალდებათ ზ. ორჯონიკიძის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

დ. შელიას საქმე უზენაეს სასამართლოში

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ლიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ყოფილ გამგეს დიმიტრი **შელიას** მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით და 5 წლით უფლებების შეზღუდვით.

შელიას და სხვებს ბრალდებოდათ 28.000 მან. გაფლანგვა.

სასამართლოს გამოძიებით გამოირკვა, რომ შელიას და სხვებს გაუფლანგავს 12160 მანეთი.

ბრალდებული ბერიშვილი, გაბისონია, ცაგურია და სხვ. სასამართლომ ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაამართლა.

დასავლეთ საქართველოს პროკურორმა **გაბუნიამ** საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

პროკურორს მსჯავრდადებული შელია მიაჩნია სოციალურად მავნე ელემენტათ, რომელიც ძირს უთხრის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიურ აღორძინებას და მოითხოვს მის დახვრეტას.

პროკურორი მოითხოვს აგრეთვე ბერიშვილის, გაბისონიას და ცაგურიას პასუხისგებაში მიცემას.

საქმე 26 ივნისს, გაირჩევა უზენაეს სასამართლოში.

გაფლანგვა და უფლების გადამეტება

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით დაიწყო ალექსანდრე **ვაშაკიძის** საქმის გარჩევა.

1924 წ. 9 ივლისს, დაარსებულ იქნა თბილისის ალმასკომთან შემოსავალ-გასავლის სალარო რომლის ფუნქციებში შედიოდა ალმასკომის შემოსავლის მიღება და შემოსული ფულის ჩარიცხვა სათანადო თანხებში.

ბრალდებული ვაშაკიძე თბილისის შემოსავალ-გასავლის სალაროს გამგეთ ირიცხებოდა 1924 წ. 9 ივლისიდან 1924 წლის 15 ნოემბრამდე.

1924 წლის ნოემბერში მოხდა აღნიშნული უწყების რევიზია, რევიზიამ აღმოაჩინა 4.695 მან. დანაკლისი.

ვაშაკიძეს ბრალი ედება აგრეთვე უფლების გადამეტებაში, თანამშრომლებზე ჯამაგირების მომატების სახით გაუცია 1000 მანეთამდე.

გარდა ამისა ბრალდებულს სალაროს საჭიროებისათვის დაუხარჯავს 495 მან. და 79 კაპ., რისი უფლება მას არ ჰქონდა.

ბრალს სდებს პროკურორი კუპრაშვილი, ბრალდებულს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: მესხიშვილი და ღვამიჩავა.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

ქრონიკა

გზატკეცილები

ამჟამად გზატკეცილების სამმართველოს გამგებლობაში არსებული საკავშირო მნიშვნელობის გზატკეცილების სიგრძე აღემატება 1.116 ვერსს.

მუშფაკელების გამოფენა

დღეს მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშათა ფაკულტეტების სტუდენტების გამოშვება..

თბ. ალმასკომში

— **წერა-კითხვის უცოდინარი.** თბილისის მაზრაში ამჟამად წ.-კ. უცოდინარია 38.000 კაცი.

— **განათლება.** თბ. მაზრაში დღემდე მოეწყო 5 ბიბლიოთეკა, 36 ქოხ-სამკითხველო, 40 წითელი კუთხე.

— **კინო.** პოლიტგანათლების განყოფილებამ შეიძინა კინო აპარატი დინამოთი მაზრაში მოძრავი კინოს მოსაწყობათ.

— **უმუშევრობასთან საბრძოლველად** მიმდინარე წელში, ალმასკომის მიერ გადადებულია 40.000 მან.

— **სავაჭროები.** თბილისსა და მის მაზრაში სულ ირიცხება 4717 სავაჭრო, აქედან კოოპერატიული და სახელმწიფო—570, 3607 კი კერძო სავაჭრო.

სხვადასხვა

— **განათლების მუშაკთა სახლში.** პარასკევს, 25 ივნისს, დღის 1 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია მოსკოვში მიმავალ ექსკურსანტების სხდომა, საღამოს 7 საათზე—ჩატახში მიმავალ ექსკურსანტების სხდომა.

შემთხვევები

„საგანგებო კომისიის აგენტები"

22 ივნისს, უცნობ ბოროტმოქმედთა მიერ საგანგებო კომისიის სახელით გაჩხრეკილი იქნა ბარბარე მიხაილოვას ბინა (დუშეთის ქ., № 16), ამ ვაჟბატონებმა ბინის კარგა ხანს ჩხრეკის შემდეგ, წაიღეს სხვადასხვა ძვირფასი ნივთები და 10 მან. ფულად.

დაზარალებულს ეჭვი შეეპარა „აგენტების" მოქმედებაში და იმის შესახებ აცნობა მილიციას. მიღებული ზომებით, იმავე დღეს დაპატიმრებულნი იქნენ ბიქტორ გონჩაროვი და ვიაჩესლავ ბორონოვსკი, რომლებიც გამოტყდენ დანაშაულში.

ცოლების გაქცევა

მეწაღე ალია ოსკარ იბრაგიმ-ოღლის და 54 წლის ალი მურატ-ოღლის გაექცენ 18 წლის ცოლები, რომლებმაც თან გაიყოლიეს ბავშვები და ცოტა რამ ნივთები. მიტოვებულმა ქმრებმა სისხლის სამართლის მილიციას მიმართეს განცხადებით: „გაგვექცა ცოლები, გაიტაცეს ნივთები, გთხოვთ მიიღოთ სასტიკი ზომები"-ო.

მილიციაში ისინი მოითხოვდენ გაქცეულთა სასტიკად დასჯას. ხოლო როცა ცოლები დაპატიმრებული მოიყვანეს „დაზარალებულებმა" კილო იცვალეს—არა, ქურდობას ადგილი არ ჰქონიაო,—განაცხადეს მათ და კმაყოფილი წავიდენ, როცა ცოლებმა სახლში დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადეს.

ხანძარი

— **ქალების ჩხუბი.** გუშინ ვარდისუბნის ქ. № 11 ორ მანდილოსანს მოუვიდა ჩხუბი. წაწვალეჯის დროს მათ უცაბედათ წააქციეს ნავთის სათბობი, რის გამოც იატაკს წაეკიდა ცეცხლი. მეხანძრეთა მოსვლამდე ცეცხლი ჩაქრობილ იქნა შინაური ძალებით. ზარალი უმნიშვნელოა.

— **ელექტრო-მავთულების** შეერთების გამო გუშინ საღამოს 8 საათზე რტიშჩევის ქ. № 16-ში გაჩნდა ხანძარი. გადაიწვა ელექტრო-მავთულები და სახლის სახურავის ნაწილი. ხანძარი ჩააქრო ხანძრის მქრობელმა რაზმმა.

— **ამავე მიზეზით** ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 5-ში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც საშიშ სახეს მიიღებდა, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმი მსწრაფლ არ გამოცხადებულიყო და არ ჩაექრო. ზარალი უმნიშვნელოა.

— **მილის გაუწმენდაობის** მიზეზით, სადგურის ქ. № 12 მეხანძრეთა რაზმის სამეთვალყურეო პუნქტმა შეამჩნია კვამლი. ცეცხლი გაჩენოდა საკვამლე მილს, რომელიც მსწრაფლ იქნა ჩამქრალი.

ქურდობა ახალ მუშათა კლუბში

— ამას წინეთ გაქურდეს ახალ მუშათა კლუბი საიდანაც წაიღეს დეკორაციები, ელსმენი და სხვა ნივთები.

ქურდი ბადიუკოვი ნაქურდალი ნივთების გაყიდვის დროს შეპყრობილ იქნა სისხლის სამართლის მილიციის მიერ.

ტრამვაის მოძრაობის შეჩერება

გუშინ, საღამოს 9 საათზე ტრამვაის საჰაერო ხაზის დაზიანების გამო ვერის დაღმართზე მოძრაობა შეწყდა ერთი საათით.

ამის გამო სასწრაფოთ გამოიძახეს მოხელეები ტრამვაის სახელოსნოდან და გაფუჭებულ ადგილას (ზემმელის აფთიაქთან) ხაზი შეკეთებულ იქნა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ხაზი კვლავ გაფუჭდა ვერის ხიდთან.

საღამოს 10 საათიდან ტრამვაის მოძრაობა ნორმალურათ სწარმოებდა.

— **დაჭრა.** ზემო წალკაში საძოვარ ადგილზე ჩხუბის დროს დაჭრილი იქნა პარვენ მახუკიანცი.

— **უბედური შემთხვევა.** 23 ივნისს მე-8სამილ. რაიონში მტკვარმა გაიტაცა არამა ანტონიანცი ცხენიანი ორთვალათი და დაიხრჩო. მიღებულია ზომები გვამის ორთვალას და ცხენის აღმოსაჩენად.

— **ქურდი შეგირდი.** 20 ივნის ხაზინის ქ., № 7, ალექსანდრე აბულაძის სადურგლო გაქურდა მისმა შეგირდმა ვასილ არაქელოვმა.

— **ქურდობა.** 23 ივნისს, იზმაილოვის ქ., № 9, გაქურდეს მიხეილ შენგელიას ბინა.

— ამავე დღეს გაქურდეს ოლია ჩხეიძის ბინა.

რადიო სადგური

შორსმაუწყებელი საქართველოში

თბილისის საცდელი რადიო-სადგური ყოველდღე გზავნის რადიო-გაზეთს, დღეგამოშვებით მუსიკალურ პროგრამას, მოხსენებებს, ლექციებს, ტეხნიკურ რჩევა-დარიგებას რადიოს მოყვარულთათვის და სხვა.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში მიღებულ ცნობების თანახმად, რადიო-გადაცემა კარგათ ისმის არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ასეთივე ცნობებია მიღებული სომხეთიდანაც, საიდანაც იტყობინებიან, რომ თბილისის რადიო-სადგურის გადაცემა კარგათ ისმის იქაც.

ახლო ხანში თბილისში მუშაობას დაიწყებს მძლავრი შორსმაუწყებელი სადგური (2-3 თვის შემდეგ).

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა ამ დროისათვის გააფართოვოს მიმღებ სადგურების ქსელი. კლუბებს, წითელ კუთხეებს და სხვა ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შეიძინონ რადიო-აპარატები და მოამზადონ მუშაკები მათზე სამუშაოდ.

ცენტრიდან გაგზავნილი იქნებიან ინსტრუქტორები, რომლებიც მოამზადებენ რადიო-აპარატებზე მომუშავეთ. დადებულ იქნა შეთანხმება „სევკავტორგ"-თან, რომელიც მიაწოდებს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს ყველა საჭირო რადიო—მოწყობილობას შეღავათიან ფასებში და ნისიათ 6 თვის ვადით.

კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა ტეხნიკური კონტროლი გაუწიოს ყველა იმ მიმღებ სადგურებს, რომლებიც დაიდგმებიან მომავალში.

სამუშაოები

ბათომი

მიმდინარე სეზონისათვის აჭარისტანს უმუშევართა დასახმარებლად მიეცა 15 ათასი მანეთი. ნაწილი ამ თანხისა ხმარდება შრომის კოლექტივების მოწყობას და საზოგადოებრივ მუშაობათა ჩატარებას. მიმდინარე სეზონში საზოგადო სამუშაოები ეწყობა ბათომის ჭაობების ამოსაშრობად.

უკანასკნელ დრომდე აჭარისტანში მოწყობილია 14 შრომის კოლექტივი, სადაც 300 კაცამდე მუშაობს. კოლექტივის წევრთა საშუალო ხელფასი თვეში 40 მანეთს აღწევს, 6 თვის განმავლობაში კოლექტივების ბრუნვა ავიდა 250.000 მანეთამდე კოლექტივების წარმოებებმა დასტოვეს 9 ათასი მანეთი წმინდა მოგება, ამავე წლის განმავლობაში მუშებს დაურიგდათ ხელფასის სახით 2 ათასი მანეთი. კოლექტივებში გაერთიანებულ 300 უმუშევრიდგან 254 ვაჟია, დანარჩენი ქალები.

თბილისი

თბილისში საზოგადოებრივი სამუშაოების წარმოება განაახლა ქალაქის ალმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილებამ. საზოგადოებრივ სამუშაოებზე მუშაობენ უმუშევართაგან შემდგარი არტელები. კეთილმოწყობის განყოფილების მიერ წარმოებულ საზოგადოებრივ სამუშაოებიდან აღსანიშნავია სამუშაოები ვაკეს ჭაობების ამოსაშრობად, უნივერსიტეტის ქუჩის ნაპრალების ამოსავსებად, ახალი ქუჩების გასაყვანად და სხვა.

ხელოვნება

ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორების სიმფონიური შემოქმედება

კონსერვატორიაში გამართულმა კონცერტმა რომელზედაც შესრულებულ იქნა ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებნი, საშუალება მისცა ფართე საზოგადოებას გასცნობოდა ახალგაზრდა მუსიკოსების სიმფონიურ ლიტერატურას სიმფონიური ორკესტრის შესრულებაში. ახალგაზრდა კომპოზიტორების შემოქმედება დიდ იმედს იძლევა და ამ ნიჭიერ ახალგაზრდობიდან მომავალში შეიძლება გამოჩენილი კომპოზიტორები გამოვიდნენ. შემოქმედების საერთო მიმართულება ეკლექტიურია, ე. ი. ისეთი, რომელშიაც კომპოზიტორი არ არის შებოჭილი წმინდა ნაციონალური მუსიკალური ფორმებით და თავის შემოქმედებას ახალ განსაზღვრულ კოლორიტს აძლევს. ამ შემთხვევაში წითელი ზოლით არის გავლებული მისწრაფება აღმოსავლეთისაკენ. მხოლოდ ზომიერათ ნაწარმოებში (დუეტი თაქთაქიშვილის ოპერა „განთიადიდან" და მისივე „ოროველა" და სხვ.) სჭარბობს მელოდიების წმინდა ქართული სტილი. ახალი ფორმების ძიება ემჩნევა **გოკიელს** (ფორტეპიანოს პრელიუდია), მაგრამ მხოლოდ რიტმის და ნაწილობრივ ჰარმონიის მხრივ. ამ ნაწარმოებებში მაინც სჭარბობს საინტერესო მუსიკალური შინაარსი და მელოდია. გოკიელის (ბარხუდარიანის კლასი) ნაწარმოებებიდან საინტერესოა სკრიპკის რომანსი და ვოკალური ნაწარმოებნი. საორკესტრო ნაწარმოები „ფოთლების ცვენა" ნაკლებ საინტერესოა—სჩანს ორკესტროვკის სუსტად ცოდნა. მეტად საინტერესოა **კილაძე** (ეკლექტიური პოემა და „ორიანტალი"). ქართულ სიუიტში მშვენივრად შესრულებულია პირველი და მესამე ნაწილი, მეორე „იუმორესკ" (სახუმრო) უფრო ერთფეროვანი და უშინაარსოა მუსიკალურად. განწყობილებით დაწერილია ორკესტრისთვის მისი „ელეგია".

დამთავრებულობის მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **შალვა თაქთაქიშვილს**. საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს საორკესტრო სურათი „სევდა" და სოლო ვიოლონჩელისთვის „ფიქრი" საორკესტრო აკომპანიმენტით ლამაზია მისი ოპერა-ზღაპრის „განთიადის" შესავალი და აგრეთვე რომანსი და დუეტი. ნაკლებ საინტერესოა „ოროველა".

ტუსკია მოხერხებულათ სარგებლობს საორკესტრო ფერებით (ოპერა „ლამარა" შესავალი). როგორც კილაძე, ისე ტუსკია კარგათ იცნობენ ინსტრუმენტოვკას და ორკესტროვკას—აქით განწყობილება. მაგრამ რომანსში „პერგამენტი" ტუსკიამ დაამტკიცა, რომ ის კარგათ არ იცნობს ადამიანის ხმის შესაძლებლობებს—შემჭიდროებული გაგება და მაღალი ტესიტურა (ნოტის) რომანსის დაწყებიდან გათავებამდე.

გაბაშიძე, ანდღულაძე, ვახტანგ ნეიმანი, გიორგი თაქთაქიშვილი, ვენაძე და სვანიძე კორექტულათ და განწყობილებებით ასრულებდენ თავიანთ პარტიებს.

თავის სიმაღლეზე იდგა ორკესტრიც. **პ. ბ.**

ქრონიკა

— **სახალხო კავშირის კლუბი.** (ყოფილი „ამირანი") შაბათს, 26 ივნისს მოხდება საზაფხულო კლუბის გახსნა, მოწყობილია კინო, წარმოდგენა, კონცერტი და ქართული ჟურნი. ბაღში დაუკრავს დუდუკი და ჩასაზერი ორკესტრი.

ექსკურსია

23 ივნისს შესდგა პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა 27 ივნისს განზრახულ მასიურ ექსკურსიასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

—„—

მცხეთაში მოწყობილი იქნება საზოგადოკვება. თბილისის მუშკოოპი აწყობს ბუფეტს.

—„—

თავდაპირველად განზრახული იყო ექსკურსიაში მონაწილეობა მიეღო 2.000 კაცს, მაგრამ ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი რიცხვი, ალბად, მიაღწევს 2.500 კაცს.

—„—

კვირას, 27 ივნისს, მცხეთაში გადის ორი საექსკურსიო მატარებელი; ერთი გავა დილის 7 საათზე და 55 წუთზე, მეორე—8 საათზე 55 წუთზე ადგილობრივი დროით.

—„—

დღეს საღამოს 7 საათზე, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება ექსკურსანტების საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნება ექსკურსიის ჩატარების დაწვრილებითი გეგმა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ოქრო ზღვის წყალიდან

ამერიკელმა ინჟინერმა ტრადველმა გამოიგონა მოწყობილობა ზღვის წყალიდან ოქროს მისაღებათ. ტრადველის გამოკვლევით, წყნარი ოკეანეს თითეული კუბიკური მეტრი წყალი შეიცავს 53 მილიგრამ (მილიგრამი=გრამის ერთი მეათასედი) ოქროს. ოქროს მისაღებათ ტრადველი საჭიროთ თვლის ზღვის წყალის გატარებას ულტრაფილტრში—მოწყობილობაში, რომელიც იჭერს ნივთიერების უუმცირეს ნაწილაკებს. ფილტრში რჩება თხელი ნალექი, რომელიც შეიცავს 10 გრამ ოქროსა და 18 გრამ ვერცხლს კუბიკურ მეტრზე. ოქროს მიღება ამ ნალექიდან 18 პროცენტით იაფი ჯდება, ვიდრე მთის ჯიშებიდან. იმედი აქვთ, რომ შემდეგში წარმოებას კიდევ უფრო გააიაფებენ და აგრეთვე შესძლებენ ვერცხლისა და რკინის მიღებას ზღვის წყალიდან.

ამჟამად ტრადველის პროექტის განსახორციელებლად სანტა ბარბარაში (კალიფორნია) შენდება სპეციალური ფაბრიკა.

მექანიკური სკრიპკა

ორმა ფრანგმა ინჟინერმა —**ობრიმ და ბორომ** გამოიგონეს მექანიკური სკრიპკა. სკრიპკა მოწყობილია მექანიკურ პიანინოს ტიპის მიხედვით და წარმოადგენს გამომგონებელთა 15 წ. შრომის შედეგს. გამოგონებულ აპარატის სისტემას ეწოდება „ვიოლინისტა" და იძლევა წმინდა და სრულყოფილ ხმას.

პარიზში გამოსცადეს ეს ახალი საკრავი მანქანა. ცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

კიბოს ავადმყოფობის შესახებ

მრავალი ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ კიბოთი დაავადმყოფების და მასთან დაკავშირებულ სიმსივნეთა წარმოშობის მიზეზების გამორკვევას. თითქმის ყოველ კვირაში დეპეშებს მოაქვს სენსაციური კიბოს გამომწვევ მიკრობების ან კიბოს მკურნალობის ახალ საშუალებათა აღმოჩენის შესახებ. მაგრამ ასეთ აღმოჩენებს სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

ყველაზე მნიშვნელოვანია კიბოთი დაავადმყოფების მიზეზების საკითხი.

ამის შესახებ მთელი რიგი თეორიები არსებობს. მეცნიერების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ზოგჯერ ავადმყოფის ორგანიზმი დაბადებიდანვე უჯრედების მთელი ჯგუფი მოხვდება ხოლმე სულ სხვა ორგანოში, ვიდრე უნდა ყოფილიყო. შემდეგში უჯრედების ეს ჯგუფი არანორმალურათ განვითარების გამო იწვევს კიბოს ავადმყოფობას.

მეცნიერების მეორე ჯგუფი ფიქრობს, რომ კიბოს გამომწვევია სპეციალური ბაცილები. ამ მოსაზრებას, თუმცა მას უარყოფენ კიბოს ავადმყოფობის ზოგიერთი გამოჩენილი სპეციალისტები, მაინც ბევრი მომხრეები ჰყავს.

სხეულის რომელიმე ნაწილის ქრონიკულ გაღიზიანებასაც თვლიან კიბოს გამომწვევ ერთ - ერთ მიზეზად. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილი იქნეს ტუჩების კიბო, რასაც იწვევს თამბაქოს მწეველთა მიერ ჩიბუხის ხმარება, კიბოს სიმსივნე საყლაპავ მილში და სხვ. ამგვარი შემთხვევები.

კიბო არ არის გადამდები ავადმყოფობა. სადავოა აგრეთვე კიბოს ავადმყოფობის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხიც. მეცნიერები შესაძლებლად თვლიან, რომ მემკვიდრეობით გადავიდეს კიბოთი დაავადმყოფების განწყობილება და არა თვით ავადმყოფობა.

ვინაიდან კიბოს მკურნალობა ესაჭიროება მაშინვე, როგორც კი ავადმყოფობა თავს იჩენს, აქედან გამომდინარეობს სწრაფი დიაგნოზის აუცილებლობა. მაგრამ დღემდი არ არის აღმოჩენილი ავადმყოფობის სწრაფად და ადრე გამოცნობის საშუალება.

კიბოს მკურნალობისათვის წამლები სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდენ. მკურნალობის ყველაზე საიმედო საშუალებათ ითვლება ოპერაცია, თუ ის თავის დროზე იქნა გაკეთებული. ამოკვეთილი უნდა იქნეს არა მარტო თვით დაავადმყოფებული ორგანო, არამედ ის ახლო მდებარე ადგილებიც, რომლებზეც კიბოს სიმსივნე იქნება შემჩნეული. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მკურნალობას რენტგენის სხივებით და რადიუმით.

კიბოს წამლობა ტყვიით

ამერიკული ჟურნალები იუწყებიან, რომ ცნობილმა ინგლისელმა ექიმმა-ოსტაქარმა ბელლმა მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია კიბოს მკურნალობის საქმეში. კიბოს წინააღმდეგ ექიმი ბელლი სარგებლობს ტყვიით, რომელიც შეჰყავს დაავადმყოფებულ ორგანოს ახლო მდებარე ვენებში (სისხლისადენ მილებში) ცდებს ამ მიმართულებით იგი 17 წლის განმავლობაში აწარმოებდა ლივერპულის უნივერსიტეტში. ექიმი ბელლი იუწყება, რომ 200 უიმედო ავადმყოფიდან მისი წესით მკურნალობის შემდეგ, 50 კაცი სრულიად განიკურნა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მერგება თუ არა მორიგი შვებულება

კ ი თ ხ ვ ა

ვმუშაობ ზაჰესის საალმშენებლო პირველი უბნის სამექანიკო ნაწილში დღიურ მუშად. გასული (1925) წლის იანვრიდან განუწყვეტლივ. ამ ხნის განმავლობაში არ მისარგებლნია მორიგი შვებულებით. ახლა, როდესაც მოვთხოვე ადმინისტრაციას შვებულება, მან უარით მიპასუხა და აგრეთვე სთქვა: თქვენ როგორც დღიურ მომუშავეს (მიუხედავათ ამდენი ხნის ერთი და იმავე ადგილას განუწყვეტლივ მუშაობისა) შვებულების მიღების უფლება გეწყებათ მხოლოდ 1926 წლის მარტიდან და არა 1925 წლის იანვრიდანო.

გთხოვთ ვგვიპასუხოთ: მომეცემა თუ არა შვებულება მუშაობის დაწყების დღიდან.

მუშა ზაჰესელი.

პ ა ს უ ხ ი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ის თანახმად, ყველა იმ პირთ (ამ შემთხვევაში თქვენც), ვისაც უმუშავნიათ დაქირავებით ხუთ ნახევარი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ, აქვთ უფლება მიიღონ მორიგი შვებულება არა ნაკლებ ორი კვირის ხანგრძლივობით საკალენდრო წელში ერთხელ. რაც შეეხება იმას, თუ საიდან იწყება ხუთ ნახევარ თვის განუწყვეტლივ მუშაობის ვადის ანგარიში, (თანახმად შრომის სახკომატის მიერ შვებულების შესახებ გამოშვებული წესებისა). რომელიც მორიგ წლიურ შვებულების მიღების უფლებას აძლევს [illegible] (სხვათა შორის) [illegible] ტიურად შესვლის დღიდან იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელი პირველად მიიღება სამუშაოზე. ამგვარი მორიგი შვებულების ვადის ანგარიში თქვენთვისაც იწყება იმ დღიდან, როდესაც თქვენ ფაქტიურად დაშვებული იქენით სამუშაოზე. თქვენი ადმინისტრაციის პასუხი კი ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებულია.

კანონიერია თუ არა სახლის პატრონის მოთხოვნა

კითხვა

მე ვცხოვრობ გორის ქ., № 14, და სახლის პატრონი მახდევინებს მეეზოვის და ნაგვის გადასაზიდ ფულს და მავალებს წყლის ფულის მოგროვებას და შეტანას ალმასკომში იმ მოსაზრებით, რომ მას ჰყავს მდგმურად ყველა საბჭ. მოსამსახურეები.

გთხოვთ განმიმარტოთ არის თუ არა ჩემი მოვალეობა ზემოდ ჩამოთვლილი დავალებათა შესრულება.

ვ. ქ.

პასუხი

მეეზოვის ხელფასს და ნაგვის გადასაზიდ ფულს იხდის მხოლოდ სახლის პატრონი. წყლის ფულის ანგარიშების განაწილება და მისი აკრეფა ევალება წყლის საკონტროლო კომისიას და სახლის მფლობელობას (სახლის პატრონს). ამგვარად, სახლის პატრონის ეს უკანასკნელი მოთხოვნაც უკანონოა და უსაფუძვლო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 26 ივნისს, სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში (ყო. პუშკინის ბიბლიოთეკა), გიორგიევის ქ. №4, გაიხსნება დღის 12 საათზე წერკუშის ცენტრალურ გამგეობის კომფრაქციის სხდომა და საღამოს 6 საათზე პლენუმი.

პრეზიდიუმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბ. კომ. მე-2-ე რაიკომი იტყობინება, რომ 25 ივნისს, პარასკევს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის საზაფხულო ბაღში დანიშნულია ს. კ. პ. ყველა წევრების და კანდიდატების მე-2-რე რაიონის საერთო კრება.

კ. პ. ყველა წევრთა და კანდიდატთა გამოცხადება სავალდებულოა.

26 ივნისს, შაბათს, დილის 8 საათზე შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) თ. კომიტეტთან არსებული მიმღები კომისიის სხდომა. ამიტომ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: უკოვი, ინაური, ენუქიძე ლ. და კირვალიძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თ. კ. მე-2-რე რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა დაწყებით სასწავლო დახმარების უჯრედებს, სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილებაში.

დღეს, პარასკევს, 25 ივნისს, დილის 10 საათზე შესდგება საქრთველოს კ. პ. (ბ) თ. კ. პრეზიდიუმის სხდომა.

თ. კ. პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ვინ არის წინააღმდეგი?

ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: გიორგაძე აკაკი კონსტანტინესძე, ბილიხოძე ეტიხი ამბაკოსძე, გაგარდაშვილი კოსტა ნიკოსძე, რეხვიაშვილი გერასიმე ივანესძე, ციკოლია ვარლამ კიმოთესძე.

კომუჯრედი სთხოვს ყველას, თუ ვინმემ რაიმე იცის ზემოაღნიშნულ ამხ. შესახებ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

მოულოდნელად უზომოდ დამწუხრებული დედა მართა შვილები—თამარ, ქეთევან, მაგდან, ყარამან და არჩილი. ძმები—ბესარიონ (კოწია), პარმენ, ივანე, გრიგოლ, დები—ელისაბედ, თამარ, რძლები—მარიამ, სოფიო და ალექსანდრა შვილებით აუწყებენ ნაცნობთ-მეგობართ, რომ გერმანიაში 6 ივნისს უბედური შემთხვევით დაეღუპათ ძვირფასი საყვარელი და დაუვიწყარი

რაჟდენ დათეშიძე

რომლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქ. ქუთაისში გაბაშვილის გორაზე საკუთარ ბინაში 27 ივნისს, კვირას დღის 12 საათზე.

2936 3—1

მწუხარებაში მყოფნი მამიდაშვილები—ელენე დარჩიაშვილისა, ნიკოლოზ, ისიდორე და გრიგოლ გეგელაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ აღარ ჰყავთ მათთვის მუდამ ძვირფასი, საყვარელი ბიძაშვილი

რაჟდენ დათეშიძე

2937 2—1

ვგლოვობთ უდროოდ დაღუპულ ჩვენთვის ძვირფას დაუვიწყარ

რაჟდენ დათეშიძეს

ბიძეები და ბიცოლეები შვილებით ჯაფარიძენი.

2937 2—1

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფნი დედა ელისაბედი, მამა ქრისტესი, ძმები ივანე, კოსტა და იოსებ ომიაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

კალისტინა ქრისტეს ასული ომიაძის

გარდაცვალებას ერთი წლის თავის აღსანიშნავათ, გადახდილი იქნება პანაშვიდი წმინდა ნინოს ეკლესიაში, (კუკიის სასაფლაოზე) კვირას, 27 ივნისს, დღის 11 საათზე.

ღრმად დამწუხრებული მამა პროკოფი, დედა ოლღა (ოლიჩკა) ძმები—ვლადიმერ, გრიშა და სერგო აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში 21 ივნისს უდროოდ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი, სახალხო განათლების კომისარიატის ტეხნიკი და სახელმწ. უნივერსიტეტის 1-ლი კურსის სტუდენტი

შალიკო (შალვა) პროკოფის-ძე ტორონჯაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში შაბათს, 26 ივნისს.

2905

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).
ზოლეი
ნ. 1375 0—19

დღეს და ყოველდღიურათ
ახალი სურათი საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციონერო საზოგადოების ნაწარმოები
„მეცხრე ტალღა"
რეჟისორი ვლ. ბარსკი
ოპერატორი ა. ი. პოლიკევიჩი
მალე „რობინ გუდ" და „ნიბელუნგები"

თბილისის ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველო (ტემს)

ამით აცხადებს აბონენტების საყურადღებოდ, რომ სამმართველოს მეწესთვალებს (კონტროლიორებს) აკრძალული აქვთ აბონენტებისაგან ელენერგიის საფასურის მიღება ტემს-ის სალაროში შესატანად.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სამმართველო აფრთხილებს აბონენტებს, რომ ის ყოველივე პასუხის მგებლობას იხსნის თავიდანვე ასეთ თანხების სალაროში შეტანისა დაკავშირებით მოსალოდნელ ბოროტმოქმედებაზე.

სამმართველოს გამგე ცანავა.

ნ. 1469 2—1. საქმეთა მმართველი გრომაშვილი.

ახალი მუშათა კლუბი (ყოფ. ქართული კლუბი სასახლის ქ. № 5). პარასკევს 25 ივნისს
1-ლი სიმფონიური კრება ძღვნად ბეთჰოვენის შემოქმედებას
სოლისტი-სკრიპაჩის ი. ბროდსკის მონაწილეობით ორკესტრი-დამსახურებულ მსახიობ ს. სტოლერმანის ხელმძღვანელობით
დასაწყისი სალ. 8 საათზე
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია
ნ. 1473
პროგრამა: 1 განყოფილება
„მე-7 სიმფონია"
2 განყოფილება
1. „კონცერტი სკრიპკისათვის ორკესტ. ერთად" შეასრულებს ი. ბროდსკი
2. უვერტიურა „ელეონორა"

ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის საოლქო სამმართველო

აცხადებს, რომ გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს ა. წ. 6 ივნისის 1194 №-ში გამოქვეყნებული საჯარო ვაჭრობა ამიერ-კავკასიის საცხენე ფოსტის სადგურისათვის ფურაჟის მიწოდებაზე

ხელმეორედ ინიშნება

ა. წ. 30 ივნისისათვის, დღის 12 საათზე საოლქო სამმართველოს შენობაში, რუსთაველის პროსპექტი № 43.

ნ. 1472

ქ. თბილისის 2 უბნის სახალხო სასამართლოს ალმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 24 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე კრტანისში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ივანე და გიგო ძაგანიების მოძრავ ქონებას: ფეხის საკერავ მაშინას, ძროხას დეკეულს და ჯირს. შეფასებულს 290 მანეთად, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 ოქტომბერს 1925 წ. თარიღით, № 3491 გაცემულ ალმსრულებელ ფურცლისა. ქ. 2932

ქ. თბილისის 2- რე უბნის სასამართლოს ალმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 29 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 7 ისიდოროვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ისააკ მელიქოვის მოძრავ ქონებას: ერთ ფიზგარმონიას და სხვ. შეფასებულს 95 მანეთად, ალექსი ასლამაზოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 ივნისის 1926 წ. თარიღით № 1939 გაცემულ ალმსრულებელ ფურცლისა. ქვ. 2931

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს ალმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 3 ივლისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 1 ბამბის რიგი საჯარო ვაჭრობით გაყიდის ტერენიკ ჩაჩიანცის მოძრავ ქონებას: სახლის ავეჯეულობას, შეფასებულს 75 მანეთად, ქ. ალმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-3 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 5 აპრილს 1926 წ. თარიღით, № 1921 გაცემულ ალმსრულებელ ფურცლისა. 2929

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს ალმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 30 ივნისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 27 პანასევიჩის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსი ელიოზაშვილის მოძრავ ქონებას: სახლის ავეჯეულობას შეფასებულს 153 მანეთად, ქ. ალმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 მარტს 1926 წ. თარიღით, № 1394 გაცემულ ალმსრულებელ ფურცლისა. 2930

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33
ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.
25—2

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 31—1

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჟავაძის ქ. № 9.
12—1 2858

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
537 25—12

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი,
(ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ). მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დან 8-მდე. 35—1

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათამდე ყოველდღე გარდა კვირისა. პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის № 64.

დავკარგე მატრიკული მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან № 2253, თამარ ანტონ თოთიბაძის ასულის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიცემული მმაჩის განყოფილებიდან № 451, ჯუაშერ ლალიძეს სახელზე, ჩ. გ. 2934

დავკარგე პასპორტი № 13538, ვასილი დავითის-ძე კაპანაძეს სახელზე, ჩ. გ. 2935

დავკარგე პირადობის მოწმობა № 40377, აღებული რკინის გზის მეორე უბნის ლიანდაგის სამმართველოდან ვლადიმერ თედორეს-ძე კალაძის სახელზე, ჩ. გ. 2927

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 2835 და ამონაწერი ამიერ-კავკასიის ფ.-ტ. № 7463, მოწმობა გაცემული ლენინგრადის „მაშინოსტროის" კანტორიდან შალვა ძიძიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2924

დავკარგე დაზღვევის დროებითი მოწმობა, გაცემული 1-ლი საავადმყოფოს მიერ № 4955, გიორგი ელისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2928

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1906, იროდი იოსების ძე ფილიას სახელზე, ჩ. გ. 2923

დავკარგე საბჭ. მოსამს. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1265 ელენე ბეჟანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2925

დავკარგე პატენტი პირველი ხარისხის № 1043, არჩილ ლიმონას-ძე ნადირაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2929

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე ტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68